ჯენტლმენ გეგრია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 მარტი ორშაბათი 2014
№045(14 266) ფასი 80 თეთრი

მაღრიდიც ავიღეთ!

13

კაზასტროფა!

ქუთაისური სირცხვილის ქრონიკა და კომენტარები

2-4

თამაში კინაღამ გორშიც ჩაიშალა

ზაზას გასაჭირი

რეალი გარსას დაჭორდა

გაიფრინა ჯველა ზღვარს გასცდა

მანჩესტერ სიტი თასიდან გავარდა

5-9
ევროეკიპები

ევროპა ორად გაყვეს

წლეულს, 14-27 ივლისს, უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი ხალასბურთულ ვაჟთა ევროპის რემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მეფლებისთვის „ბებერ კონტინენტის" 12 უძლიერესი გუნდი იბრძოლებს, მათ შორის - საქართველოს ნაკრები, რომელმაც ახლახან, პლეიოფში, თურქებს აჯობა.

გაუშინ ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის შტაბბინაში წილისყრა გაიმართა. ელიტის 12 წარმომადგენელი ორ ჯგუფში გადანანილდა. ჩვენი გუნდი მოხვდა A ჯგუფში, სადაც ჩერნოგორიას, იტალიას, საბერძნეთს, რუსეთსა და რუმინეთს გაუწევს მეტოქეობას. B ჯგუფში კი სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, ნორვეგია და ესპანეთი ითამაშებენ.

ვაჟა დანელია

შუმახერს შანსი თითქმის აღარ აქვს...

14

მიხაელის მეუღლე და ძმა უკვე გააფრთხილეს მოვლენათა ცვლაზე უარესი განვითარების შესახებ

ტირაჟი-დაბეჭდილია 59-ე ნიგნი. ფოტოები: fcdinamo.ge

09.03. ქუთაისი. ტორპედო. 5000 მაყურებელი

ტორპედო	0
დინამო (თბ)	2

59-ე წუთზე თამაში შეწყდა

0:1 პაპუნაშვილი (9. მარცვალაძის პასით), 0:2 მერებაშვილი (18)
ტორპედო (4-2-2): რ.კვასხვაძე - ადამაძე, სავჩენკოვსი, თოდუა, ჩადუნელი (46. მარკოზაშვილი) - ტულუში, ჩიკვილაძე, ბერუაშვილი, ელიავა (46.გოგიჩაიშვილი) - კვერნაძე, მ. ღონღაძე.
სათადარიგოები: ადამია, ლექვთაძე, ხარაბაძე, თვალავაძე, ხურციძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
დინამო (4-2-3-1): ლორია - პაპავა, გველესიანი, ხიდეშელი, კვირკველია - ცინცაძე, ძარია პაპუნაშვილი, ჩისკო, მერებაშვილი - მარცვალაძე.
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გორგიაშვილი, მოდებაძე, გოგა, რეხვიაშვილი, გლიშიჩი, გ. ჯანელიძე.
გაფრთხილება: ტულუში (30)
არბიტრი: ა. კრიჟაშვილი

უკან, გამოქვაბულისკენ!

ავტორის ფოტოები

ფოტოები: fcdinamo.ge

ის, რაც გუშინ ქუთაისში, „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩისას მოხდა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთ სამარცხვინო და ამაზრზენ მოვლენად ჩაიწერება... ქუთაისელი ფანების საქციელს კი, რა წინაპირობაც უნდა ჰქონოდა მას, გამართლება არ აქვს. გუშინდელი ვანდალური ქმედებით, მათ პირველ რიგში საკუთარი კლუბი დააზარალეს და ქალაქის იმიჯსაც მძიმე დარტყმა მიაყენეს...

...მატჩის 59-ე წუთი მიმდინარეობდა, მასპინძლები „დინამოსთან“ 0:2-ს აგებდნენ და თამაშიც ჩვეულებრივ, გართულებების გარეშე მიმდინარეობდა... და ამ დროს, სტადიონის ტაბლოსქვეშა ტრიბუნის ჭიშკარი გაილო და მოედანზე აგრესიული ფანების „არმია“ შეიჭრა. თავდაპირველად, ისინი სარბენ ბილიკზე მოძრაობდნენ, თუმცა შემდეგ ხალხის მასამ იმატა და მთელი მოედანი დაფარა. ფეხბურთელები და მსაჯები ფანების გარემოცვაში აღმოჩნდნენ, ვითარება უმართავი გახდა. ამ აგრესიული ჯგუფის დაწყნარებას „ტორპედოს“ ფეხბურთელები შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ - სხვადასხვა საგნებით „შეიარაღებული“ ვაიგულშემატკივრები საპირისპირო ტრიბუნაზე განთავსებული „დინამოს“ ფანკლუბისკენ დაიძრნენ და მათ სხვადასხვა ნივთი დაუშინეს. პასუხი არც თბილისელებს დაუკლიათ - სკამები დალეწეს და „ტორპედოს“ ფანებს გადმოაყარეს. საბედნიეროდ, პოლიციამ „დინამოს“ ფანკლუბის დროული ევაკუაცია მოახერხა და ისინი შემოვლითი გზით გაიყვანა ქალაქიდან...

ამასობაში, სტადიონთან სპეცრაზმიც გამოჩნდა, მანამდე კი გავეშებულმა ფანებმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ავტომობილის უკანა საქარე მინის ჩამტვრევა მოასწრეს. ბედად, ფეხბურთელები და მსაჯები უვნებლები გადარჩნენ, მხოლოდ **ჩისკომ** და **გიორგი პაპავამ** მიიღეს მცირე დაზიანებები. თავი გაუტყდა სტადიონის დაცვის რამდენიმე თანამშრომელს. ვნებათაღელვამ სტადიონიდან ქუჩაში გადაინაცვლა და საპატრულო ეკიპაჟებს სიტუაციის განსამუხტავად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. მოგვიანებით კი, თბილისის „დინამოს“ ავტობუსი, პოლიციის 10-მდე მანქანამ ზესტაფონამდე გააცილა...

თამაში რომ ჩაიშლებოდა, ეჭვი აღარ იყო. მალე, ეს მატჩი დამკვირვებელმა **სერგო კვარაცხელიამაც** დაგვიდასტურა:

„მაყურებლის აგრესიული ქმედებების გამო, თამაში 59-ე წუთზე შეწყდა. მსაჯთა ბრიგადამ, იმ მიზეზით, რომ მსგავსი ექსცესები არ განმეორებულიყო, თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. დღევანდელ შემთხვევას სადისციპლინო კომისია განიხილავს და რეგლამენტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს გაატარებს“.

რომან ფიფია („დინამოს“ პრეზიდენტი): *„არ ვიცი, როგორ შევაფასო ეს მოვლენა. ეს არის კატასტროფა! ასეთ ვითარებაში რომელი ფეხბურთის განვითარებაზეა ლაპარაკი?! მესმის მეტოქეობა და შეჯიბრი, მაგრამ დღეს ადგილობრივ ქომაგთა საქციელი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ალბათ, სამომავლოდ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ სიტუაცია ნორმალურია, „დინამო“ ქუთაისში სათამაშოდ არ ჩამოვა“.*

„დინამოს“ პრეზიდენტს ქუთაისელი ფანების მოტივაციაზეც ვუთხარით - ამ ფაქტს იმით „ხსნიან“, რომ მათ თბილისში, „დინამო“-„ტორპედოს“ პირველი წრის მატჩისას, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა სცემეს და დღევანდელი აგრესიაც სწორედ ამით იყო გამოწვეული...

„თბილისში ვინმეს უნახავს მსგავსი რამ? როგორ შეიძლება ამის თქმა?! რა მოჰყვება ამ ამბავს, ვერ გეტყვით, ეს უკვე ფედერაციის გადასაწყვეტია. ძალიან ვწუხვარ რომ ასე მოხდა“, - ამბობს ფიფია.

რევაზ ძოძუაშვილი („ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი): *„ქართულ ფეხბურთს რომ მიხედვა უნდა, დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ორი სახელოვანი გუნდი თამაშობდა და ასეთ დაბოლოებას არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა. არადა, ძალიან კარგი თამაში იყო, ფეხბურთელები კორექტულად იქცეოდნენ და ერთმანეთისთვის მცირედი შეურაცხყოფაც არ მიუყენებიათ. არ იყო იმის წინაპირობა, რომ თამაშს ასეთი სამარცხვინო დასასრული ჰქონოდა. ამ მოვლენას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს და სხვა ქალაქებშიც ანალოგიური მოხდეს. აშკარად დაგეგმილი პროვოკაცია იყო. რას ემსახურებოდა ეს პროვოკაცია, ამას გამოძიება სჭირდება. ასეთ პირობებში გუნდის მშენებლობა და წინსვლაზე საუბარი ზედმეტია. იქ, სადაც ფეხბურთი უყვართ და მისი განვითარება უნდათ, ასეთი ვანდალური ფაქტები არ ხდება. რა ვქნათ ჩვენ, სპორტსმენებმა? ვითამაშოთ თუ „დუბინკები“ დავიკავოთ და გულშემატკივრები გავაჩეროთ?! რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ დღევანდელი მატჩი კარგად ჩაგვეტარებინა. ვაგებდით, მაგრამ ბრძოლა არ დაგვიკლია. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტი მოხდა... დისკვალიფიკაციას და ჯარიმას ავიტანთ, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ქართული ფეხბურთის ჩაძირვა უნდათ თავიდან ბოლომდე და ვინ არის ამ მუხანათური საქმის სათავეში, აი, იმას უნდა მივაკვლიოთ“.*

გიორგი დემეტრაძე („ტორპედოს“ სპორტული დირექტორი): *„გულშემატკივრებისაც მესმის. თბილისში გამართული შეხვედრის დროს რაღაც ინციდენტი მომხდარა, რომლის დროსაც „ტორპედოს“ ფანები დაზარალდნენ, დღეს კი ისარგებლეს იმით, რომ უსაფრთხოების ზომები შესაბამისად არ იყო მიღებული და სარბენ ბილიკზე შევიდნენ, ისინი მოედანზე არ შეცვენილან (?! - გასაოცარია პირდაპირ. რა ვუყოთ იმ კადრებს, რაც ყველას თვალწინ გვაქვს და რომელზეც კარგად ჩანს, ვინ სად შევარდა. „ტორპედოს“ სპორტულ დირექტორს შეუძლია, აქვე იხილოს ტელეკადრები - რედ.), მატჩის კომისარმა ჩათვალა, რომ თამაში უნდა ჩაშლილიყო. სამწუხარო ფაქტია, რომ თამაში ვერ დავამთავრეთ. უსაფრთხოებას ჩვენ ხომ ვერ დავიცავდით? სტადიონზე იმყოფებოდა პოლიცია, იქ იყო სპეცრაზმი და მათ უნდა უზრუნველეყოთ სტადიონის სათანადო დაცვა“.*

ძნელია ამის მერე თამაშზე წერა, მაგრამ მაინც... ამ სამარცხვინო ფაქტამდე თამაში მართლაც გართულებების გარეშე მიმდინარეობდა. თბილისელთა პირველივე შეტევა საგოლე გამოდგა. დინამოელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს - **ჩისკომ მარცვალაძეს** ქუსლით შეაყოლა ბურთი, ამან კი სწრაფადვე **პაპუნაშვილისკენ** გააკეთა გადაცემა, რომელმაც ერთი შეხებით, ახლო მანძილიდან **კვასხვაძეს** შანსი არ დაუტოვა.

მეორე გოლსაც არ დაუყოვნებია - **ძარია-მარცვალაძის** კომბინაცია **მერებაშვილმა** გააგრძელა, ქუთაისელთა მთელ დაცვას აუარა გვერდი, საჯარიმოს ცენტრისკენ შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით ქუთაისელთა კარის ბადე მეორედაც შეარხია.

მეორე ნახევარში „ტორპედოც“ გააქტიურდა და მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, მაგრამ ვინ აცალა? მერე რაც მოხდა, უკვე იცით...

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

09.03. გორი. თ. ბურჯანაძე. 2000 მაყურებელი

დილა	1
ვიტ ჯორჯია	1

1:0 რაზმაძე (51-პენ), 1:1 კორიფაძე (80)
დილა (4-2-3-1): ლეგაშვილი - ორბელაძე, კვახაძე, კობახიძე, ჯიშკარიანი - გურეშიძე, რაზმაძე - კორლალიძე (64. შენგელია), კოშკაძე, რაჟამაშვილი (46. ნიქარიძე) - ბერიაშვილი.
სათადარიგოები: შეყრილაძე, გაფრინდაშვილი, ქარქუზაშვილი, ახალკაცი, ბერიძე.
მწვრთნელი: რამაზ სოლოლაშვილი
ვიტ ჯორჯია (4-5-1): შეროზია - საბაძე, გეთიაშვილი, კალანდია, მჭედლიშვილი - ღიბრაძე (69. ხვისტანი), მაისურაძე (73, გახარია), დავლაშელიძე, კორიფაძე, კვირკვია (44. სიჭინავა) - ლობჟანიძე.
სათადარიგოები: ჩალიგავა, ჩიტიშვილი, წყაროზია, კურდღელაშვილი.
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე
გაფრთხილება: ღიბრაძე (43), რაჟამაშვილი (44), დავლაშელიძე (45), მაისურაძე (47), ნიქარიძე (62), კვახაძე (83).
გაძევება: კვახაძე (85)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

პროტესტით რას უშველიდნენ?!.

გუშინ „თენგიზ ბურჯანაძეზე“ მაყურებელი მასპინძელი გუნდის გამარჯვების სანახავად მოვიდა. მოგება ვერა, მაგრამ გულშემატკივარმა სანახაობა მართლაც იხილა. იყო საინტერესო თამაში და ბევრი თამაშგარე, რომელთაგან ზოგიერთი საკამათოდ ჩანდა და ამის გამო მატჩი ლამის ჩაიშალა კიდეც...

„დილას“ თავიდანვე შეეტყო, რომ მისთვის ერთადერთი მისაღები შედეგი მოგება იქნებოდა. სტუმრებს კი, ვინაიდან უფრო მეტად კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, ალბათ, ფრეც დააკმაყოფილებდათ.

შესაბამისად, „დილამ“ უფრო აქტიურად დაიწყო თამაში. დასაწყისიდანვე ისინი მეტ დროს ატარებდნენ მეტოქის ნახევარზე, შეტევებზე გადადიოდნენ თითქმის მთელი გუნდით, აქტიურად ერთვებოდნენ იერიშებში უკანახაზელებიც... სტუმართა მცველები კი მეტოქის იერიშების შესაჩერებლად ხელოვნურ თამაშგარეებს მიმართავდნენ, რასაც შედეგიც მოჰქონდა.

მოგეხსენებათ, თამაშგარე მდგომარეობის ზღვარზე თამაშისას ხშირად იქმნება საკამათო სიტუაცია. ჰოდა, როგორც გორელი ფეხბურთელები, ისეთი გულშემატკივარი ხშირად პროტესტს გამოთქვამდა ამ „ოფსაიდების“ გამო, ხოლო რა გამოიწვია ამან მატჩის მიწურულს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ...

ფეხბურთელების მოქმედებაზე გარკვეულ ზეგავლენას ძლიერი ქარიც ახდენდა. მიუხედავად მასპინძლების შესამჩნევი უპირატესობისა, პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ 27-ე წუთზე შეიქმნა - **კოშკაძის** გამოზომილი პასი სტუმართა საჯარიმოში მიიღო **ბერიაშვილმა**, რომელმაც თავით დაუგდო ბურთი იქვე მყოფ **რაჟამაშვილს**, ამან კი მიწაზე დაუშვებლად დაარტყა და მეკარე **შეროზიამ** იყოჩაღა.

აღსანიშნავია კოშკაძის კარგი თამაში. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისი გუნდის შეტევების წარმართვაში. პირველი ტაიმის შუაწელში ფლანგები გაცვალეს რაჟამაშვილმა და **კორლალიძემ**, რის შემდეგაც ორივე უფრო აქტიური გახდა. კოშკაძის მიერ წამოწყებული კომბინაცია იმავე კორლალიძემ კინაღამ გოლად აქცია. ცოტა ხანში, ისევ კოშკაძემ, კარის სიახლოვეს მყოფ ბერიაშვილს მიაწოდა, თუმცა ამას არაზუსტი თავური მოჰყვა.

„ვიტ ჯორჯიას“ კარს „დილა“ მეორე ტაიმის დასაწყისიდანაც დაემუქრა. ბერიაშვილი საკმაოდ ბევრ პრობლემას უქმნიდა მეტოქე მცველებს, თუმცა აშკარა საგოლე სიტუაციამდე საქმე ვერ მიჰყავდა. 49-ე წუთზე მან **ნიქარიძეს** მისცა ხელსაყრელი პოზიციიდან კარში დარტყმის საშუალება, თუმცა ეს ეპიზოდი შედეგიანად ვერ დასრულდა.

ერთ წუთში კი ისევ ბერიაშვილმა იაქტიურა და პენალტიც მოინადირა. 11-მეტრიანი **რაზმაძემ** შეარულა და ანგარიშიც გახსნა - 1:0. თამაშის გადასარჩენად, „ვიტ ჯორჯიამ“ ყრუ დაცვიდან წინ წაიწია, ხოლო „დილა“ უფრო თავდაჯერებულად ათამაშდა, ოღონდ, მათ შეტევებს სიმწვავე მოაკლდა, ბურთმაც ძირითადად მოედნის ცენტრში იწყო გორება.

მეორე ტაიმში ჩრდილში მოექცა კოშკაძე, რომელმაც მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, მის პოზიციაზე კი შეცვლაზე შესული ნიქარიძე დადგა. საქმე, თითქოს, „დილას“ მინიმალურ გამარჯვებამდე მიდიოდა, მაგრამ... ვიტჯორჯიელმა **კორიფაძემ** მატჩის მსვლელობას მიმართულება შეუცვალა - პასი საჯარიმოს მისადგომებთან, შეტევის მარცხენა ფრთაზე მიიღო და საკმაოდ ლამაზი, „მოჭრილი“ დარტყმით **ლეგაშვილს** ბურთი ბადიდან გამოატანინა - 1:1.

დარჩენილ მცირე დროში „დილამ“ მთელი ძალებით სცადა ხელახლა დაწინაურება. 84-ე წუთზე ბერიაშვილი შეროზიას გასცდა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი, თუმცა არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** თამაშგარე დააფიქსირა. ამან მასპინძლები მთლად გააცხელა. არბიტრის გადაწყვეტილებას ყველა აპროტესტებდა - ფეხბურთელი, მწვრთნელი, გულშემატკივარი... „დილას“ კაპიტანი **ლექსო კვახაძე** კი, ეტყობა, უფრო „შორს წავიდა“ და მსაჯებთან კამათის გამო წითელი ბარათით დაისაჯა.

ფეხბურთელებს ქომაგებიც აჰყვნენ და რამდენიმე მათგანმა მინდორზე შესვლაც მოახერხა, მაგრამ, საბედნიეროდ, კლუბის თანამშრომლებმა ინციდენტი დროულად აღკვეთეს. ამ მიზეზით შეხვედრა 10-15 წუთით იყო შეწყვეტილი. თამაშის განახლების მერეც, უკვე კაცნაკლულმა გორელებმა დარჩენილი დრო შეტევებში გაატარეს.

ტრიბუნებზე ემოციური ფონი ისევ მაღალი იყო. მაყურებლის მხარდაჭერით „დილამ“ ამაოდ გაიბრძოლა და პირველ ექვსეულში მოსახვედრად საჭირო მოგების ნაცვლად, ქულის ამარა დარჩა.

არბიტრებით უკიდურესად უკმაყოფილო მაყურებლებმა კი მსაჯები გასახდელში ლანძღვა-გინებით გააცილეს, თუმცა მატჩის საბოლოო შედეგს ამით, აბა, რას უშველიდნენ?!.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან რთულად...

09.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
2500 მაყურებელი

ზესტაფონი **2**

მერანი **0**

1:0 საბანაძე (81. ჭანკოტაძის პასით), 2:0 დოლიძე (88. ჭანკოტაძის პასით)

ზესტაფონი (4-2-2): პავლოვიჩი - ლონლაძე, რენე ფერეირა, ზ.ქელიძე, გ.გურული - დოლიძე, შარიქაძე, კუხიანიძე (67. ჭანკოტაძე) , გენაძე (46. ჭანტურიშვილი) საბანაძე, ტატანაშვილი (46. ფანცულაია).

სათადარიგოები: *მეშველიანი, სარდალიშვილი, კაპანაძე, თედგრიგალაშვილი*

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

მერანი (4-2-3-1): მამალაძე - მელიავა, იობაშვილი, გაბუნია, ხუბუა - ჯოჯუა (84. ციცხვაია), რაფაელი - ბენაშვილი, ბაბუნაშვილი (56. გეგეჭკორი), ფონიავა (83. ჩხეტიანი) - კუჭუხიძე.

მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე

სათადარიგოები: ბეგაშვილი, გეგია, ჯლამაია, დეკანოსიძე.

გაფრთხილებები: ბაბუნაშვილი (12), დოლიძე (27), გაბუნია (66), რენე ფერეირა (73)

გაძევება: კუჭუხიძე (73)

არბიტრი: თ. ხუჭუა

შესანიშნავ ფორმაში მყოფი „ზესტაფონი" აუტსაიდერ „მერანთან" აშკარა ფავორიტად მოიაზრებოდა, თუმცა **ზურაბ იონანიძის** შეგირდებმა ლიდერთა შორის მყოფ მასპინძელს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ცოტაც რომ გაეძლოთ, ქულასაც წაიღებდნენ.

შეხვედრა ძალზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მატჩის საწყისმა წუთებმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ზესტაფონელთა აქტიურობა არც იყო გასაკვირი, აი, სტუმართა თამამი მოქმედებები კი, რომლებიც გაცილებით უფრო მაღალი კლასის მეტოქეს გახსნილ თამაშში აჰყვნენ, სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა.

პირველი საგოლე შანსი **გია გეგუჩაძის** შეგირდებს მიეცათ, როცა **რევაზ გენაძის** კუთხურს **რენე ფერეირამ** თავური დარტყმა მიაყოლა და ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. **ნიკა საბანაძის** უძლიერესი დარტყმის შემდეგ კი მარტვილელები გოლისგან ძელმა იხსნა.

უქმად არც სტუმრები ყოფილან. ბევრისთვის გასაკვირად, მათ უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს და რეალური საგოლე ეპიზოდიც შექმნეს. თანაგუნდელებმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს ექსზესტაფონელი **ალექსი ბენაშვილი**, რომელმაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა და მეკარე **ბოიან პავლოვიჩს** ვერ აჯობა.

ზესტაფონელებმა თამაში ვერა და ვერ დაალაგეს. მათგან ყველაზე მეტს გენაძე აქტიურობდა, ორჯერ კარშიც დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად. ვალში სტუმრებიც არ დაურჩნენ - **პაპუნა ფონიავამ**, რომელიც ძალზედ პროდუქტიულად ირჯებოდა, პავლოვიჩი შორეული დარტყმით შეაწუხა, თუმცა ზესტაფონელთა სერბი მეკარე კვლავ საიმედოდ გაისარჯა. ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა მეტოქის კართან შტურმისმაგვარი მოაწყვეს, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

მასპინძლებმა თამაში აქტიურად განაახლეს. **გიორგი კუხიანიძემ** მარჯვენა მახვილი კუთხიდან საბანაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ზესტაფონელთა გოლეადორს **ზურაბ მამალაძემ** აჯობა. მარტვილელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზესტაფონელთა სასტარტო „დაწოლას" ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ და რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელეს. კვლავ სასარგებლოდ ირჯებოდნენ ფონიავა და კუჭუხიძე, აქტიური იყო ბენაშვილიც. დიდ სამუშაოს ასრულებდა მარტვილელთა ბრაზილიელი ლეგიონერი **რაფაელი**, რომელიც ძირითადად დაცვითი ფუნქციების შესრულებით იყო დაკავებული, თუმცა შეტევებში ხშირად ერთვებოდა.

მასპინძლებმა ქულების დაკარგვის საშიშროება იგრძნეს და მთელი ძალებით შეუტიეს. საბანაძემ სტუმართა კარის ხარიხა შეაზანზარა, დამატებაზე კი კუხიანიძე ურტყამდა, მაგრამ უზუსტოდ.

მარტვილელებმაც არანაკლებ სახიფათო შეტევებით უპასუხეს - ბენაშვილის კუთხურს **იობაშვილმა** თავური დარტყმა მიაყოლა, მაგრამ ზესტაფონელთა ბედად ბურთი მიზანს ასცდა.

ამასობაში, მოედანზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა - კუჭუხიძე რენე ფერეირას ეუხეშა, ამას ფეხბურთელთა შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რაც კინაღამ გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა. არბიტრმა **თემურ ხუჭუამ** კუჭუხიძეს წითელი ბარათი აუფრიალა, რამდენიმე ზესტაფონელი კი ყვითელი ბარათით დასაჯა, ამან სტუმართა პროტესტი გამოიწვია, თუმცა ვითარება მალევე განიმუხტა და თამაში გაგრძელდა.

კაცნაკლულმა „მერანმა" ზესტაფონელთა ზეწოლას ველარ გაუძლო და ბოლო 10 წუთში საკუთარ კარში 2 ბურთი მიიღო. ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში **გიორგი ჭანკოტაძე**, რომელმაც ორი საგოლე გადაცემა გააკეთა - პირველად, მან საბანაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, რომელმაც მამალაძეს შანსი არ დაუტოვა. შემდეგ კი შესანიშნავი გადაცემით გრიგოლ დოლიძეც შეატოვა მეკარეს და მასაც გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გატ	გაშვ	
1	დინამო (თბ)	20	14	3	3	48	16	45
2	ჩიხურა	21	11	5	5	39	31	38
3	ზესტაფონი	21	11	4	6	29	15	37
4	სიონი	21	9	6	6	27	22	33
5	გურია	21	11	0	10	25	27	33
6	მეტალურგი	21	8	6	7	25	25	30
7	დილა	21	7	8	6	26	21	29
8	ვიტ ჯორჯია	21	7	5	9	26	28	26
9	ტორპედო	20	7	5	8	22	26	26
10	სპარტაკი	21	6	2	13	18	30	20
11	ზუგდიდი	21	4	5	12	10	30	17
12	მერანი	21	4	3	14	15	39	15

ცხრილი მომზადებულია www.gff.ge-ს მიხედვით

ბომბარდირები

დ. ტატანაშვილი (ზესტაფონი/ჩიხურა)	13
ჩისკო (დინამო თბ)	12
ი. მოდებაძე (დინამო თბ/დილა)	9
დ. გოგა (დინამო (თბ)	9

I ეტაპის ბოლო ტური
16 მარტი, კვირა

ჩიხურა-ტორპედო
დინამო-მეტალურგი
სიონი-ზესტაფონი
მერანი-დილა
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
ზუგდიდი-გურია

ფანტასტი(გ)ურია
სამჯერ დაშლილი გუნდი ექვსეულში!

09.03. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე.
2 500 მაყურებელი

გურია **2**

ჩიხურა **0**

1:0 ისიანი (44), 2:0 ნიქაბაძე (81. ვ. ხორგუაშვილის პასით)

გურია (4-2-3-1): ბობლიაშვილი - ჩუენსუ, ნ. კილაძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი - გაჩეჩილაძე, ძამსაშვილი - კვირტია (52. ვ. ხორგუაშვილი), კვერენჩხილაძე (62. ნიქაბაძე), შენგელია (78. გაგნიძე) - ისიანი.

სათადარიგოები: გოგუაძე, ჭეიშვილი, ი. კილაძე, ტეიდი.

მწვრთნელი: დავით მახარაძე

ჩიხურა (4-1-4-1): სომხიშვილი - ოდიკაძე, კვარაცხელია, კაშია, ხმალაძე - ლომაშვილი - ჯილაური (54. კვასხვაძე), გ. დათუნაიშვილი (66. წინამძღვრიშვილი), გრიგალაშვილი, გაბედავა - დეკანოიძე.

სათადარიგოები: თევდორაძე, ჭელიძე, ქიმაძე, ჩიკვაიძე, ბეჭვაია.

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილებები: ოდიკაძე (15), გაბედავა (31), დათუნაიშვილი (35), შენგელია (54)

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი

მატჩის შედეგს სტუმარ-მასპინძლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, წინა ტურში ორივემ დასანანი მარცხი იწვნია, რითიც საჩხერელები „დინამოს" კიდევ უფრო დაშორდნენ და „ზესტაფონი" დაიახლოვეს, ხოლო ამ სეზონის აღმოჩენად ქცეულმა „გურიამ" საქმე ისე საჩოთიროდ გაიხადა, რომ „ჩიხურასთან" 3 ქულაც ვერ აძლევდა საექვსეულო გარანტიებს.

თუმცა „ევგრაფი შევარდნაძეზეც" და გორის სტადიონზეც მოვლენები იმ სცენარით განვითარდა, რომ ლანჩხუთელებმა ერთი ტურით ადრე შეავსეს მოწინავე ექვსეულში მეხუთე ვაკანსია.

ვერ ვიტყვით, რომ შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით გამოირჩეოდა, გუნდებს თავიანთი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ უჩვენებიათ - გაიმარჯვა იმან, ვინც უფრო მოინდომა.

პირველი ხიფათი გურულებმა შექმნეს, როცა **ძამსაშვილი** დაემუქრა თავისი ყოფილი გუნდის კარს, მაგრამ შუახაზელმა **კვირტიას** კარგი გადაცემა ვერ გამოიყენა.

ამას ათიოდ წუთში სტუმართა კარგი შეტევა მოჰყვა - **ჯილაური** ლამის პირისპირ გადიოდა მეკარესთან, მაგრამ ზედმეტად დაყოვნებამ ხელი შეუშალა. მალევე „ჩიხურას" შუახაზელს უკვე **ბობლიაშვილმა** აულო.

შემდეგ ისევ „გურიას" ჯერი დადგა: ჯერ ძამსაშვილმა ააცილა, ხოლო შემდეგ მცველებმა **კვერენჩხილაძეს** საჯარიმოში შეჭრა არ აცალეს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმრები და, მათ შორის - მცველები, გადაცემის გაკეთებისას ხშირად სცოდავდნენ. ამის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა პირველი გოლი, მაგრამ **ისიანთან** ორთაბრძოლა მცველებმა რომ პირწმინდად წააგეს, ფაქტია: ვილიმ ჯერ პოზიციურად აჯობა მეტოქეს, ხოლო შემდეგ ბურთიანად ისე გაიწია კარისკენ, სანამ მცველები დაეწეოდნენ - **სომხიშვილისთვის** აუღებელი დარტყმაც მოასწრო - 1:0.

მეორე ტაიმშიც პირველი რეალური შანსი ისევ ისიანს მიეცა, მაგრამ ბოლო

საბოლოო ანგარიში გიორგი ნიქაბაძემ დააფიქსირა

მომენტში მცველებმა განმუხტეს „გურიას" ფორვარდის მეკარესთან პირისპირ დარჩენის შესაძლებლობა. ამას სტუმრებმა კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ ძირითადში დაბრუნებულმა და მატჩის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშე **გაჩეჩილაძემ** თავისიანებს უსიამოვნება აარიდა.

რა თქმა უნდა, „ჩიხურა" ვითარების გამოსწორებას ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ ეს არ გამოსდიოდა. კვლავ ხშირი იყო ტექნიკური წუნი, რასაც ნამატჩევს **სოსო ფრუიძე** (მის განვრთნილ „ჩიხურას" ლანჩხუთში აქამდე არ წაეგო) მინდვრის საფარს დააბრალებს...

მის შეგირდებს გათანაბრების შანსი 68-ე წუთზე მიეცათ, როცა **დეკანოიძის** შორეული „გასროლა" მეკარისთვის ერთგვარად მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ბობლიაშვილმა ჩინებული რეაქცია გამოავლინა - ბურთი მისი ხელიდან ხარიხის გავლით კუთხურზე გადავარდა.

ამის შემდეგ კვლავ „გურია" ქმნიდა მომენტებს: ჯერ მეტად აქტიური **ჩუენსუს** გადაცემა თავის ფლანგზე დაბრუნებულმა და უკეთ ათამაშებულმა **შენგელიამ** ვერ გამოიყენა, შემდეგ კი ისიანს დუბლის შესრულება **მეგრელიშვილთან** გათამაშებული კარგი კომბინაციის შემდეგ შეეძლო, მაგრამ მატჩის (ალბათ) საუკეთესო მოთამაშემ კარს ააცილა.

აქვე, გავუსწრებთ მოვლენებს და გეტყვით, რომ ისიანს ბოლო წამებზეც მიეცა შანსი, როცა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაურტყა სომხიშვილს და ბურთი ხარიხას მოხვდა.

ამ დროს მასპინძლებს საქმე უკვე მოთავებული ჰქონდათ: შეცვლაზე შესულმა **ვალტერ ხორგუაშვილმა** ფლანგიდან საჯარიმოსკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც ისიანმა გაატარა და ასევე შეცვლაზე შესულმა **ნიქაბაძემ** „ჩიხურას" მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა - 2:0.

ეს შედეგი თითქმის ექვსეულს ნიშნავდა, მაგრამ მას მერე, რაც გურულებმა ერთ-ერთი კონკურენტის გორის „დილას" შედეგი (1:1) შეიტყვეს, ზეიმს მიეცნენ: 11-წლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა „გურიამ" ევროსაგზურისთვის მებრძოლთა შორის ადგილი თეორიულადაც გაინაღდა.

მატჩს გურიის გუბერნატორი **გიორგი ჩხაიძეც** ესწრებოდა, ვისაც იღბლიანი ფეხი დაურჩა, ხოლო ლანჩხუთის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ „გურია" მოწინავე ექვსეულში სტატისტის როლში ყოფნას არ აპირებს და კლუბი ქომაგებს მორიგი წარმატებებით გაახარებს.

მატჩის შემდეგ

სოსო ფრუიძე (ჩიხურას მთ. მწვრთნელი): **„უპირველეს ყოვლისა, მეტოქეს ვულოცავ მოგებას და მოწინავე ექვსეულში მოხვედრას! რაც შეეხება თამაშს, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ასეთ მოედანზე არ გვათამაშეს წინა ტურში. დღეს ჩემმა გუნდმა მთელი თამაში, ფაქტობრივად, მინდორსა და მსაჯებთან ბრძოლას შეალია. მსაჯების ქმედებებს შესაბამისი პირები შეაფასებენ და გადაწყვეტენ".**

დავით მახარაძე (გურიას მთ. მწვრთნელი): **„დღეს ჩვენ კარგ გუნდთან მოვიგეთ, რითიც სეზონის წინ დასახული პროგრამა-მაქსიმუმი შევასრულეთ! წინა თამაშისგან განსხვავებით, გუნდმა აშკარად მოუმატა და დღეს არ ყოფილა ისეთი ეპიზოდი, რასაც შეეძლო, ჩვენ საწინააღმდეგოდ ემუშავა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დამსახურებულად მოვიგეთ. ლანჩხუთელ გულშემატკივრებს ვულოცავ ამ წარმატებას".**

მათე გურული
ლანჩხუთიდან

გასახდელში ვიღაც იჯდა...

09.03. თბილისი. მ. მესხი.
300 მაყურებელი

სპარტაკი **2**

ზუგდიდი **0**

1:0 შონია (26), 2:0 ეხვაია (59)

სპარტაკი (4-3-2-1): ნადირაძე - ჭაფოძე, კაკუბავა, მგელაძე, იოსელიანი - ცერცვაძე, შონია (49. ბურძენაძე), პარუნაშვილი - მაქაცარია, ჩაფიძე (83. კემუხტაშვილი) - ეხვაია (83. ზ. მეტრეველი).

სათადარიგონი: გოგიაშვილი; ხიზანეიშვილი, გაგნიძე, მაისაშვილი.

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

ზუგდიდი (4-5-1): ზარქუა - ქათამაძე, აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი - კირკიტაძე, ქებაძე (59. ცაავა), გუგუჩია (46. კალანდარიშვილი), ქირია, ლომია (63. სამუშია) - კრკელიჩი.

სათადარიგონი: ქვილითაია, ფარჯიკია, კობერიძე, მჭედლიშვილი.

მწვრთნელი: გიორგი დარასელია

გაფრთხილებები: იოსელიანი (52), კაკუბავა (61), ქათამაძე (67), ცერცვაძე (85)

არბიტრი: ო. ხეცაძე

უშუალო კონკურენტები ერთმანეთს „მიხეილ მესხის" სათადარიგო მოედანზე დაუპირისპირდნენ და თვალსასეირო ორთაბრძოლაც გააჩაღეს. არა, მაინცდამაინც უნაკლო და სახიფათო მომენტებით აღსავსე მატჩი არ ყოფილა, არც მახვილგონივრული კომბინაციებით გამორჩეული, სამაგიეროდ, ფეხბურთელები ერთმანეთს არ ინდობდნენ და მოედნის თითოეული გოჯისთვის ისე იბრძოდნენ, თქვენი მოწონებული.

შედეგი? ორი თავგატეხილი, ტრავმის გამო შეცვლილი და ერთიც დასისხლიანებული ფეხბურთელი. მთლად ფეხბურთელებივით არა, მაგრამ ამ შეხვედრისას მათზე ნაკლები საქმე არც გუნდების ექიმებს ჰქონიათ.

შესვენებისას ერთი სახალისო ამბავიც მოხდა: ზუგდიდელებს ერთ-ერთი ფეხბურთელი გასახდელში დარჩათ ჩაკეტილი და ვინ იცის, სტადიონის დირექტორის მოადგილე **ვალტერ გუჩუა** რომ არა, სტუმარი ფეხბურთელი 45 წუთს ახალაშენებულ სათავსოში გაატარებდა...

მატჩი „სპარტაკის" ფეხბურთელების უპირატესობით დაიწყო, თუმცა **კახა კაჭარავას** შეგირდებს სწრაფი გოლის გატანა რომ არ გამოუვიდათ, მერე იძულებულნი გახდნენ, მეტოქის შეტევები მოეგერიებინათ.

საწყისი იერიშების შემდეგ თამაშის სადავეებს სტუმრები დაეუფლნენ. ბურთს ზუგდიდელები აკონტროლებდნენ, მაგრამ **ნადირაძის** კართან ღირებული არაფერი შეუქმნიათ - მასპინძელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ბურთი სპარტაკელებს რჩებოდათ ხოლმე.

ამასობაში, 26-ე წუთმა და მასპინძელთა კაპიტნის **თემურ შონიას** ჩინებულმა გოლმაც მოატანა. საჯარიმოდან დარტყმული ბურთი „ცოცხალმა კედელმა" რომ აისხლიტა, შონიამ ის მკერდით გააჩერა და **თორნიკე ზარქუას** შეუჩერებლად ისეთი დაურტყა, მეკარეს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

სტუმრები ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ უფრო მობილიზებული გახდა მასპინძელთა დაცვის ხაზი, ხოლო, როცა „სპარტაკს" საშუალება უჩნდებოდა, კაჭარავას შეგირდები მეტოქეს იქით უტევდნენ. შესვენებამდე კაჭარავას შეგირდებს არაფერი გამოსდიოდათ, თუმცა რაიმე სახეიროს საშუალება არც სტუმრებისთვის მიუციათ.

თამაშის განახლებისთანავე, ზუგდიდელთა მწვრთნელმა **გიორგი დარასელიამ** მარჯვენა ფლანგის გაძლიერება გადაწყვიტა და საამისოდ თამაშში **კალანდარიშვილი** ჩართო, კაჭარავას კი ტრავმის გამო კაპიტანისა და გოლის ავტორ შონიას შეცვლა მოუხდა.

მატჩის სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა - ზუდგიდიდელები უტევდნენ, მაგრამ ბურთი ნადირაძის კარამდე ვერ აღწევდა. ერთხელ, სწორედ კალანდარიშვილს შეეძლო გოლის გატანა (ან საგოლე პასის გაკეთება), მაგრამ მისი დარტყმა იყო თუ პასი **კრკელიჩის** მისამართით, მეკარე ნადირაძემ არ გაატარა.

საპასუხო შეტევამ კი „სპარტაკს" მეორე გოლი მოუტანა. უფრო სწორად, შეტევა არც ყოფილა, პირიქით, ზუგდიდელები ცდილობდნენ ბურთის მეტოქის მოედანზე გადატანას, როცა ამ დროს პასი **კაკუბავამ** ჩაჭრა და მარჯვენა ფლანგიდან შეტევა **მაქაცარიას** გააგრძელებინა, ამ უკანასკნელის ჩაწოდებულს კი **ირაკლი ეხვაიას** გოლი მოჰყვა.

მასპინძლებისთვის თამაში, ფაქტობრივად, „გაკეთებული" იყო და სტუმართა აქტიური ქომაგებიც დადუმდნენ. ცხადი გახდა, რომ „სპარტაკი" ასეთი უპირატესობის გამნიავებელი არ იყო და არც „ზუგდიდს" არ ეტყობოდა ის პოტენცია, რომ ორბურთიან სხვაობას გააბათილებდა.

ამის შემდეგ იყო სტუმართა კაპიტანმა **ნიკა აფაქიძემ** და **ლაშა პარუნაშვილმა** შეტაკებისას თავი რომ გაიტეხეს და ხისტი თამაში უხეშობაში რომ გადაიზარდა, არბიტრმა **ოთარ ხეცაძემ** ოთხი ფეხბურთელი გააფრთხილა. მატჩის ბოლოს კი დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ ხეცაძეს 21-ჯერ მასპინძლები დაუჯარიმებია, 18-ჯერ კი სტუმრები. ესეც ისე, სტატისტიკისთვის...

კობა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

05.03. რუსთავი. პოლადი. 800 მაყურებელი

მეტალურგი	0
სიონი	2

0:1 აბრამიძე (41. გოგობერიშვილის პასით), 0:2 აბრამიძე (51. გოგობერიშვილის პასით)

მეტალურგი (4-2-3-1): სეფიაშვილი - ტვილდიანი, მახვილაძე, ვ. კილასონია, დ. საჯაია (81. ბ. ოქროპირიძე) - დობროვოლსკი, გიგაური - სეთურიძე, კაკაშვილი (46. მიქაბერიძე), ქავთარაძე (46. ჩირგაძე) - ჩიმაკაძე.

სათადარიგოები: დ. ლომაია, ვასაძე, ცნობილაძე, ბედიაშვილი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

სიონი (5-2-3): მერლანი - ფოფხაძე, სვანიძე, აბრამიძე, განუგრავა, იმედაშვილი - ცხადაია, გოგობერიშვილი - კახელიშვილი (64. ზ. ლობჯანიძე), აფციაური (82. კანდელაკი), ბიბილეიშვილი (75. უგულავა).

სათადარიგოები: უგრეხელიძე, სამხარაძე, ადამია, ზუხბაია

მწვრთნელი: ლადო ბურდული

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

სტანდარტული გამარჯვება

უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში „სიონი", ფაქტობრივად, ბოლო ტურებში ახერხებდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას; და აი, პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურის მერე გაირკვა, რომ „სიონი" ზედა ექვსეულში გააგრძელებს ასპარეზობას და ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლნისელთა გუნდის ეს წარმატება აბსოლუტურად კანონზომიერი ფაქტია. ისე, როგორც ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში სტუმრად გამარჯვებაც.

ქვემოქართლურ „დერბის" ძალიან ბევრი რამ უნდა გაერკვია და ასეც მოხდა: ბოლო ტურის მატჩებისა თუ კონკურენტების შედეგების მიუხედავად, ლადო ბურდულის გუნდი მეორე ეტაპზე საპრიზო სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

აი, „მეტალურგს" კი, ისე როგორც წინა სეზონში, კვლავაც ქვედა ექვსეულში მოუწევს თამაში. თუმცა, ისე როგორც გუშინდელი მატჩის შედეგი იყო ლოგიკური, ასევე ლოგიკურად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ რუსთაველთა, ფაქტობრივად, ორი თვის წინათ ჩამოყალიბებულმა გუნდმა უფრო მეტს ვერ მიაღწია. ჰო, გამოცდილება (გნებავთ - ოსტატობა) თანამედროვე ფეხბურთში ბევრად ფასობს და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ჩემპიონატია. გადახედეთ „სიონის" შემადგენლობას: **ლადო ბურდულის** გუნდს სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი (**ზურაბ ბათიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, ლაშა თოთაძე, კოკა მიკუჩაძე, ლადო ახალაია**) ხომ აკლდა, სათადარიგოთა სკამზეც არანაკლებ გამოცდილი მოთამაშეები (**გიორგი ადამია, ილია კანდელაკი, ირაკლი სამხარაძე**) ისხდნენ, თუმცა ეს ყველაფერი სასურველი შედეგის მისაღწევად ხელისშემშლელი ნამდვილად არ ყოფილა.

მასპინძელთა თავკაცს **ვარლამ კილასონიას** კი მსგავსი „ფუფუნების" საშუალება ნამდვილად არ აქვს და, აქედან გამომდინარე, გუშინდელი მატჩის შედეგი ნამდვილად არ გაგვკვირვებია. ისე, „მეტალურგს" მაინც დარჩა ზედა ექვსეულში მოხვედრის შანსი, ოღონდ, ამ თემაზე ხვალ ვისაუბროთ.

მანამდე კი გუშინდელი მატჩის პერიპეტიებიც ვახსენოთ და უპირველესად ის გვინდა ვთქვათ, რომ უდიდესი სატურნირო მნიშვნელობის მიუხედავად, შეხვედრამ კორექტულად და უექსცესოდ ჩაიარა და სადაც ყველაფერი სტუმართა ფეხბურთელთა გამოცდილებამ და საშემსრულებლო ოსტატობამ გადაწყვიტა. თანაც, ორივე გოლი „ტყუპისცალივით" ჰგავდა ერთმანეთს: ორივე ჯერზე „სტანდარტულს" 36 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი** ასრულებდა და ორივე შემთხვევაში მეტოქის საჯარიმო მოედანში ყველას ასწრებდა „სიონის" კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი, 34 წლის **ვალერი აბრამიძე**, რომელმაც ორჯერვე ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი „მეტალურგის" კარში!

...მატჩის საწყისი წუთები „სიონის" უპირატესობით წარიმართა, მაგრამ დაახლოებით მერვე წუთიდან მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და „მეტალურგის" პირველივე შეტევა, ერთობ სახიფათო გამოდგა: **კახა კაკაშვილმა** ბურთი მკერდით დაუგდო **ბესიკ ჩიმაკაძეს**, მაგრამ მასპინძელთა ცენტრფორვარდის „ერთი შეხებით" დარტყმა მიზანს ასცდა. ორიოდ წუთში ამჯერად უკვე კაკაშვილმა ასევე „ერთი შეხებით" დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ **მირზა მერლანმა** პოზიცია სწორად შეარჩია. „სიონის" გამოცდილმა მეკარემ საერთოდაც ჩინებული მატჩი ჩაატარა და სწორედ მისი დამსახურებაა, ბოლნისელებმა გოლი რომ არ გაუშვეს, არადა, მე-19 წუთზე ისეთი ეპიზოდი მოხდა, შესაძლოა, მატჩის საბოლოო შედეგზე ექონია გავლენა: ბესიკ ჩიმაკაძემ ძალისმიერ ორთაბრძოლაში აჯობა მეურვეს, საჯარიმოშიც შეიჭრა და ძლიერი დარტყმით ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა, მაგრამ მერლანმა თავისი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა!

მოკლედ, „მეტალურგს" დასაკარგი არაფერი ჰქონდა (ბოლო ტურში ხომ „დინამოს" ეთამაშება) და აქტიური თამაშიც მოახვია მეტოქეს, რომლის მთავარ მწვრთნელსაც, როგორც მერე გაირკვა, სწორი ტაქტიკური სქემა ჰქონდა არჩეული: ხუთკაციანი დაცვის წინ ორი საყრდენი და სამი შემტევი (თანაც, გამოკვეთილი ცენტრფორვარდის გარეშე!);

...სტუმრებმა პირველი ხიფათი 35-ე წუთზე... სტანდარტულიდან შექმნეს: **თორნიკე აფციაურის** ჯარიმიდან ჩამოწოდებული ბურთის კარში გადაგზავნას **დავით იმედაშვილი** ცდილობდა, მაგრამ **კოკა სეფიაშვილმა** იყოჩაღა. აი, მომდევნო ეპიზოდში კი გოგობერიშვილი-აბრამიძის „დუეტმა" მასპინძლები რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ეგ კი არა, პირველი ტაიმის მიწურულს, **დაჩი ფოფხაძის** ფლანგურ გარღვევას მერე **გიორგი ბიბილეიშვილი** ვერ მიწვდა შორეულ ძელთან, თორემ ხიფათი გარდაუვალი იყო.

...შესვენების შემდეგ „მეტალურგის" თავკაცმა ორმაგ ცვლილებას მიმართა, თუმცა სტუმართა სწრაფმა გოლმა, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვიტა: ისევ აუტის ხაზთან დანიშნული „სტანდარტული", ისევ გოგობერიშვილის ოსტატურად „ჩაზზრიალებული" ბურთი და ისევ და ისევ აბრამიძის ზუსტი თავური დარტყმა! ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა კი მასპინძლებს რომ ერთობ გაუჭირდებოდათ, ამას, ალბათ, ბევრი შეეგუა და ასეც მოხდა...

გია ტუხაშვილი
რუსთავი-თბილისი

ნინო გელაშვილის ფოტო

ლეგიონის უქმეები

ავთანდილ ებრალიძემ ფერეირას გაუტანა

პორტუგალიაშიც გავიტანეთ

ქართველი მეგოლეები: ებრალიძე, სირაძე, ბეგლარიშვილი, გოგოლაძე...

ამ უქმეებზე კიდევ რამდენიმე ქვეყანაში განახლდა (ან დაიწყო) საფეხბურთო სეზონი, სადაც ქართველები თამაშობენ. ერთ კვირაში კი დანარჩენებიც შეუყვებიან მარათონს და უკვე ლეგიონის სრული მიმოხილვაც გვექნება. გამონაკლისი მხოლოდ ბელარუსია, სადაც ჩემპიონატი მარტის ბოლოს იწყება.

ერთიც და ექვსასია

სტატისტიკოსებმა გამოითვალეს და აღმოჩნდა, რომ „მაინცთან" მატჩამდე 36 წლის **ლევან კობიაშვილმა** პროფესიულ კარიერაში 598 საკლუბო მატჩი ითამაშა და მინდორზე 50 ათას წუთზე მეტი გაატარა. ასეთი შედეგით ვერ დაიკვეხნის ვერც ერთი მოქმედი ქართველი ფეხბურთელი. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ კობი დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო პირველობაზე თამაშობს.

გუშინ „მაინცთან" კობიმ 599-ე მატჩიც ითამაშა, ძალზე მნიშვნელოვან შეხვედრაში კი გუნდებმა ქულები გაიყვეს - 1:1. II ბუნდესლიგაში **ლევან ყენია** სათადარიგო იყო, ხოლო მისი „ფორტუნა" სტუმრად „დრეზდენს" დაუზავდა - 1:1.

III დივიზიონში **ლუკას ჰუფნაგელის** „უნტერჰახინგი" „მიუნსტერთან" 1:2 დამარცხდა, ქართველი ნახევარმცველი სათადარიგო იყო, „უნტერჰახინგი" გასავარდნ ზონაში დაეშვა.

საფრანგეთის ნასიონალ დივიზიონში **ამირან სანაიას** „ლუზენაკმა" შინ 4:0 გაანადგურა „პონტ ტუ ჟარი", ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. მისი გუნდი 45 ქულით მეორე ადგილზეა და დიდი ალბათობით, ლიგა 2-ში აღზევდება.

სასიხარულოა, სანაიას კარგი თამაში პირველი გოლი მის ჩამოწოდებულ კუთხურს მოჰყვა და ბოლო გოლის კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა.

„ემპოლის" სერია B-ს მორიგ ტურში ფეხი დაუცდა - შინ „აველინოსთან" 0:1 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში არც ერთ ქართველ ფორვარდს არ უთამაშია: **ლევან მჭედლიძე** ტრავმირებულია, ხოლო **ირაკლი შეყილაძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „ემპოლი" 46 ქულით ისევ მეორე ადგილზეა, მაგრამ მას კონკურენტები წამოეწივნენ.

საქართველოს ნაკრები

საუდეთთან ავსტრიაში?

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა სეზონი ლიხტენშტაინთან ამხანაგური მატჩით გახსნა. თამაშის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელები გასახდელში ჩვეულებრივზე მეტხანს, დაახლოებით 20 წუთით მაინც გაჩერდნენ.

როცა მიზეზით დავინტერესდით, გვითხრეს, რომ გასახდელში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** ჩასულა და გუნდისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მომზადების გეგმა წარუდგენია. სწორედ ამ დროს უთქვამს სიჭინავას, რომ **თემურ ქეცბაია** ერთკვირიან შეკრებას გეგმავს ავსტრიაში, სადაც საქართველოს ეროვნული გუნდი ერთ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს საუდის არაბეთის ნაკრებთან.

ფეხბურთის ფედერაციაში ამ ინფორმაციის დაკონკრეტება და კომენტარი არ ისურვეს, იმ მოტივით, რომ ნაკრების გეგმებს ახლო მომავალში თავად გაასაჯაროებენ.

მერაბ მამულაშვილი

I ლიგა

დიდი ნაბიჯი უმაღლესისკენ

დინამო (ბთ)-სამტრედია 0:2

0:1 გედენიძე (4), 0:2 მელქაძე (67)

დინამო (ბთ): ალავიძე, ქორიძე, გავაშელიშვილი, ყვანია, სუხიაშვილი, ვარშანიძე, მუჯირი, ფიფია, კიკნაველიძე, ჭკუასელი, სიხარულიძე.

შეცვლაზე: გოგიტიძე, ჩირიკაშვილი, აბუსელიძე.

სამტრედია: მუჯრიშვილი, კაკუშაძე, თ. შალიკაშვილი, დვალი, ბაკურაძე, კერძევაძე, კიკაბიძე, პავლიაშვილი, მელქაძე, გედენიძე, ქანთარია.

შეცვლაზე: ხაჭიპერაძე, მოსიაშვილი, ბაგაშვილი, ჯანელიძე, ქურდობაძე (I ლიგაში დაშვებულია 5 შეცვლაა)

გაფრთხილება: ყვანია (24)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

პირველი ლიგის B ზონაში ტურის ცენტრალურ შეხვედრას ქობულეთმა უმასპინძლა - ლიდერი „სამტრედია" მეორეადგილოსან ბათუმის „დინამოს" ესტუმრა და უმაღლესი ლიგისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

იმერულმა კლუბმა ანგარიში უკვე მე-4 წუთზე გახსნა - მეტოქეს ბურთი **ზვიად ქანთარიამ** აართვა, **გიორგი მელქაძემ** შეტევა **ილია პავლიაშვილს** გაუგრძელა, რომელმაც პენალტის ნიშნულთან **ბიჭიკო გედენიძე** მოძებნა, მან კი თავური დარტყმით ბათუმელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა - 0:1.

პირველ ტაიმში „სამტრედიას" კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა და ორჯერვე მეკარესთან პირისპირ პავლიაშვილი დარჩა, მაგრამ მიზანს ააცილა.

თავის გამოჩენა მასპინძლებსაც შეეძლოთ. განსაკუთრებით სახიფათო გამოდგა **გოგი ფიფიას** შეტევა, რომელიც დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ „სამტრედიას" მეკარე **მიხეილ მუჯრიშვილს** ვერ აჯობა.

მეორე ნახევარი ბათუმელებმა უფრო მობილიზებულად დაიწყეს, რამდენჯერმე ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ **გელა სანაიას** გაწვრთნილი „სამტრედია" გაცილებით ორგანიზებულად თამაშობდა, მეტოქეზე სწრაფად უტევდა და მასპინძელთა დაცვას პრობლემებს უქმნიდა.

შედეგად, სტუმრებმა ბათუმელთა კარი მეორედაც აიღეს - 67-ე წუთზე გედენიძის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი ბათუმელთა მცველმა უხეიროდ მოიგერია და ყველას **გიორგი მელქაძემ** დაასწრო - 0:2.

სამტრედიელებმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს და უშუალო კონკურენტს 6-ით, ხოლო ხელვაჩაურის „მაჭახელას" 3 ქულით გაუსწრეს.

მერაბ მამულაშვილი

A ზონა

საპოვნელა-ადელი	6:0
მეშახტე-მერცხალი	3:0
კოლხეთი (ფ)-სქური	5:0
ალგეთი-იმერეთი	6:2
შუქურა-დინამო 2 (თბ)	4:1
კახეთი-გაგრა	1:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კოლხეთი (ფ)	14	12	1	1	34-7	37
2. შუქურა	13	10	2	1	46-12	32
3. საპოვნელა	14	9	2	3	29-11	29
4. ალგეთი	14	8	1	5	22-14	25
5. გაგრა	14	6	6	2	27-15	24
6. დინამო 2	14	7	2	5	32-19	23
7. მეშახტე	14	6	3	5	26-21	21
8. ჩხერიმელა	13	5	3	5	21-24	18
9. სქური	14	4	1	9	15-34	13
10. იმერეთი	14	3	3	8	13-32	12
11. ადელი	14	2	2	10	14-43	8
12. კახეთი	14	2	2	10	13-35	8
13. მერცხალი	14	1	2	11	8-33	5

B ზონა

მაჭახელა-ჭიათურა	4:1
ბეთლემი-სასკო	1:1
სამგურალი-დილა 2	0:0
სტუ-კოლხეთი (ხ)	2:2
დინამო (ბთ)-სამტრედია	0:2
საბურთალო-სულორი	2:1
ბახმარო-ლოკომოტივი	0:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სამტრედია	15	12	1	2	30-14	37
2. მაჭახელა	15	10	4	1	29-9	34
3. დინამო (ბთ)	15	10	1	4	26-11	31
4. ჭიათურა	15	9	1	5	22-18	28
5. სასკო	15	8	2	5	25-13	26
6. სამგურალი	15	6	4	5	26-26	22
7. საბურთალო	15	6	2	7	22-18	20
8. ბეთლემი	15	6	2	7	19-20	20
9. ლოკომოტივი	15	6	1	8	29-23	19
10. დილა 2	15	5	3	7	19-28	28
11. კოლხეთი (ხ)	15	4	4	7	18-31	16
12. სტუ	15	4	2	9	28-32	14
13. ბახმარო	15	0	7	8	13-34	7
14. სულორი	15	1	2	12	8-37	5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთოს გოლი

მცირე ჩავარდნის მერე არნემის „ვიტესი" ჩვეულ ფორმას დაუბრუნდა, რაც ძალზე გვახარებს, რადგან გუნდში ორი ქართველი ლეგიონერია. „ბრედასთან" სტუმრად 2:1 მოგებულ შეხვედრაში კაპიტანმა **გურამ კაშიამ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ვაკო ყაზაიშვილმა** - ბოლო 10 წუთი. მეორე ტაიმში, ერთ-ერთ ეპიზოდში კაშიაზე პენალტის დადებას ითხოვდნენ მასპინძლები, მაგრამ მსაჯმა ქართველი მცველის ვარდნა წესების დარღვევად არ შეაფასა. „ვიტესი" 52 ქულით მეორე ადგილზეა.

გუშინ პორტუგალიის ჩემპიონატში ქართული გოლი გავიდა - „ჟილ ვისენტე" „პაკუშ დე ფერეირას" ეწვია და 2:0 მოუგო. მეორე გოლი 70-ე წუთზე **ავთო ებრალიძემ** გაიტანა. ეს მისი პირველი გოლია პორტუგალიის ელიტურ ლიგაში.

რუმინეთში **გიორგი ჭანტურიას** „კლუჟმა" „სტიაუას" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა, ქართველმა ფორვარდმა მეორე ტაიმი ითამაშა.

ეტოო გაახარეს

ზამთრის ძილისგან რუსულმა პრემიერლიგამაც გამოიღვიძა და სეზონი მე-20 ტურის მატჩებით განახლდა. „ურალის" ნახევარმცველმა **ლაშა გვალიამ**, როგორც იქნა, მიიღო რუსეთის ვიზა და „კრასნოდართან" საგარეო გამარჯვებას (1:0) თვალი სათადარიგოთა სკამიდანაც ადევნა.

„ანჟიმ" ყაზანის „რუბინი" 1:0 დაამარცხა, გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გია გრიგალავამ**, ნაგებულთა შორის სათადარიგო იყო **საბა კვირკველია**. მატჩს დაესწრო „ანჟის" ყოფილი ფორვარდი **სამუელ ეტოო**, რომელმაც წინა დღეს „ჩელსის" რიგებში" გაიბრწყინა.

აღსანიშნავია, რომ გრიგალავას „ჩემპიონატმა" 7 ბალი დაუწერა, ასეთი შეფასება ორივე გუნდში მხოლოდ გამარჯვების გოლის ავტორ **ბუხაროვს** ჰქონდა.

დღეს თამაშობენ **ჯანო ანანიძის** „როსტოვი", ასევე **ალეკო ამისულაშვილის** „კრილია სოვეტოვი".

განახლდა I დივიზიონის სეზონიც და ქართველებმა თავი გამოიჩინეს - ნალჩიკის „სპარტაკმა" „სკა-ენერგია" 2:1 დაამარცხა. ანგარიში 31-ე წუთზე მასპინძელთა ფორვარდმა **დავით სირაძემ** გახსნა. სირაძე მატჩის მიწურულს შეცვალეს. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ჯიქიამ**, **ნიკა ჩხაპელია** 56-ე წუთზე გამოჩნდა, **გუჯა რუხაია** კი სათადარიგო იყო. ქართველთა ნაკლებობას არც „სკა-ენერგია" განიცდის, **გოგიტა გოგუამ** 50-ე წუთამდე ითამაშა (გააფრთხილეს), **გიორგი ნავალოვსკი** შეუცვლელად გაისარჯა, ხოლო **კახა ალადაშვილი** სათადარიგო იყო.

ლიდერი „მორდოვია" „უფას" დაუზავდა - 2:2. სათადარიგო იყო „მორდოვიას" ცენტრალური მცველი **აკაკი ხუბუტია**. **ზურაბ არზიანის** „გაზოვიკი" დღეს თამაშობს.

კუნძულზეც გავიტანეთ

თურქულ სუპერლიგაში **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ" სტუმრად ვერ მოუგო „ელაზიგს". **ზურაბ ხიზანიშვილის** „ქაისერი" სტუმრად 1:2 დამარცხდა „გაზიანთეფთან", ქართველ მცველს არ უთამაშია.

დანიაში ქართველთა „ორჰუსი" შინ „ოლბორგთან" განადგურდა - 2:5. 69-ე წუთამდე მოედანზე ჩვენებური არ იმყოფებოდა, მაშინ შევიდა **დავით დევდარიანი** (ანგარიში უკვე 1:5 იყო), ხოლო **დავით სხირტლაძე** ბოლომდე სკამზე დარჩა, **მათე ვაწაძე** ტრავმირებულია.

პოლონურ ექსტრაკლასაში „იაგელონიამ" შინ 1:0 დაამარცხა „ზაგლებიე". მასპინძლებს დისკვალიფიცირებული **გიორგი ფოფხაძე** აკლდათ, ხოლო **ნიკა ძალამიძე** სათადარიგო იყო. „სლასკთან" საგარეო მატჩში (1:1) „ლეგიას" დისკვალიფიკაციამოხდილი ფორვარდი **ლადო დვალიშვილი** 57-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

კვიპროსში **ლევან მაღრაძის** „ერმისმა" „არისი" უქართველოდ დაამარცხა - 2:1. მაღრაძე სათადარიგო იყო. „ანორთოსისის" და „ნეა სალამინას" მატჩში **შოთა გრიგალაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო. 68-ე წუთზე ჩვენებურმა დააწინაურა მასპინძლები, შემდეგ ქართველი გაიყვანეს. მთავარი მოვლენები ბოლო წამებზე მოხდა, როცა ორივე გუნდიდან გააძევეს ფეხბურთელი, ხოლო სტუმრებმა ქულის გადარჩენა შეძლეს - 1:1.

მალტაში ქართველთა „ვალეტას" შეხვედრა „მოსტასთან" გადაიდო.

ფინეთში ლიგის თასის პლეი-ოფი წააგო **ლევან სირბილაძის** „ინტერმა", რომელიც შინ ჰიკ-თან დამარცხდა - 1:3. ქართველმა შეუცვლელად ითამაშა.

გიორგი ჭანტურია

გოგოლაძე აღარ ხუმრობს

აზერბაიჯანში **ჯაბა დვალისა** და **ნიკოლოზ გელაშვილის** „ყარაბაღი" ჩემპიონობისკენ თავდაჯერებით მიიწევს, „ტოფიკ ბაჰრამოვზე" „ყარაბაღმა" 4:0 გაანადგურა „ბაქი". სასტარტოში იყო დვალი, ხოლო გელაშვილი ტრავმირებულია. უახლოეს კონკურენტს ქართველთა გუნდი უკვე 9 ქულით უსწრებს. **კახა ცხადაძის** „ინტერმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „სუმგაიტი". ცხადაძემ 62-ე წუთზე მოედნიდან მოხსნა **ალექსანდრე იაშვილი** და თავისი ვაჟი **ბაჩანა**, **ლაშა სალუქვაძემ** კი ბოლომდე ითამაშა, **გიორგი ლომაია** ამჯერად, სათადარიგო იყო. „ინტერი" 42 ქულით მესამეა. მორიგი გამარჯვება იზეიმა **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგმა". ქართველი სპეციალისტის გუნდმა სტუმრად აზალ-ს მოუგო - 2:0. აზალ-ის რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლაშა კასრაძემ**.

როგორც ჩანს, „ბანანცმა" ბრესტის „დინამოს" ყოფილი ფორვარდის, **უჩა გოგოლაძის** დამატებით შესანიშნავი შენაძენი გააკეთა - „ბანანცმა" 2:0 მოუგო „ულისს" და მე-13 წუთზე ანგარიში უჩამ გახსნა. ეს გოგოლაძის მეორე გოლია მეორე მატჩში. სტუმართა რიგებში **თენგიზ უგრეხელიძე** არ გამოჩენილა.

ესტონური მეისტრილიგის II ტურში გოლით გამოიჩინა თავი „ფლორას" შემტევმა ნახევარმცველმა **ზაქარია ბეგლარიშვილმა**, „ფლორამ" „პაიდე" 5:0 დაამარცხა, ქართველმა კი 21-ე წუთზე გახსნა ანგარიში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVIII ტური

ესეკიელ ლავეციმ დუბლი შეასრულა

ველოდრომზე დასამარებული იმედი

ლავეცი დაიძოძა

„მარსელმა" საჩემპიონთალიგო იმედები საკუთარ „ველოდრომზე" დაასამარა. **ჟოზე ანიგოს** გუნდს რეალურად უმოტივაციო „ნიცასთან" გამარჯვება ევალებოდა, მაგრამ საერთოდ წააგო. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ნიცელებს ამ სტადიონზე ერთი მატჩი უკვე მოგებული ჰქონდათ, თასის დაუვიწყარი დაპირისპირება - 4:5. ამჯერად, **კლოდ პუელის** გუნდის მხრიდან შეხვედრის ერთადერთი გოლი **ვალენტინე ესერიკმა** გაიტანა.

„პარი სენ-ჟერმენმა" ყოველგვარი პრობლემების გარეშე, ცალი ფეხით მოუგო „ბასტიას". **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ერთი გოლით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ კორსიკაზე გაილაღა **ესეკიელ ლავეციმ**, არგენტინელმა დუბლი გაახერხა. პირველი ბურთი „პოჩომ" იბრას საოცარი პასით გაიტანა.

„პსჟ-სთან მატჩებისას არ გვიმართლებს და სულ სწრაფ გოლს ვუშვებთ, მერე კი ორმაგად რთულია თამაშში დაბრუნება" - სინანულით აღნიშნა „ბასტიას" თავკაცმა **ფრედერიკ ჰანცმა**.

ლორან ბლანი: *„ ჩვენი მიზანი ყველა შეხვედრის მოგებაა, ლავეცი უკეთ ათამაშდა, იგი მომენტებს თანაგუნდელებსაც უქმნის და თავადაც გააქვს".*

მოიგო „მონაკომაც" - **კლაუდიო რანიერის** გუნდი თავიდანვე დომინირებდა, თანაც ახალწვეულმა **დიმიტარ ბერბატოვმა** სწრაფი გოლი გაიტანა. „ლუი მეორეზე" სიტუაცია შედარებით დაიძაბა მას მერე, რაც **ედუარ ბუტენმა** 83-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, მაგრამ მონბელიარელებს მალევე „მარსელიდან" ნათხოვარი **ჯორდან აიუ** გაუძევეს და მათ ველარაფერი გაახერხეს. „სოშოს" დარჩენის ისედაც მიზერული შანსები ამით ფაქტობრივად გაქრა კიდეც.

ორიემ აურია

უხვგოლიანი და დრამატული მატჩი გამოვიდა ტულუზში. „რეიმსი" 35-ე წუთისთვის ორი პენალტის წყალობით 2:0-ს იგებდა და უკვე ხუთეულზე ფიქრობდა, მაგრამ... **ალენ კაზანოვას** გუნდმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო. ყველაფერი 75-ე წუთზე დაიწყო, როდესაც **სერჟ ორიემ** სიტუაცია არია, მან ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო აქედან 4 წუთში **ედენ ბენ ბასატმა** წონასწორობა აღადგინა. 88-ეზე კი ბოლო დროს შესანიშნავად მოთამაშე **ვისამ ბენ იედერმა** გმირული გამარჯვება მოუტანა „ტულუზს". ეს 23 წლის ფეხბურთელის მე-11 გოლი იყო სეზონში.

უცნაური თამაში იყო ნანტში. მართალია „იადონებს" ქულები დიდად აღარ სჭირდებათ, მაგრამ მათ მაინც სურდათ შვიდმატჩიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტა და თითქოს იდეალური მეტოქეც ჰყავდათ ბოლოადგილოსანი „აიაჩოს" სახით. შეხვედრის დებიუტში წინ კორსიკელები გავიდნენ. **სერჟH გაკპემ** მალევე გაათანაბრა და როდესაც ნანტელთა საუკეთესო ბომბარდირმა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა **ფილიპ ჯორკჯევიჩმა** გუნდი წინ გაიყვანა, თითქოს ყველაფერი თავის ადგილას დადგა, მაგრამ ბოლო წამებზე **სიგამარი დიარამ** გათანაბრება შეძლო. გოლი საკამათო ვითარებაში გავიდა, ერთ-ერთი კორსიკელი ფეხს იტკიებდა და მასპინძლებმაც ბურთი დათმეს, თითქოს მატჩის შეჩერების მიზნით, მაგრამ „აიაჩომ" შეუტია და გაიტანა. „ნანტის" მწვრთნელი **მიშელ დერ ზაქარიანი** ძალიან გაბრაზებული გახლდათ.

„სოშოს" მოსალოდნელმა მარცხმა კიდევ ერთხელ ნათლად გამოაჩინა, რომ ამჟამად გასავარდნ ზონაში მყოფი სამი გუნდიდან მხოლოდ „ვალანსიენი" თუ გაიბრძოლებს. **არიელ იაკობსის** გუნდმა ჯერჯერობით სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო საკუთარ კედლებში „რენს" და ბრძოლას აგრძელებს. „სტად დუ აინოზე" მოვლენები საინტერესოდ მეორე ნახევარში განვითარდა. **ოლა ტოივონენმა** „რენი" კი დააწინაურა, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქეს ძალიან მალე უპასუხეს და საბოლოოდ მათ მშველელად ისევ მოსკოვის „სპარტაკიდან" იანვარში ნათხოვარი **აბდულ მაჯიდ უარისი** მოევლინათ. მართალია, განელმა პენალტი, რომელსაც **ჟან-არმელ კანა-ბიიკის** გაძევებაც მოჰყვა, ვერ გაიტანა, მაგრამ უარისმა დამატებაზე ითამაშა და შეცდომა იქვე გამოასწორა. 22 წლის თავდამსხმელის შედეგი მართლაც გასაოცარია, ეს მისი მეხუთე გოლი იყო და 5-ივეთი მან სარგებელი მოუტანა გუნდს - ერთ შეხვედრაში დუბლი გააxერხა და მაშინ „ვალანსიენმა" ქულა აილო, დანარჩენი სამი ბურთი კი გამარჯვებისა გამოდგა ანუ პირადად უარისმა თავის კლუბს 10 ქულა მოუტანა, არადა, „ვალანსიენს" სულ 25 ქულა აქვს მოგროვილი.

კვირას **რენე ჟირარმა** თავის ყოფილ გუნდს, „მონპელიეს" მოუგო. ლილელებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს და დამსახურებულადაც იმარჯვეს. ამით მათ ძალიან საჭირო უპირატესობა მოიპოვეს უახლოეს მდევარ „სენტ ეტიენთან", რომელმაც „ლილის" შედეგი იცოდა და „ლორიანთან" ყველანაირად გამარჯვებას ცდილობდა, მაგრამ ბოლო წუთზე აქეთ გაუშვა - **ჯოშუა გილავოგიმ** ხელით ითამაშა და პენალტი **ჟერემი ალიადირმა** გაიტანა. „მწვანეების" შანსები ამ მარცხით ერთიორად შემცირდა.

გიორგი პაკაბაძე

მარსელი–ნიცა 0:1

გოლი: 0:1 ესერიკი (66)

მარსელი (4-3-3): მანდანდა - ფანი, ნკულუ, ლუკამ მენდეში, მორელი (84. მენდი) - რომაო, შეირუ (70. იმბულა), ა. აიუ (44. ხელიფა) - ვალბუენა, პაიე, ტოვენი

ბასტია–პსჟ 0:3

გოლები: 0:1 იბრაჰიმოვიჩი (6), ლავეცი (19), 0:3 ლავეცი (88)

პსჟ (4-3-3): სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, მარკინიოსი, მაქსველი - ტიაგო მოტა, რაბიო (65. მატუიდი), ვერატი (65. კაბაი) - ლავეცი, ლუკასი (80. პასტორე), იბრაჰიმოვიჩი

გენგამი–ევიანი 0:1

გოლი: 0:1 კამბონი (49)

მონაკო–სოშო 2:1

გოლები: 1:0 ბერბატოვი (6), 2:0 ჯ. როდრიგესი (66-პენ.), 2:1 ბუტენი (83)

გაძევება: ჯ. აიუ (85. გაძევება)

მონაკო (4-3-3): სუბაშიჩი - ფაბინიო (77. რაჯი), ისიმატ-მირენი, რ. კარვალიო, კურზავა - მოუტინიო, ტულალანი, ობადი - ჯ. როდრიგესი (83. დირარი), ჟერმენი (87. ოკამპოსი), ბერბატოვი

ვალანსიენი–რენი 2:1

გოლები: 0:1 ტოივონენი (49), 1:1 დოსევი (54), 2:1 უარისი (77)

გაძევება: კანა-ბიიკი (75. რენი)

ნანტი–აიაჩო 2:2

გოლები: 0:1 მოსტეფა (5), 1:1 გაკპე (8), 2:1 ჯორჯევიჩი (76), 2:2 ს. დიარა (90)

ტულუზი–რეიმსი 2:3

გოლები: 0:1 კრიხოვიაკი (22-პენ.), 0:2 დე პრევილი (35-პენ.), 1:2 ორიე (75), 2:2 ბენ ბასატი (79), 3:2 ბენ იედერი (88)

ლილი–მონპელიე 2:0

გოლი: 1:0 ბაშა (18), 2:0 რუ (57)

ლორიანი–სტ. ეტიენი 1:0

გოლი: 1:0 ალიადირი (90-პენ.)

ბორდო–ლიონი 1:2

გოლი: 1:0 საივე (8), 1:1 ბედიმო (91), 1:2 ტოლისო (94)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პსჟ	28	20	7	1	67-18	67
2. მონაკო	28	17	8	3	46-22	59
3. ლილი	28	15	7	6	33-18	52
4. სტ. ეტიენი	28	14	6	8	38-24	48
5. ლიონი	28	12	9	7	42-32	45
6. მარსელი	28	12	7	9	38-30	43
7. რეიმსი	28	11	9	8	37-36	42
8. ბორდო	28	11	7	10	35-33	40
9. ტულუზი	28	10	9	9	34-38	39
10. ბასტია	28	10	7	11	31-41	37
11. ლორიანი	28	10	6	12	36-38	36
12. ნიცა	28	10	4	14	24-33	34
13. მონპელიე	28	6	15	7	33-33	33
14. გენგამი	28	8	8	12	26-29	32
15. ნანტი	28	9	5	14	25-32	32
16. რენი	28	7	10	11	32-34	31
17. ევიანი	28	7	9	12	28-43	30
18. ვალანსიენი	28	6	7	15	29-46	25
19. სოშო	28	5	7	16	23-50	22
20. აიაჩო	28	2	9	17	24-51	15

ბომბარდირები: 23 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 14 - ედინსონ კავანი (პსჟ); 13 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 12 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 11 - ვისამ ბენ იედერი (ტულუზი); 10 - ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), რემი კაბელია (მონპელიე), სალომონ კალუ (ლილი), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი)

მომდევნო ტური

14 მარტი: რეიმსი-მარსელი

15 მარტი: ლილი-ნანტი, ევიანი-ვალანსიენი, აიაჩო-გენგამი, ნიცა-ბასტია, სოშო-ლორიანი, რენი-ტულუზი

16 მარტი: მონპელიე-ბორდო, ლიონი-მონაკო, პსჟ-სენტ ეტიენი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური

ბაიერნი ზღვარს გასცდა!

მიუნხენელებს ვერ აჩერებენ

„ბაიერნის“ ცივსისხლიანობა უკვე ყველანაირ ჩარჩოებს გასცდა. დაუნდობლობაცაა და დაუნდობლობაც, ხოლო ის, რასაც **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში აკეთებს, უკვე უსაზღვრო ცივსისხლიანობა ჰქვია. რეკორდმაისტერი ამჯერად „ვოლფსბურგს“ ესტუმრა და სასტიკად შეცდა ყველა, ვინც ფიქრობდა, რომ ბავარიელები „მგლებს“ მაინც დაინდობდნენ.

„ვოლფსბურგმა“ იბრძოლა ისე, როგორც შეეძლო და **დიტერ ჰეკინგის** შეგირდები პირველ ტაიმში მართლაც ძალიან კარგად თამაშობდნენ. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ მიუნხენელებმა თამაში შედარებით ინერტულად დაიწყეს, თუმცაღა უპირატესობას თავიდანვე ფლობდნენ. ანგარიში „ვოლფსბურგმა“ გახსნა (**ნალდო**), მაგრამ „ბაიერნმა“ წონასწორობა მალევე აღადგინა და პირველი ტაიმი ასეც დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ გვარდიოლას შეგირდებმა ვერც მეორე ტაიმი დაიწყეს ისე, როგორც „ბაიერნისგან“ მიჩვეულები ვართ და ეს ყველაფერი პეპს სადღაც 57-ე წუთისთვის ყელში ამოუვიდა: გვარდიოლამ სათადარიგოთა სკამს გადახედა, სადაც მეკარე **შტარკეს** გარდა ყველა ნაკრების ფეხბურთელი იყო და მოედანზე **შაჩირისა** და **კროოსის** ნაცვლად **ტიაგო ალკანტარა** და **მარიო მანჯუკიჩი** შეუშვა - სწორედ აქედან დაიწყო „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგის“ გვემა.

ბავარიელებმა ვოლფსბურგელებს 17 წუთში 5 გოლი (!) გაუტანეს! 63-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ტიაგომ შესანიშნავი პასი მისცა **თომას მიულერს**, რომელმაც მიუნხენური გრანდი წინ გაიყვანა; სამ წუთში მეორე „ჯოკერმა“, მანჯუკიჩმა ანგარიში 1:3 გახადა, 70-ე წუთზე კი **რიბერიმ** ტაბლოზე 1:4 დააფიქსირა. „მგლებმა“ აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ მიულერმა და მანჯუკიჩმა დუბლები გაიფორმეს.

„რთული ასახსნელია, რა დაგვემართა ბოლო 35 წუთში. ყველაფერი შესანიშნავად დაიწყო, ძალიან კარგად ვიბრძოდით, მეორე ტაიმში კი დაცვა მთლიანად აიჟრა,“ - სასოწარკვეთილი იყო მატჩის შემდეგ „ვოლფსბურგის“ თავკაცი ჰეკინგი.

„ეჭვი ერთხელაც არ შემპარვია იმაში, რომ „ვოლფსბურგის“ გატეხვა დროის ამბავი იყო. ცხადი იყო, რომ 90 წუთის განმავლობაში ვერ ითამაშებდნენ ისეთ პრესინგს, როგორსაც პირველ ტაიმში მიმართავდნენ. ამას, უბრალოდ, ვერ გაუძლებდნენ,“ - ეს „ბაიერნის“ კაპიტნის, **ფილიპ ლამის** სიტყვებია. ამრიგად, „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ მე-16 მატჩი მოიგო და ახალი რეკორდი დაამყარა - ბავარიელებს გერმანიის ჩემპიონატში ახლა უკვე 49-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ.

საუკეთესო ოთხეული ხელშეუხებელია?

ამ მარცხით „ვოლფსბურგმა“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გაბრძოლების რეალური შანსი დაკარგა. „მგლები“ უკვე ხუთი ქულით ჩამორჩებიან მეოთხე ადგილზე მყოფ „შალკეს“, რომელმაც ამ ტურში „ჰოფენჰაიმი“ 4:0 გაანადგურა. ეს გელზენკირხენული კლუბისთვის დროული გამოცოცხლება გახლდათ, რადგან „რეალთან“ 1:6-ისა და „ბაიერნთან“ 0:5-ის შემდეგ „შალკეს“ მთავარ მწვრთნელ **იენს კელერს** ისევ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა, „ჰოფესთან“ კარგმა თამაშმა და დიდი ანგარიშით გამარჯვებამ კი ვითარება გამოასწორა. ოთხიდან სამი გოლი **კლაას-იან ჰუნტელაარის** ანგარიშზეა. 30 წლის ჰოლანდიელ გოლეადორს პოკერის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ 32-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა.

ამ გამარჯვების შემდეგ „შალკე“ „ლევერკუზენს“ ქულებით გაუთანაბრდა და მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩება, თუმცა განსხვავება აქაც მხოლოდ ორ ბურთშია. ასე იმიტომ მოხდა, რომ „ლევერკუზენმა“ კვლავ ვერ მოიგო - **სამი ჰიიპიას** გუნდმა ქულები ამჯერად ჰანოვერში (1:1) დაკარგა.

გრძელდება **შტეფან კისლინგის** კრიზისიც, რომელიც შარშან ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო, ახლა კი ბუნდესლიგის ბოლო 14 მატჩში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი. 30 წლის კისლინგმა ვერც ჰანოვერში გააწყო რამე - ერთი საგოლე მომენტი რაა, ისიც კი არ ჰქონია. ლევერკუზენელები მარცხს რომ გადაურჩნენ, ამას თავიანთ მეკარე **ბერნდ ლენოს** უნდა უმადლოდენ, რომელმაც **საბოლჩ ჰუსტის** პენალტი მოიგერია. ცნობისათვის, ლენოს ამ სეზონში უკვე 5 (!) თერთმეტმეტრიანი აქვს აღებული. ასეთი რამ მანამდე ბუნდესლიგაში მეკარემ ბოლოს 1984/85 წლების სეზონში მოახერხა - „გლადბახის“ კარის დარაჯმა **ზუდემ**.

აუგსბურგის ზღაპარი გრძელდება

საუკეთესო ოთხეულის შემდეგ, მთავარი ინტრიგა ევროპალიგისთვის ბრძოლაა, სადაც რეალურად 5 გუნდია ჩაბმული - „ვოლფსბურგი“, „აუგსბურგი“, „მაინცი“, „გლადბახი“ და „ჰერტა“. ევროპალიგაში ბუნდესლიგიდან სულ ორი გუნდი გადის და ამისათვის მე-5 და მე-6 ადგილების დაკავებაა საჭირო, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მე-7 ადგილიც გამსვლელი გამოდგეს - გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები გერმანიის თასზე. „ვოლფსბურგი“ ამ ბრძოლაში უკვე ფავორიტია, მეორე ფავორიტად კი, ყველასათვის მოულოდნელად, „აუგსბურგი“ იქცა, რომელმაც ამ ტურში უშუალო კონკურენტი „გლადბახი“ სტუმრად 2:1 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ძალიან ეფექტური გოლი გამოუვიდა აუგსბურგელთა თურქ წინახაზელ **ჰალილ ალთინთოფს**, რომელმაც თითქმის მაკრატელა დარტყმა შეასრულა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

შტუტგარტი

შნაიდერი გააგდეს, სტევენსი დანიშნეს



შტუტგარტის თავკაცად ჰუუბ სტევენსი დაინიშნა

„შტუტგარტის“ მთავარმა მწვრთნელმა **თომას შნაიდერმა** ბოლო შანსი ვერ გამოიყენა - შვაბებმა ბოლოადგილოსან „ბრაუნშვაიგთან“ 2:2 ითამაშეს, რის გამოც მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებმა 41 წლის სპეციალისტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გაირკვა ისიც, რომ შნაიდერს 60 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი, ბუნდესლიგაში გამოცდილი **ჰუუბ სტევენსი** შეცვლის.

„უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ხშირად არ გვიმართლებდა, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი ვერ იქნება. ფაქტი იყო, რომ თომას შნაიდერი ამ წნეხს ვეღარ გაუძლებდა,“ - ეს შვაბთა სპორტული დირექტორის, **ფრედი ბობიჩის** სიტყვებია. სტევენსი „შტუტგარტთან“ კონტრაქტს სეზონის ბოლომდე გააფორმებს.

თურქეთი

სუპერლიგა. XXIV ტური

ელაზიგი-ქასიმფაშა 0:0

ბურსა-ქარაბიუქი 1:0

გოლი: 1:0 ფერნანდაო (83-პენ)

გალათასარაი-ახიშარი 6:1

გოლები: 1:0 დროგბა (13), 2:0 ალექს ტელეში (18), 3:0 დროგბა (48), 4:0 ბ. ილმაზი (55), 4:1 აქიუზი (59), 5:1 ბრუნო მეზენგა (65-საკ. კარში), 6:1 სნეიდერი (72)

ერჩიესი-კონია 1:0

გოლი:L1:0 ედინიო (56)

გენჩლერბირლიგი-სივასი 2:1

გოლები: 0:1 რადკოვი (19-საკ. კარში), 1:1 სტანჩუ (59-პენ), 2:1 დურმაზი (82)

გაზიანთეფი-ქაისერი 2:1

გოლები: 0:1 სერენო (24), 1:1 თოსუნი (72-პენ), 2:1 აბდუ რაზაკ ტრაორე (77)

ანთალია-რიზე 1:2

გოლები: 1:0 ლ. დიარა (7), 1:1 კვეუკე (64), 1:2 კვეუკე (67)

ბეშიქთაში-ესქიშეჰირი 1:0

გოლი: 1:0 გიულუმი (90)

10 მარტი

ტრაბზონი-ფენერბაჰჩე 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ფენერბაჰჩე	23	16	3	4	51-26	51
2. გალათასარაი	24	13	9	2	47-21	48
3. ბეშიქთაში	24	13	7	4	40-22	46
4. სივასი	24	11	3	10	42-39	36
5. ქასიმფაშა	24	9	8	7	38-30	35
6. ახიშარი	24	10	5	9	33-36	35
7. ტრაბზონი	23	9	7	7	32-29	34
8. ქარაბიუქი	24	9	7	8	25-25	34
9. ბურსა	24	9	7	8	27-30	34
10. ესქიშეჰირი	24	9	6	9	27-25	33
11. გაზიანთეფი	24	9	5	10	29-40	32
12. კონია	24	8	4	12	33-35	28
13. გენჩლერბ.	24	8	4	12	27-32	28
14. ელაზიგი	24	8	3	13	32-47	27
15. ანთალია	24	5	10	9	27-30	25
16. რიზე	24	6	7	11	28-34	25
17. ერჩიესი	24	7	4	13	25-36	25
18. ქაისერი	24	3	7	14	16-42	16

ბომბარდირები: 13 - უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), ჩაჰეჩოუჰე (სივასი), ბ. ილმაზი (გალათასარაი); 12 - დროგბა (გალათასარაი), სტანჩუ (გენჩლერბირლიგი); 11 - დ. ილმაზი (ელაზიგი); 10 - ნიასე (ახიშარი).

შალკე-ჰოფენჰაიმი 4:0

გოლები: 1:0 ჰუნტელაარი (6), 2:0 ჰუნტელაარი (28), 3:0 ობასი (55), 4:0 ჰუნტელაარი (79)

შალკე (4-2-3-1): ფერმანი - ჰუგლანდი, პაოვედესი, მატიპი, კოლაშინაცი - კ. ბოატენგი, ნოიშტედტერი - ობასი (70. ფუხსი), დრაქსლერი (80. მ. მაიერი), გორეტცკა - ჰუნტელაარი (80. სალაი).

ჰოფენჰაიმი (4-3-1-2): კასტეელსი - ფ. ჯონსონი, შტრობლი (46. სალიჰოვიჩი), ზიულე, ბეკი - რუდი, პოლანსკი, პერდლინგი (46. ვესტერგაარდი) - რობერტო ფირმინო - ფოლანდი, მოდესტე (64. შიპლოკი).

32-ე წუთზე ჰუნტელაარმა (შალკე) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: ჰუგლანდი, დრაქსლერი, კოლაშინაცი - პოლანსკი, ბეკი, შიპლოკი

კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 4-9; **კარში დარტყმა:** 24(9)-10(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 60 604

გლადბახი-აუგსბურგი 1:2

გოლები: 1:0 რაფაელი (5), 1:1 ჰალილ ალთინთოფი (35), 1:2 ტო. ვერნერი (81)

გლადბახი (4-2-2-1-1): ტერ შტეგენი - კორბი, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი - ნორდტვეიტი (84. იუნესი), იანჩკე - ჰერმანი (70. ჰრგოტა), არანგო - რაფაელი - კრუზე (74. მლაპა).

აუგსბურგი (4-1-4-1): მანინგერი - ფოგტი, კალსენ-ბრაკერი (65. ჰონგი), კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, მორავეკი, ჰალილ ალთინთოფი (86. კორი), ტო. ვერნერი - ბობადილია (74. ჟი).

გაფრთხილება: 0-0; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 15(8)-19(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 49 622

შტუტგარტი-ბრაუნშვაიგი 2:2

გოლები: 0:1 ჰოხშაიდტი (24), 1:1 მაქსიმი (30), 2:1 ჰარნიკი (35), 2:2 ბიჩაქჩიჩი (82)

შტუტგარტი (4-1-2-1-2): ულრაიხი - შვააბი, რიუდიგერი, ნიდერმაიერი, რაუში - გენტნერი - ლაიტნერი, ბოკა (81. ტრაორე) - მაქსიმი (73. რ. ხედირა) - კაკაუ (87. ტი. ვერნერნი), ჰარნიკი.

ბრაუნშვაიგი (4-2-2-1-1): დავარი - კესელი, ბიჩაქჩიჩი, კორეია, რაიხელი (78. ვრანჩიჩი) - პფიტცნერი (68. პერთელი), თოიერკაუფი - ბელარაბი, ჰოხშაიდტი - ნილსენი (67. ადემი) - კუმბელა.

52-ე წუთზე გენტნერმა (შტუტგარტი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: შვააბი, ტრაორე - პფიტცნერი, ჰოხშაიდტი, კესელი

კუთხური: 11-6; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 14(4)-11(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 59 000

ჰანოვერი-ლევერკუზენი 1:1

გოლები: 0:1 კასტრო (28), 1:1 რუდნევსი (33)

ჰანოვერი (4-2-2-2): ცილერი - ჰ. საკაი, ჰოფმანი, კ. შულცი, პოკონიოლი - ანდრეასენი (82. სანე), შმიდებახი - ჰუსტი, ბიტენკური (87. ია კონანი) - რუდნევსი, მ. დიუფი (15. პრიბი).

ლევერკუზენი (4-1-2-2-1): ლენო - ჰილბერტი, ვოლშაიდი, სპაჰიჩი, ბოენიში - როლფესი - კასტრო, ჩანი - ჰეგელერი (24. სემი), სონი (69. ბრანდტი) - კისლინგი (79. დერდიოკი).

მე-5 წუთზე ჰუსტიმ (ჰანოვერი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: ანდრეასენი - ჩანი

კუთხური: 9-2; **ჯარიმა:** 5-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 19(7)-9(1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

მაყურებელი: 46 600

ვოლფსბურგი-ბაიერნი 1:6

გოლები: 1:0 ნალდო (17), 1:1 შაჩირი (26), 1:2 თ. მიულერი (63), 1:3 მანჯუკიჩი (66), 1:4 რიბერი (71), 1:5 თ. მიულერი (78), 1:6 მანჯუკიჩი (80)

ვოლფსბურგი (4-2-3-1): ბენალიო - ოხსი, ნალდო, კნოხე, როდრიგესი - არნოლდი (79. პოლაკი), მედოიევიჩი - პერიშიჩი, დე ბრუინი (85. ჟუნიორ მალანდა), დ. კალიჯური (79. მ. შეფერი) - დოსტი.

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - რაფინია, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი (67. ხავი მარტინესი), ტ. კროოსი (57. მანჯუკიჩი) - შაჩირი (56. ტიაგო ალკანტარა), რობენი, რიბერი - თ. მიულერი.

გაფრთხილება: მედოიევიჩი

კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12(3)-18(12); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

მაყურებელი: 30 000

ჰამბურგი-აინტრახტი 1:1

გოლები: 0:1 მადლუნგი (29), 1:1 ჩალჰანოღლუ (72-პენ)

ჰამბურგი (4-2-2-1-1): ადლერი - დიკმაიერი, ჯერუ, მანსიენი, ვესტერმანი - არსლანი, ბადელი - რინკონი (62. ტეშე), ილიჩევიჩი - ჩალჰანოღლუ - ზუა.

აინტრახტი (4-1-2-1-2): ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, მადლუნგი, ჯაპკა - შვეგლერი - ფლუმი, რუსი - ბარნეტა (76. ვაისი) - აიგნერი (83. კადლეცი), ა. მაიერი (69. როზენტალი).

გაფრთხილება: ვესტერმანი, ბადელი, ზუა - ბარნეტა, ჯაპკა, სამბრანო

კუთხური: 3-3; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15(9)-7(2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

მაყურებელი: 51 191

ნიურნბერგი-ვერდერი 0:2

გოლები: 0:1 დი სანტო (39), 0:2 ბარგფრედე (68)

ნიურნბერგი (4-2-3-1): რ. შეფერი (46. რაკოვსკი) - ანგა, პეტრაკი, პინოლა, პლატენჰარდტი - კამპანა (76. ჩოლაქი), ფრანტცი - მაკი (63. პეკჰარტი), კიოტაკე, პლუსეკი - დრმიჩი.

ვერდერი (4-1-2-1-2): ვოლფი - იგნიოვსკი (80. ფრიტცი), პრიოდლი, ლუკიმია, კალდიროლა - ბარგფრედე - იუნუზოვიჩი, ობრანიაკი (72. გებრე სელასიე) - ჰანტი - დი სანტო, პეტერსენი (60. მაკიადი).

გაფრთხილება: ანგა, პლუსეკი, კამპანა - ბარგფრედე, ობრანიაკი, იუნუზოვიჩი, კალდიროლა

კუთხური: 6-2; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

მაყურებელი: 40 608

ფრაიბურგი-დორტმუნდი 0:1

გოლი: 0:1 კელი (58)

ფრაიბურგი (4-2-2-2): ბაუმანი - ზორგი, კრმასი, გინტერი, გიუნტერი - შუსტერი (76. კოკელინი), ფერნანდესი - შმიდი, დარიდა (66. კერკი) - ცულეხნერი (70. კლაუსი), მეჰმედი.

დორტმუნდი (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სოკრატისი, ჰუმელსი, შმელცერი - კელი, ნ. შაჰინი (63. კირხი) - ობამეიანგი, მხითარიანი (92. მ. ფრიდრიხი), გროსკროიტცი - შიბერი (74. ი. ჰოფმანი).

გაფრთხილება: [illegible] სოკრატისი

კუთხური: 1-5; **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(0)-12(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 24 000

მაინცი-ჰერტა 1:1

გოლები: 0:1 რამოსი (51), 1:1 ჩუპო-მოტინგი (65-პენ)

მაინცი (4-2-3-1): კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, პარკი - მორიტცი, გაისი - შ. პარკერი (54. კოო), ნ. მიულერი (76. ჟუნიორ დიასი), ჩუპო-მოტინგი (89. მალი) - ოკაზაკი.

ჰერტა (4-1-3-2): კრაფტი - პეკარიკი, ს. ლანგკამპი, **კობიაშვილი**, ჰოლანდი - ჰოსოგაი - მ. ნდიენგი (46. რონი), სკიელბრედი (66. ნიმაიერი), ვან დერ ბერგი - ალაგუი (81. ვაგნერი), რამოსი.

გაფრთხილება: პარკი, მორიტცი - ალაგუი, ვაგნერი

კუთხური: 5-4; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16(6)-12(8); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 29 760

მომდევნო ტური

14 მარტი: აუგსბურგი-შალკე

15 მარტი: **დორტმუნდი-გლადბახი, ვერდერი-შტუტგარტი, ჰოფენჰაიმი-მაინცი, ბრაუნშვაიგი-ვოლფსბურგი, ჰერტა-ჰანოვერი, ბაიერნი-ლევერკუზენი**

16 მარტი: **ჰამბურგი-ნიურნბერგი, აინტრახტი-ფრაიბურგი**

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	24	22	2	0	72-11	68
2. დორტმუნდი	24	15	3	6	55-27	48
3. ლევერკუზენი	24	14	2	8	40-27	44
4. შალკე	24	13	5	6	46-35	44
5. ვოლფსბურგი	24	12	3	9	41-38	39
6. აუგსბურგი	24	11	5	8	37-34	38
7. მაინცი	24	11	5	8	33-36	38
8. გლადბახი	24	10	6	8	41-31	36
9. ჰერტა	24	10	6	8	35-28	36
10. ჰოფენჰაიმი	24	7	8	9	52-52	29
11. ვერდერი	24	7	7	10	28-46	28
12. ჰანოვერი	24	7	5	12	31-43	26
13. აინტრახტი	24	6	8	10	27-40	26
14. ნიურნბერგი	24	4	11	9	27-42	23
15. შტუტგარტი	24	5	5	14	38-51	20
16. ჰამბურგი	24	5	5	14	39-53	20
17. ფრაიბურგი	24	4	7	13	22-45	19
18. ბრაუნშვაიგი	24	4	5	15	19-44	17

ბომბარდირები: 16 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 15 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი); 12 - თომას მიულერი (ბაიერნი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი); 11 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), რაფაელი (გლადბახი).

II ბუნდესლიგა. XXIV ტური

კაიზერსლ.-ზანდჰაუზენი 2:1

გოლები: 0:1 დ. ბლუმი (10), 1:1 ცოლერი (60), 2:1 დ. შულცი (73-საკ. კარში)

მიუნხენ 1860-აალენი 4:0

გოლები: 1:0 შტარკი (20), 2:0 ოსაკო (21), 3:0 ლუდვიგი (37), 4:0 შტოპელკამპი (87)

კიოლნი-კოტბუსი 2:1

გოლები: 0:1 სანოგო (68), 1:1 ექტორი (84), 2:1 მიორლე (86-საკ. კარში)

უნიონი-ინგოლშტადტი 1:1

გოლები: 0:1 პ. გროსი (1), 1:1 მატუშკა (91-პენ)

არმინია-აუე 1:0

გოლი: 1:0 კლოსი (43)

ფრანკფურტი-ზანკტ პაული 1:0

გოლი: 1:0 ლეკიე (9)

დინამო-ფორტუნა 1:1

გოლები: 1:0 ოუალი (55), 1:1 ლატკა (92)

კარლსრუე-პადერბორნი 4:0

გოლები: 1:0 ტორესი (12), 2:0 ნაზაროვი (69), 3:0 ნაზაროვი (84), 4:0 ვან დერ ბიზენი (87)

10 მარტი

ბოხუმი-ფიურტი 23:15

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კიოლნი	24	13	8	3	38-15	47
2. ფიურტი	23	12	4	7	41-28	40
3. კარლსრუე	24	10	9	5	34-21	39
4. პადერბორნი	24	11	6	7	43-39	39
5. ზანკტ პაული	24	11	5	8	32-29	38
6. კაიზერსლ.	24	11	4	9	37-26	37
7. უნიონი	24	10	7	7	36-30	37
8. მიუნხენ 1860	24	9	7	8	25-26	34
9. ფორტუნა	24	8	8	8	26-32	32
10. ზანდჰაუზენი	24	8	7	9	20-22	31
11. აალენი	24	8	7	9	25-30	31
12. ფრანკფურტი	24	8	6	10	35-37	30
13. ინგოლშტადტი	24	8	6	10	25-29	30
14. აუე	24	8	5	11	29-37	29
15. ბოხუმი	23	7	6	10	21-26	27
16. არმინია	24	7	4	13	30-46	25
17. დინამო	24	4	12	8	25-36	24
18. კოტბუსი	24	4	5	15	27-40	17

ბომბარდირები: 11 - ცოლერი (კაიზერსლაუტერნი); 10 - კაპლანი (ფრანკფურტი), მატუშკა (უნიონი), ზალიკი (პადერბორნი), სილვესტრი (აუე); 9 - ბენშოპი (ფორტუნა), მეპა (პადერბორნი).

III ბუნდესლიგა

დარმშტადტი-დუისბურგი 1:0, შტუტგარტი II-ლაიპციგი 0:2, ჰაიდენჰაიმი-ჰალეშერი 0:0, რეგენსბურგი-შტუტ. კიკერსი 0:1, ხემნიტცი-ზაარბრიუკენი 2:0, ჰოლშტაინ კილი-ვეენი 3:0, ელვერსბერგი-ერფურტი 2:0, ოსნაბრიუკი-ბურგჰაუზენი 2:1, უნტერჰახინგი-პრეისენ მიუნსტერი 1:2, დორტმუნდი II-ჰანზა 0:1.

ეროვნული

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტური

„რეალი“ და რონალდო საოცარ ფორმაში არიან

მარტინოს გასაჭირი

„ბარსელონამ“ მორიგი ცუდი მატჩი ჩაატარა და სეზონში მეოთხე მარცხი განიცადა. კატალონიელთა ნაგებით ისარგებლეს მადრიდულმა კლუბებმა, რომლებმაც თავიანთი მატჩები მოიგეს. შედეგად, „რეალმა“ კონკურენტი ოთხი ქულით ჩამოიტოვა, „ატლეტიკომ“ კი „ბარსა“ მესამე ადგილზე ჩააჩოჩა...

ტური სწორედ „ვალიადოლიდის“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებით დაიწყო, რომელიც სენსაციური შედეგით დასრულდა. ვალიადოლიდის მოსახლეობა ამ დღეს 12 წელი ელოდა - უკანასკნელად „ბარსას“ დამარცხება მათმა საყვარელმა გუნდმა 2002 წელს შეძლო, ბოლო 8 მატჩი კი კატალონიურ გრანდს ჰქონდა მოგებული.

სტუმრებს **ანდრეს ინიესტა** ვერ ეხმარებოდა - „ბარსელონას“ ერთ-ერთი ლიდერის მეუღლეს მუცელი მოეშალა და გასაგებია, რომ ანდრესს არ ეფეხბურთებოდა. სხვა მრხივ, **ხერარდო მარტინოს** დანაკლისი არ ჰქონია და არგენტინელმა მოედანზე იდეალურ შემადგენლობას უხმო.

ხუან იგნასიო მარტინესმა მინდორზე ექვსი ნომინალური მცველი გამოიყვანა, რომელთაგანაც ორი ნახევარდაცვაში მოქმედებდა. ერთი **ზაქარია ბერგდიხი** გახლდათ, რომელსაც მარცხენა გარემარბის პოზიციაზე აქამდეც არაერთხელ უთამაშია; მეორე კი ხან **მარკ ვალიენტე** იყო, ხან **ხესუს რუედა** - ცენტრალური მცველები თავის პოზიციას ხშირად ტოვებდნენ და ნახევარმცველებს ეხმარებოდნენ, ოღონდ ამას მორიგეობით აკეთებდნენ. ამ ტაქტიკურმა მოდელმა აშკარად გაამართლა - „ბარსელონა“ ბურთს კი ფლობდა, მაგრამ მომენტებს იშვიათად ქმნიდა, ხოლო როდესაც მცველები უძლურები იყვნენ, მაშინ საქმეში **დიეგო მარინიო** ერთვებოდა, ვინც **ლიონელ მესის, პედროს, ფაბრეგასის** თუ **ნეიმარის** დარტყმებს ძალიან მარტივად უმკლავდებოდა.

მატჩის პირველმა წუთებმა, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მასპინძელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა. რამდენიმე წარუმატებელი შეტევის შემდეგ, მე-17 წუთზე **ვიქტორ ვალდესის** კარი „ვალიადოლიდის“ იტალიელმა ლეგიონერმა **ფაუსტო როსიმ** დალაშქრა - „იუვენტუსის“ საკუთრებაში მყოფმა ფეხბურთელმა სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ, მასპინძლებმა უკან დაიხიეს და ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად ხერარდო მარტინოს გუნდი დაეუფლა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატალონიელები საკმაოდ უნიათოდ უტევდნენ.

მეორე ტაიმში მარტინომ გარისკა და თამაშში სათადარიგოთა სკამზე მყოფი ყველა შემტევი ფეხბურთელი ჩართო, **პიკეს** გაყვანით კი სერიოზულ რისკზეც წავიდა, თუმცა თამაშის ხასიათი დიდად არ შეცვლილა - „ბარსა“ ბურთს კი ფლობდა, მაგრამ მომენტებს იშვიათად ქმნიდა და იმ ეპიზოდებშიც მარინიო ყოჩაღობდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა“ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით არ ბრწყინავს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ხოსე სორილიაზე“ ჩატარებული მატჩი ამ სეზონის ყველაზე ცუდი შეხვედრა იყო. „მანჩესტერ სიტისთან“ გასამართი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, კატალონიური გუნდის ქომაგისთვის ეს არც ისე კარგი ამბავია...

მარავილია

დიეგო სიმეონეს დისკვალიფიკაციის გამო გუნდის სამი ლიდერი - არდა თურანი, დიეგო კოშტა და დიეგო გოდინი არ ჰყავდა. საკმაოდ სერიოზული დანაკლისის მიუხედავად, მადრიდელებმა „ბალაიდოსზე“ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს და „სელტას“ **დავიდ ვილიას** დუბლის წყალობით მოუგეს. „ელ გუახემ“ გოლები ორწუთიან მონაკვეთში გაიტანა - ჯერ მასპინძელი მცველების შეცდომით ისარგებლა და იოელთან პირისპირ დარჩენილმა მეკარეს შორეულ კუთხეში დაურტყა, შემდეგ კი ცვლილებაზე გამოსული ხოსე ერნესტო სოსას პასით ისარგებლა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

ამ დუბლის შემდეგ ვეტერანის ანგარიშზე პრიმერაში გატანილი 185 გოლია. ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მეათე ადგილზე მყოფ **კარლოს სანტილიანას** ვილია მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება.

„ატლეტიკოს“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა **ლეო ბაპტიშტაომ**, რომელიც „ბეტისშია“ განათხოვრებული, „ხეტაფესთან“ გამართულ შეხვედრაში ანგარიში გახსნა და სევილიელებს სეზონში მეოთხე გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. ბრაზილიელის გარდა, თავი **რუბენ კასტრომაც** გამოიჩინა, ვინც მძიმე ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში შეგის. **გაბრიელ კალდერონის** გუნდმა უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო და ახლა, „ბეტისი“ მე-17 ადგილზე მყოფ გუნდს უკვე 8 ქულით ჩამორჩება. „ხეტაფე“ კი გასავარდნი ზონისკენ შესაშური სტაბილურობით მიემართება - მადრიდელებს უკვე 12 მატჩია არ მოუგიათ, ბოლო 7 შეხვედრაში კი **ლუის გარსიას** გუნდმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. „ხეტაფე“ ლა ლიგის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელსაც 2014 წელს გამარჯვება არ მოუპოვებია.

რეალი ბარსას დაშორდა, რონალდო კოშტას

„რეალთან“ შეხვედრას „ლევანტე“ 8-მატჩიანი წაუგებელი სერიით შეხვდა და ამ მატჩებში ვალენსიურმა კლუბმა მხოლოდ 4 გოლი გაუშვა. როგორც ტურის წინ ვივარაუდეთ, **ხოაკინ კაპაროსმა** ხუთმცველიანი ტაქტიკა არჩია, მოედნის ცენტრი კი სამი ნახევარმცველით გაამაგრა. სტუმრებს სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ - დისკვალიფიკაციის გამო ორი ძირითადი საყრდენი, **სიმაო ჟუნიორი** და **პაპაკული დიოპი** ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. ამის გამო, ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩდნენ **მოჰამედ სისოკო** და **მიგელ პალიარდო** - პირველს აქამდე სულ 14 წუთი ჰქონდა ნათამაშევი, მეორეს კი - 45.

მიუხედავად ასეთი სერიოზული დანაკლისისა, „სამეფო კლუბის“ ფეხბურთელებმა მეტოქის კარი პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ აიღეს - **ანხელ დი მარიას** მოწოდებული კუთხურის შემდეგ, **კრიშტიანო რონალდომ** თავური დარტყმით იხეირა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო დაწინაურდა. შეხვედრის ინტრიგა კი მეორე ტაიმში მოკვდა - რონალდომ ამჯერად საგოლე პასი გააკეთა და **მარსელოს** სეზონში პირველი გოლი გაატანინა. საბოლოო შედეგი კი **ნიკოლაოს კარაბელასმა** დააფიქსირა, რომელმაც 81-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა. „რეალმა“ პრიმერაში არსებული წაუგებელი სერია 17 მატჩამდე გაზარდა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძე

პორტუგალია

პრიმეირა ლიგა. XXII ტური

ბრაგა-ნასიონალი 2:1

გოლები: 1:0 ბაიანო (6), 2:0 ალანი (17-პენ), 2:1 ჯანინი (28)

პ. ფერეირა-ჟილ ვისენტე 0:2

გოლები: 0:1 კაეტანო (45), 0:2 ებრალიძე (71)

ბენფიკა-ეშტორილი 2:0

გოლები: 1:0 ლუიზაო (7), 2:0 როდრიგო (20)

ბენფიკა (4-3-3): ობლაკი - მაქსი პერეირა, გარაი, ლუიზაო, სიკეირა - ფეისა, ე. პერესი (90. ჯურიჩიჩი), გაიტანი - ლიმა, როდრიგო (81. ამორიმი), ლ. მარკოვიჩი (64. სალვიო)

სეტუბალი-სპორტინგი 2:2

გოლები: 0:1 სლიმანი (34), 1:1 რაფაელ მარტინში (51), 1:2 ადრიენ სილვა (86-პენ), 2:2 რიკარდო ორტა (89-პენ)

სპორტინგი (4-3-3): რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, როხო, ჟეფერსონი - ადრიენ სილვა, ვილიამი, ჟერსონ მაგრაო (58. ფ. მონტერო) - სლიმანი, ელდონი (63. დიეგო კაპელი), ა. კარილიო (77. ვილსონ ედუარდო)

პორტუ-აროუკა 4:1

გოლები: 1:0 კვარეშმა (11-პენ), 2:0 კარლოს ედუარდო (23), 2:1 რუი სამპაიო (31), 3:1 კვარეშმა (83), 4:1 ჯ. მარტინესი (90)

პორტუ (4-3-3): ელტონი - დანილო, მაიკონი, მანგალა, ა. ბა - დეფური, ფერნანდო, კარლოს ედუარდო (66. კინტერო) - კვარეშმა (87. ლიკა), ვარელა (78. გილასი), ჯ. მარტინესი

ოლიანენსე-ბელენენსეში	0:0
რიო ავე-აკადემიკა	0:0

10 მარტი

მარიტიმო-გიმარაეში	00:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	22	17	4	1	40-13	55
2. სპორტინგი	22	14	6	2	42-16	48
3. პორტუ	22	14	4	4	43-17	46
4. ეშტორილი	22	11	6	5	34-22	39
5. ნასიონალი	22	8	10	4	30-22	34
6. ბრაგა	22	9	3	10	32-28	30
7. გიმარაეში	21	9	3	9	23-21	30
8. აკადემიკა	22	7	7	8	15-21	28
9. მარიტიმო	21	7	6	8	30-34	27
10. სეტუბალი	22	7	5	10	28-34	26
11. ჟილ ვისენტე	22	7	4	11	20-30	25
12. რიო ავე	22	6	6	10	16-23	24
13. აროუკა	22	4	7	11	20-33	19
14. ბელენენსეში	22	3	8	11	11-25	17
15. ოლიანენსე	22	4	5	13	14-35	17
16. პ. ფერეირა	22	4	4	14	19-43	16

ბომბარდირები: 15 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 13 - ფრედი მონტერო (სპორტინგი); 11 - დერლეი (მარიტიმო); 9 - ელდონი (მარიტიმო/სპორტინგი), ევანდრო (ეშტორილი), რაფაელ მარტინში (სეტუბალი)

ვალიადოლიდი-ბარსელონა 1:0

გოლი: 1:0 ფ. როსი (17)

ვალიადოლიდი (5-3-1-1): დიეგო მარინიო - რუკავინა, ხესუს რუედა, მარკ ვალიენტე (59. სასტრე), ს. მიტროვიჩი, პენია - ფ. როსი, ა. რუბიო, ბერგდიხი (72. რამა) - მანუჩო (66. ოსკარი) - ხავი გერა

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე (72. სერხი რობერტო), მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (61. ა. სანჩესი) - პედრო, მესი, ნეიმარი (73. ტელიო)

გაფრთხილება: ბერგდიხი, ფ. როსი, პენია, ა. რუბიო, სასტრე - პიკე

კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 7-13 (2-6); **ბურთის ფლობა:** 25%-75%

მაყურებელი: 22 921

ბეტისი-ხეტაფე 2:0

გოლები: 1:0 ლეო ბაპტიშტაო (16), 2:0 რუბენ კასტრო (39)

ბეტისი (4-3-2-1): ადანი - ხუანფრანი, პერკისი, ხ. ფიგერასი, დიდაკ ვილა - ლ. რეიესი, ა. ნდიაიე, სალვა სევილია - ლეო ბაპტიშტაო (80. ბ. როდრიგესი), სედრიკ მაბვატი (64. ნონო) - რუბენ კასტრო (84. ხუან გარსია)

ხეტაფე (4-2-3-1): კოდინა - ხუან ვალერა, რაფა, ლისანდრო ლოპესი (75. ბორხა), რ. ლაგო - ლასენი (54. გავილანი), ხუან როდრიგესი - პედრო ლეონი, პ. სარაბია, დიეგო კასტრო (54. ა. კოლუნგა) - ლაფიტა

გაფრთხილება: პერკისი, ა. ნდიაიე, ბ. როდრიგესი - პ. სარაბია, გავილანი, ლაფიტა

კუთხური: 6-6; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 17-8 (5-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

მაყურებელი: 30 264

სელტა-ატლეტიკო 0:2

გოლები: 0:1 ვილია (62), 0:2 ვილია (64)

სელტა (4-3-2-1): იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი, ჯონი კასტრო - ბორხა ოუბინია, ალექს ლოპესი, კრონ-დელი (74. მადინდა) - ფ. ორელიანა (60. ა. ფერნანდესი), ნოლიტო - შარლესი (68. სანტი მინა)

ატლეტიკო (4-2-3-1): კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, ალდერვეირელდი, ფილიპე ლუიში - გაბი, მარიო სუარესი - კოკე (60. ხ. სოსა), რაულ გარსია, დიეგო (74. კ. როდრიგესი) - ვილია (83. ადრიანი)

გაფრთხილება: შარლესი - გაბი, მარიო სუარესი, მირანდა

კუთხური: 2-5; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 9-13 (2-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

მაყურებელი: 24 539

გრანადა-ვილიარეალი 2:0

გოლები: 1:0 ფრან რიკო (23-პენ), 2:0 ელ-არაბი (33)

გრანადა (4-3-2-1): რობერტო - ნიომი, კოეფი, მურილიო, ანგულო - ფრან რიკო, იტურა, რესიო - რიკი (85. ფულკიე), ბრაჰიმი (81. დანი ბენიტესი) - ელ-არაბი (69. მ. პერეირა)

ვილიარეალი (4-4-2): ასენხო - მარიო, ბრუნო, გაბრიელ პაულისტა, ხაუმე კოსტა - ოლივერ ტორესი, ტრიგეროსი (58. პანტიჩი), პინა, მოისესი (46. კანი) - ი. უჩე, ხ. პერეირა (57. პერბე)

გაფრთხილება: რიკი, ბრაჰიმი, რესიო, იტურა - გაბრიელ პაულისტა

კუთხური: 3-3; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 13-5 (4-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 13 612

ესპანიოლი-ელჩე 3:1

გოლები: 1:0 დავიდ ლოპესი (2), 2:0 კოლოტო (21), 3:0 პიცი (58), 3:1 ხუან ფუენტესი (88-საკ. კარში)

ესპანიოლი (4-2-3-1): კასილია - ხავი ლოპესი (50. რაულ როდრიგესი), კოლოტო, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი - სტუანი, პიცი (76. ალექსი), სიმაო (80. ლანსაროტე) - სერხიო გარსია

ელჩე (4-2-3-1): მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია (75. სერხიო პელეგრინი), ლომბანი, სისმა - კ. სანჩესი, ხავი მარკესი - კარლეს ხილი, კორომინასი, მანუ დელ მორალი (61. ფიდელი) - კრისტიან ერერა (62. ბოაკი)

გაფრთხილება: ხუან ფუენტესი - მანუ დელ მორალი, კრისტიან ერერა, ლომბანი

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 12-12 (6-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 20 825

ალმერია-სევილია 1:3

გოლები: 0:1 ბაკა (31), 0:2 დანიელ კარისო (51), 0:3 გამეირო (77), 1:3 ალექს ვიდალი (85)

ალმერია (4-2-3-1): ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - ვერსა, აზიზი (55. ზონგო) - სუსო (64. ელდერ ბარბოსა), სორიანო (55. კორონა), ალექს ვიდალი - როდრი

სევილია (4-4-2): ბეტუ - კოკე, დანიელ კარისო, ფ. ნავარო, დ. ფიგეირაში - ვიტოლი, კრისტოფორო (81. მარინი), იბორა, ხ. რეიესი (79. ტროხოვსკი) - გამეირო, ბაკა (70. რაკიტიჩი)

გაფრთხილება: დუბარბიერი, როდრი — ფ. ნავარო, ხ. რეიესი, დ. ფიგეირაში, ბეტუ

კუთხური: 3-8; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 8-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

მაყურებელი: 11 869

რეალი-ლევანტე 3:0

გოლები: 1:0 რონალდო (11), 2:0 მარსელო (49), 3:0 კარაბელასი (81-საკ. კარში)

რეალი (4-3-3): დიეგო ლოპესი - დანიელ კარვახალი, ვარანი (69. ნაჩო), სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი (74. ისკო), დი მარია - ბეილი, ბენზემა (82. ხესე როდრიგესი), კრიშტიანო რონალდო

ლევანტე (5-3-1-1): კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი, კარაბელასი - მ. სისოკო, პალიარდო (69. ელ ადუა), სერჟიო პინტუ (74. ნაგორე) - ივანშიტცი - ბარალი (87. ანხელი)

გაფრთხილება: სერხიო რამოსი, დი მარია - ვინტრა, პალიარდო

გაძევება: დ. ნავარო (64. ლევანტე)

კუთხური: 12-2; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 25-6 (10-1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%

მაყურებელი: 74 172

ვალენსია-ბილბაო 1:1

გოლები: 1:0 პაკო ალკასერი (23), 1:1 ადურისი (53-პენ)

ვალენსია (4-2-3-1): დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, სენდეროსი, მატიო, ხუან ბერნატი - დანი პარეხო, ს. კეიტა - ფეგული, ჟონასი, კარტაბია - პაკო ალკასერი

ბილბაო (4-3-2-1): ირაისოსი - დე მარკოსი, გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა - ანდერ ერერა, იტურასპე, მიკელ რიკო - სუსაეტა, მუნიაინი - ადურისი

გაფრთხილება: ს. კეიტა, მატიო, ფეგული — დე მარკოსი, ირაოლა

კუთხური: 9-6; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-13 (4-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

მაყურებელი: 36 000

10 მარტი

ოსასუნა-მალაგა	23:00
სოსიედადი-ვალეკანო	01:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	27	21	4	2	76-26	67
2. ატლეტიკო	27	20	4	3	63-21	64
3. ბარსელონა	27	20	3	4	74-22	63
4. ბილბაო	27	15	6	6	50-31	51
5. ვილიარეალი	27	13	5	9	47-33	44
6. სოსიედადი	26	12	7	7	46-36	43
7. სევილია	27	11	8	8	47-42	41
8. ვალენსია	27	10	6	11	39-38	36
9. ესპანიოლი	27	10	6	11	32-33	36
10. ლევანტე	27	9	9	9	26-34	36
11. სელტა	27	8	6	13	32-39	30
12. გრანადა	27	9	3	15	24-36	30
13. ოსასუნა	26	8	5	13	24-39	29
14. ელჩე	27	7	8	12	24-40	29
15. ხეტაფე	27	7	6	14	23-42	27
16. მალაგა	26	6	8	12	24-35	26
17. ვალიადოლიდი	27	5	11	11	29-44	26
18. ალმერია	27	7	5	15	26-49	26
19. ვალეკანო	26	7	2	17	26-59	23
20. ბეტისი	27	4	6	17	23-56	18

ბომბარდირები: 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 16 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - პედრო (ბარსელონა), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

მომდევნო ტური

14 მარტი: **ხეტაფე-გრანადა**

15 მარტი: **ლევანტე-სელტა, რაიო ვალეკანო-ალმერია, მალაგა-რეალი, ატლეტიკო-ესპანიოლი**

16 მარტი: **ელჩე-ბეტისი, ბარსელონა-ოსასუნა, სევილია-ვალიადოლიდი, სოსიედადი-ვალენსია**

17 მარტი: **ვილიარეალი-ბილბაო**

სეგუნდა დივიზიონი. XXIX ტური

მირანდესი-დეპორტივო	1:0

გოლი: 1:0 პაბლო (78-პენ)

საბადელი-ჟირონა	4:0

გოლები: 1:0 კოლანტესი (44), 2:0 სურდო (52), 3:0 სურდო (67-პენ), 4:0 გატო (72)

კორდობა-ლას პალმასი	0:1

გოლი: 0:1 ტაუნასუსუ (38)

სარაგოსა-მალიორკა	1:1

გოლები: 0:1 პარტეი (5), 1:1 როხერ მარტი (12)

ბარსელონა B-პონფერადინა	1:0

გოლი: 1:0 სანდრო რამირესი (90-პენ)

ერკულესი-ალავესი	2:0

გოლები: 1:0 ენრიკე დე ლუკასი (4), 2:0 პამარო (12)

სპორტინგი-ნუმანსია	2:2

გოლები: 1:0 სერხიო ალვარესი (6), 1:1 ვისენტე პერესი (18), 1:2 რეგალონი (73), 2:2 შჩეპოვიჩი (80-პენ)

ტენერიფე-უელვა	1:0

გოლი: 1:0 სუსო სანტანა (15)

ლუგო-რეალი B	1:1

გოლები: 1:0 ივან პერესი (31), 1:1 რაულ დე ტომასი (57)

მურსია-ხაენი	2:0

გოლები: 1:0 ალექს მარტინესი (47), 2:0 კიკე (89)

ალკორკონი-ეიბარი	0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ეიბარი	29	14	8	7	36-21	50
2. დეპორტივო	29	14	7	8	32-23	49
3. უელვა	29	13	8	8	44-38	47
4. სპორტინგი	29	11	13	5	46-37	46
5. ნუმანსია	29	9	15	5	32-25	42
6. ლას პალმასი	29	11	9	9	28-30	42
7. ტენერიფე	29	11	8	10	33-34	41
8. მურსია	29	9	13	7	35-31	40
9. ბარსელონა B	29	12	4	13	37-37	40
10. სარაგოსა	29	10	9	10	34-34	39
11. ლუგო	29	10	9	10	28-34	39
12. კორდობა	29	10	8	11	29-32	38
13. საბადელი	29	11	5	13	35-39	38
14. მალიორკა	29	9	10	10	37-44	37
15. ერკულესი	29	10	7	12	34-45	37
16. ხაენი	29	9	8	12	31-33	35
17. რეალი B	29	10	5	14	36-39	35
18. მირანდესი	29	9	8	12	27-33	35
19. პონფერადინა	29	8	10	11	31-31	34
20. ალკორკონი	29	8	9	12	27-27	33
21. ალავესი	29	8	9	12	40-40	33
22. ჟირონა	29	6	12	11	33-38	30

ბომბარდირები: 18 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი), ვიგერა (ალავესი); 15 - კიკე (მურსია); 12 - ხ. მეხია (ხაენი), აიოსე პერესი (ტენერიფე)

europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტური

ტოტენჰემი გრანდებთან არ ვარგა

დემბა ბამ „ტოტენჰემს" ორ წუთში ორი გოლი გაუტანა

ტურისწინათქმაში დავწერეთ კიდეც, რომ „ტოტენჰემს" ჩემპიონატის ლიდერებთან ხანდახან გაშტერება სჩვევია. რაღაც ამის მსგავსი დაემართათ „დეზებს" „სტემფორდ ბრიჯზე". თამაშს შოკის მომგვრელი დასაწყისი და ანალოგიური დასასრული აღმოაჩნდა. რომ არა **მაიკლ ოლივერისა** და მისი ასისტენტის შეცდომა და არარსებული თამაშგარეს დაფიქსირება, სტუმართა კარში პირველად 30-ე წამზე უნდა დანიშნულიყო პენალტი და პლუს, წითელი ბარათით დასჯილიყო **უგო ლორისი**, ვინც მასთან პირისპირ დარჩენილი **სამუელ ეტოო** მოცელა. „მოხუცი" კამერუნელი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ულიმლამო პირველი ტაიმის შემდეგ სწორედ სამუელმა გახსნა ანგარიში. „ტოტენჰემის" დაცვამ პირველი უხეში შეცდომა სწორედ აქ დაუშვა. უადგილო ფინტის შემდეგ ძირს დაცემულმა **იან ვერტონგენმა** იმის მაგივრად, რომ ბურთი თუნდაც აუტზე მოეგერიებინა, ლორისს დაუგორა და ეტოო ერთი-ერთზე შეატოვა - 1:0. ოთხ წუთში საჯარიმოში კამერუნელის წინააღმდეგ თამაშის წესი **იუნეს კაბულმა** დაარღვია. არბიტრმა ფეხბურთელი უმკაცრესად დასაჯა, პენალტი კი **ედენ აზარმა** გამოიყენა.

2:0-ის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** ორი შემტევი ფეხბურთელი გამოიყვანა. „ტოტენჰემის" რბევა ახლა უკვე **დემბა ბამ** და **ოსკარმა** განაგრძეს. უკანასკნელის გადაცემის შემდეგ **სანდრომ** აკრობატულ ნახტომში მეტოქეს ბურთი დასარტყმელად გაუმზადა. ბამ მომენტით აუღელვებლად ისარგებლა. წუთზე ცოტა მეტი იყო გასული, როცა **კაილ უოლკერმა** ისეთი რამე ჩაიდინა, რისი ახსნაც უბრალოდ არ შეიძლება. თანაგუნდელის უხეირო გადაცემის შემდეგ ლორისმა ბასთან ბურთისთვის ბრძოლა წააგო. თავდამსხმელმა ცარიელ კარში გაიტანა.

წინააღმდეგობის გარეშე

სამწვრთნელო კარიერა სწორედ „ჰაუტორნსზე" დაასრულა სერ **ალექს ფერგიუსონმა**. „იუნაიტედი" ვალდებული იყო, თუნდაც დიდი შოტლანდიელის ხათრით მაინც მოეგო. ეს ასეც მოხდა: **დევიდ მოიესის** გუნდმა მეორე წრეში ჯერჯერობით საუკეთესო ფეხბურთი გვიჩვენა და დამსახურებული 3 ქულა აიღო.

ადგილობრივი გულშემატკივარი არბიტრ **ჯონათან მოსის** მუშაობით უკმაყოფილი დარჩა. მათ ამის საფუძველი ჰქონდათ კიდეც, რადგან 43 წლის ტაინსაიდელმა ორჯერ დაინდო **რობინ ვან პერსი**. ჰოლანდიელს თამაში არ მისდიოდა და გუნდს მეტოქეთა წინააღმდეგ უხეში თამაშით „ეხმარებოდა". მან ჯერ **მორგან ამალფიტანოს** წინააღმდეგ ითამაშა უხეშად, მერე კი **სტივენ რიდს** ისე ჩაუხტა ფეხებში, რომ მცველმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მოიესი მიხვდა, როგორც უნდა მოქცეულიყო და შეგირდი სასწრაფოდ შეცვალა. **დენი უელბეკის** თამაშში ჩართვიდან ორიოდე წუთში გამარჯვებულის ვინაობა გადაწყდა. **უეინ რუნიმ** „ვესტ ბრომვიჩს" ბოლო 6 შეხვედრაში მე-7 გოლი გაუტანა. წერტილის დასმა თავის თავზე უელბეკმა აიღო. საგოლე გადაცემა რუნიმ გააკეთა.

კაპიტნის დუბლით

„კარდიფმა" 4-მატჩიანი მოუგებელი და თანაც მშრალი სერია „ფულჰემთან" შთამბეჭდავი თამაშით შეწყვიტა. რომ არა **მაარტენ სტეკელენბურგი** მასპინძელი კიდევ უფრო დიდი ანგარიშით მოიგებდა. ჰოლანდიელმა **კენუაინ ჯონსს** ორი კარგი დარტყმა აუღო, თუმცა 1:1-ზე თავადაც შეცდა და მასპინძელს მეორედ მისცა დაწინაურების საშუალება. შესანიშნავად გამოიყურებოდა ინგლისის ნაკრებში სულ ახლახან დაბრუნებული **სტივენ კოლკერი**. ის საკუთარ საქმეს ხომ უძლვებოდა და სტანდარტული მდგომარეობების დროს შემტევებსაც შველოდა. კაპიტანმა ერთხელ ფეხით გაიტანა, მეორედ - თავით. **ლუის ჰოლტბის** გოლი გაჭირვებულ „ფულჰემის" არ ეყო, მით უფრო, რომ საბოლოო ანგარიში მეორე გერმანელმა **საშა რიტერმა** ავტოგოლით დააფიქსირა.

დამსახურებული გამარჯვება

„საუთჰემპტონმა" „კრისტალ პალასს" მხოლოდ ერთხელ გაუტანა და ისიც მასპინძელთა უხეში შეცდომის შემდეგ, თუმცა გამარჯვება მაინც დამსახურებული იყო. „წმინდანებს" თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ჰქონდათ უპირატესობა. **ჯეი როდრიგესის** გარდა გატანა შეეძლოთ **სტივენ დევისს**, **ლუკ შოუსა** და **პოლ ლამბერტს**. უკანასკნელმა სულაც ძელს გაარტყა. თავის მხრივ „არწივებმა" თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები შექმნეს. ყველაზე რეალური შანსები **იანიკ ბოლასის** ჰქონდა. კონგოელმა პირველად მაინცდამაინც არტურ ბორუცს დაუმიზნა, მეორე ტაიმის სტარტზე კი საჯარიმოს მისადგომებთან ის **დეიან ლოვრენმა** მხოლოდ უხეში ვარდნით შეაჩერა.

ვესტ ბრომვიჩი-იუნაიტედი 0:3

გოლები: 0:1 ჯონსი (34), 0:2 რუნი (65), 0:3 უელბეკი (82)
ვესტ ბრომვიჩი (4-2-3-1): ფოსტერი - რიდი (60. სესინიონი), მაკაული, ოლსონი, რიჯუელი - მულუმბუ, იაკობი (40. მორისონი) - ბრანტი (66. ბერაინო), გერა, ამალფიტანო - ანიჩებე
იუნაიტედი (4-2-3-1): დე ხეა - რაფაელი (87. ვიდიჩი), სმოლინგი, ჯონსი, ევრა - ფელაინი, კერიკი - მატა, იანუზაი (76. კაგავა), რუნი - ვან პერსი (63. უელბეკი)
გაფრთხილება: ანიჩებე - იანუზაი, ვან პერსი
კარში დარტყმა: 14-14 (3-5) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 11-10 **ბურთის ფლობა:** 45%-55%
მაყურებელი: 26 184

კარდიფი-ფულჰემი 3:1

გოლები: 1:0 კოლკერი (45+1), 1:1 ჰოლტბი (59), 2:1 კოლკერი (67), 3:1 რიტერი (71-ს.კ-ში)
კარდიფი (4-4-2): მარშალი - ფაბიო, კოლკერი, ტერნერი (90. ტეოფილ-კეტრინი), ჯონი - კიმი, მედელი (81. ეიკრემი), მატჩი, ნუნი - კემბელი (72. დელი), კ. ჯონსი
ფულჰემი (4-4-2): სტეკელენბურგი - რიტერი, ჰეიტინგა, ჰანგელანდი, რიისე (46. კაჩანიკლიჩი) - სიდუელი, ჰოლტბი, დეჟაგა (50. კარაგუნისი), რიჩარდსონი - მიტროგლუ, ვუდროუ (76. ბენტი)
გაფრთხილება: კიმი -
კარში დარტყმა: 19-14 (9-6) **კუთხური:** 7-6 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 46%-54%
მაყურებელი: 26 796

პალასი-საუთჰემპტონი 0:1

გოლი: 0:1 როდრიგესი (37)
პალასი (4-2-3-1): სპერონი - ვორდი, დანი, დელეინი, მოქსი - ჟედინაკი, დიკგაჩოო (66. ჯერომი) - პანჩეონი (66. ინსი), ლედლი, ბოლასი (83. ტომასი) - მარი
საუთჰემპტონი (4-2-3-1): ბორუცი - კლაინი, ფონტე, ლოვრენი, შოუ - კორკი (34. ვანიამა), შნაიდერლინი - დევისი (89. ვორდ-პრაუსი), ლალანა, ჯ. როდრიგესი - ლამბერტი (75. გალაგერი)
გაფრთხილება: ჟედინაკი - ფონტე, ლოვრენი, დევისი, შნაიდერლინი, კლაინი
კარში დარტყმა: 6-11 (1-3) **კუთხური:** 8-3 **თამაშგარე:** 6-1 **ჯარიმა:** 14-18 **ბურთის ფლობა:** 36%-64%
მაყურებელი: 25 073

ნორვიჩი-სტოკი 1:1

გოლები: 1:0 ჯონსონი (56), 1:1 უოლტერსი (73-პენ)
ნორვიჩი (4-4-1-1): რადი - მარტინი, იობო, ბასონგი, მ. ოლსონი - ჯონსონი, ტეტი (81. ჰუპერი), რედმონდი, სნოდგრასი - ჰულაჰანი (67. ჰაუსონი) - ვან ვოლფსვინკელი (80. ელმანდერი)
სტოკი (4-2-3-1): ბეგოვიჩი - კემერონი, უილსონი, შოუკროსი, პიტერსი - ნზონზი, უელანი - ოდემვინგი (63. Gუიდეტი - 80. აირლანდი), უოლტერსი, არნაუტოვიჩი (74. ეთერინგტონი) - კრაუჩი
გაფრთხილება: - უილსონი, კემერონი
გაძევება: - უოლტერსი (78)
კარში დარტყმა: 13-6 (5-3) **კუთხური:** 3-1 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 52%-48%
მაყურებელი: 26 646

ჩელსი-ტოტენჰემი 4:0

გოლები: 1:0 ეტოო (56), 2:0 აზარი (60-პენ), 3:0 ბა (88), 4:0 ბა (89)
ჩელსი (4-2-3-1): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, კეჰილი, ასპილიკუეტა - მატიჩი, ლემპარდი (46. ოსკარი) - რამირესი, შიურლე (66. ვილიანი), აზარი - ეტოო (76. ბა)
ტოტენჰემი (4-4-2): ლორისი - ნაუტონი, დოუსონი (72. ფრაიერსი), კაბული, ვერტონგენი - სანდრო, ბენტალები - ლენონი, სიგურდსონი (61. პაულინიო), უოლკერი - ადებაიორი
გაფრთხილება: ლემპარდი, ასპილიკუეტა - ბენტალები, ნაუტონი, სანდრო
გაძევება: - კაბული (59)
კარში დარტყმა: 12-6 (4-2) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 6-2 **ჯარიმა:** 11-18 **ბურთის ფლობა:** 54%-46%
მაყურებელი: 41 598

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	29	20	6	3	56-22	66
2. ლივერპული	28	18	5	5	73-35	59
3. არსენალი	28	18	5	5	52-28	59
4. სიტი	26	18	3	5	69-27	57
5. ტოტენჰემი	29	16	5	8	37-37	53
6. იუნაიტედი	28	14	6	8	46-31	48
7. ევერტონი	27	13	9	5	38-27	48
8. ნიუკასლი	28	13	4	11	37-39	43
9. საუთჰემპტონი	29	11	9	9	39-35	42
10. ვესტ ჰემი	28	8	7	13	31-35	31
11. ასტონ ვილა	28	8	7	13	31-38	31
12. სტოკი	29	7	10	12	29-43	31
13. ჰალი	28	8	6	14	30-35	30
14. სუონსი	28	7	8	13	37-41	29
15. ნორვიჩი	29	7	8	14	22-44	29
16. პალასი	28	8	3	17	19-38	27
17. ვესტ ბრომვიჩი	28	4	13	11	31-42	25
18. კარდიფი	29	6	7	16	22-50	25
19. სანდერლენდი	26	6	6	14	26-42	24
20. ფულჰემი	29	6	3	20	29-65	21

ბომბარდირები: 24 - ლუის სუარესი (ლივერპული), 18 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)

მომდევნო ტური

15 მარტი: ჰალი-მანჩესტერ სიტი, ევერტონი-კარდიფი, ფულჰემი-ნიუკასლი, საუთჰემპტონი-ნორვიჩი, სტოკი-ვესტ ჰემი, სანდერლენდი-კრისტალ პალასი, სუონსი-ვესტ ბრომვიჩი, ასტონ ვილა-ჩელსი
16 მარტი: მანჩესტერ იუნაიტედი-ლივერპული, ტოტენჰემი-არსენალი

გადადებული მატჩები:

25 მარტი: არსენალი-სუონსი, ნიუკასლი-ევერტონი
26 მარტი: ვესტ ჰემი-ჰალი
27 მარტი: ლივერპული-სანდერლენდი

ჩემპიონშიპი. XXXIV ტური

ბარნსლი-ნოტინგემი 1:0
გოლი: 1:0 ჯენინგსი (51)

ბირმინგემი-ქუინზ პარკი 0:2
გოლები: 0:1 მორისონი (14), 0:2 მორისონი (73)

ბლექპული-ბორნმუთი 0:1
გოლი: 0:1 გრებანი (48-პენ)

ბრაიტონი-რედინგი 1:1
გოლები: 1:0 განტერი (16-ს.კ-ში), 1:1 დრენტე (64)
გაძევება: გრირი (51) -

დერბი-მილუოლი 0:1
გოლი: 0:1 მორისონი (61)

დონკასტერი-ჰადერსფილდი 2:0
გოლები: 1:0 შარპი (28), 2:0 კოტერილი (55)

ლიდსი-ბოლტონი 1:5
გოლები: 0:1 მეისონი (45), 0:2 იუტკევიჩი (52), 0:3 ნაითი (56), 0:4 დევისი (72), 0:5 მორიტცი (89), 1:5 სმიტი (90+2)

მიდლსბრო-იპსვიჩი 2:0
გოლები: 1:0 გრემი (29), 2:0 გრემი (45+2)

იოვილი-შეფილდ უენს 2:0
გოლები: 1:0 მილერი (41), 2:0 მილერი (51)
გაძევება: - ჰატჩინსონი (89)

ბლექბერნი-ბარნლი 1:2
გოლები: 1:0 [illegible] (24), 1:1 [illegible] (72), 1:2 [illegible]

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლესტერი	33	23	5	5	62-32	74
2. ბარნლი	34	19	12	3	54-27	69
3. დერბი	34	18	7	9	60-43	61
4. ქუინზ პარკი	33	17	9	7	40-26	60
5. ნოტინგემი	34	14	13	7	54-40	55
6. რედინგი	34	14	10	10	52-39	52
7. უიგანი	32	15	7	10	41-30	52
8. ბრაიტონი	33	13	11	9	35-28	50
9. იპსვიჩი	34	12	12	10	44-39	48
10. ბლექბერნი	33	12	10	11	38-41	46
11. უოტფორდი	33	11	12	10	48-39	45
12. ლიდსი	33	12	8	13	45-45	44
13. მიდლსბრო	34	10	13	11	43-37	43
14. ჰადერსფილდი	34	12	7	15	45-46	43
15. ბორნმუთი	33	11	9	13	43-51	42
16. შეფილდ უენ.	33	9	12	12	39-40	39
17. ბოლტონი	34	9	12	13	46-50	39
18. ბირმინგემი	34	9	9	16	39-44	36
19. ბლექპული	34	8	11	15	29-49	35
20. დონკასტერი	34	8	9	17	30-53	33
21. მილუოლი	34	7	10	17	32-61	31
22. იოვილი	33	7	8	18	30-48	29
23. ბარნსლი	33	6	11	16	31-56	29
24. ჩარლტონი	30	6	9	15	24-41	27

ბომბარდირები: 23 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 19 - დენი ინგსი (ბარნლი), 17 - დევიდ ნაჯენტი (ლესტერი), სემ ვოუკსი (ბარნლი)

ლიგა 1. XXXV ტური

ბრენტფორდი-ბრედფორდი 2:0, კოლჩესტერი-ქოვენთრი 2:1, ჯილინგემი-ქროული 1:0, ნოთს ქაუნთი-ლეიტონი 0:0, ოლდჰემი-პრესტონი 1:3, პიტერბორო-ქრიუ 4:2, პორტ ველი-კარლაისლი 2:1, შრიუსბერი-ბრისტოლ ს. 2:3, სტივენიჯი-ტრანმერი 3:1, სუინდონი-მილტონი 1:2, უოლსოლი-ვულვზი 0:3

ლიგა 2. XXXV ტური

უიმბლდონი-იორკი 0:1, აკრინგტონი-ჩესტერფილდი 3:1, ბრისტოლ რ-პლიმუთი 2:1, ექსეტერი-დაგენჰემი 2:2, მანსფილდი-ნიუპორტი 2:1, მორკემბი-საუთენდი 2:1, ოქსფორდი-ბარტონი 1:2, პორტსმუთი-ჩელტენჰემი 0:0, სკანტორპი-ნორთჰემპტონი 1:1, ტორკი-ფლიტვუდი 0:1, უიკომბი-ჰარტლპული 2:1

ჰოლანდია

ერედივიზიე. XXVII ტური

ალკმაარი-ჰერაკლესი 4:0
გოლები: 1:0 ა. იოჰანსონი (16), 2:0 ა. იოჰანსონი (37), 3:0 მ. იოჰანსონი (79), 4:0 ელმი (90+1)
გაძევება: - კუნდერსი (24)

როდა-ნაიმეგენი 3:1
გოლები: 1:0 ჰუპერტსი (30), 2:0 ჰიოხერი (53), 3:0 ჰუპერტსი (56) 3:1 ჰიგდონი (60)
გაძევება: - პალსონი (90+1)

ჰეერენვეენი-ზვოლე 3:0
გოლები: 1:0 ბაშაჯიკოღლუ (37), 2:0 ვან ლა პარა (68), 3:0 ფინბოგასონი (77)

ბრედა-ვიტესი 1:2
გოლები: 0:1 ლაბიადი (8), 1:1 ბუისი (10-პენ), 1:2 ჰავენაარი (26)

ეინდჰოვენი-უტრეხტი 1:0
გოლი: 1:0 ლოკადია (51)
ეინდჰოვენი: ზუტი, არიასი, ბრუმა, რეკიკი, ვილემსი, პარკი (82. მაჰერი), სხაარსი, ჰაილემარკი, ნარსინხი (77. რუისი), ლოკადია (88. მატავჟი), დეპაი

ვაალვაიკი-დენ ჰააგი 1:1
გოლები: 0:1 ალბერგი (17), 1:1 კასტელენი (42)

გრონინგენი-ფეიენოორდი 0:2
გოლები: 0:1 სხაკენი (15), 0:2 დე ვრაი (50)

იგლსი-ტვენტე 1:0
გოლები: 1:0 ანტონია (34)

აიაქსი-კამბუური 1:1
გოლები: 1:0 ს. დე იონგი (2), 1:1 ბარტო (54)
აიაქსი: სილესენი, მოისანდერი, ბლინდი, ველტმანი, ვან რაინი, რიდევალდი (72. კ. პოულსენი), შიონე (60. სიგტორსონი), ს. დე იონგი, სერერო, კლაასენი, კიშნა (51. კრკიჩი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აიაქსი	27	17	7	3	57-22	58
2. ვიტესი	27	15	7	5	54-33	52
3. ტვენტე	27	13	10	4	57-28	49
4. ფეიენოორდი	27	14	6	7	57-37	48
5. ეინდჰოვენი	27	14	5	8	49-34	47
6. ჰეერენვეენი	27	12	7	8	56-44	43
7. ალკმაარი	27	12	4	11	46-41	40
8. ზვოლე	27	8	10	9	39-40	34
9. გრონინგენი	27	8	9	10	42-45	33
10. ბრედა	27	8	8	11	38-43	32
11. კამბუური	27	8	7	12	30-36	31
12. იგლსი	27	8	7	12	39-55	31
13. ჰერაკლესი	27	8	6	13	36-47	30
14. უტრეხტი	27	8	6	13	35-51	30
15. დენ ჰააგი	27	8	5	14	31-55	29
16. ვაალვაიკი	27	6	9	12	39-52	27
17. როდა	27	6	7	14	38-56	25
18. ნაიმეგენი	27	5	10	12	43-67	25

ბომბარდირები: 23 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 20 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი)

შოტლანდია

პრემიერშიპი. XXIX ტური

ჰიბერნიანი-მოზერველი 3:3
კილმარნოკი-ჰართსი 4:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სელტიკი	28	24	3	1	68-14	75
2. აბერდინი	28	17	3	8	40-26	54
3. მოზერველი	28	16	3	9	46-43	51
4. დანდი იუნ	27	12	8	7	49-32	44
5. ინვერნესი	26	13	5	8	33-26	44
6. სტ. ჯონსტონი	27	10	5	12	34-31	35
7. ჰიბერნიანი	28	8	9	11	28-35	33
8. კილმარნოკი	29	8	6	15	37-49	30
9. სტ. მირენი	28	7	6	15	27-44	27
10. პარტიკი	28	5	11	12	29-45	26
11. როს ქაუნთი	28	7	5	16	33-50	26
12. ჰართსი*	29	5	6	18	25-54	6

* ჰართსს დაკლებული აქვს 15 ქულა

ინგლისი. ასოციაციის თასი. 1/4-ფინალი

მომდევნო მატჩი უემბლიზე

„ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით შეხვედრამდე „არსენალი" ხასიათზე მოვიდა და „ემირეიტსზე" „სანდერლენდის" განადგურების შემდეგ „ევერტონიც" იმავე ანგარიშით დაამარცხა. „მეთოფეებმა" **ხოელ რობლესის** კართან შექმნილი პირველივე მომენტი გამოიყენეს: **სანტი კასორლას** გადაცემის შემდეგ **მესუთ იოზილმა** ანგარიში გახსნა. გერმანელს უკანასკნელი გოლი დეკემბერში სწორედ მერსისაიდელებთან ჰქონდა გატანილი. სტუმარმა მაშინ ქულა მაინც დაიცვა. **რომელუ ლუკაკუს** გოლის შემდეგ ის ფრეზე არც ამჯერად იტყოდა უარს, მაგრამ **არსენ ვენგერის** შეგირდების ზეწოლას დიდხანს ვერ გაუძლო.

მასპინძელი პირველ ტაიმშიც ზედიზედ ქმნიდა მომენტებს, მეორეში კი ზეწოლა კიდევ უფრო აუტანელი გახდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც მოედანზე **ოლივიე ჟირუ** გამოჩნდა. „არსენალი" მეორედ უკვე პენალტით დაწინაურდა, რომელიც **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** წინააღმდეგ **გარეთ ბერის** უხეში თამაშის შემდეგ დაინიშნა. **მიკელ არტეტას** დარტყმა ორჯერ დასჭირდა და ორჯერვე ზუსტი იყო. პირველად საჯარიმოში დროზე ადრე შეჭრისთვის ჟირუ დაჯარიმდა, მერე კი კამათისთვის ყვითელიც მიიღო. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა შეცდომა დუბლით გამოასწორა. მან ჯერ **ბაკარი სანიას** გადაცემა გამოიყენა, მერე მესუთ იოზილს დაუფასა გარჯა. ჩრდილოლონდონელებს 1/2-ფინალური მატჩის ჩატარება უკვე „უემბლიზე" მოუწევთ, იქიდან ფინალამდე კი ერთი ნაბიჯია...

არსენალი-ევერტონი 4:1

გოლები: 1:0 იოზილი (7), 1:1 ლუკაკუ (32), 2:1 არტეტა (68-პენ), 3:1 ჟირუ (83), 4:1 ჟირუ (85)
არსენალი: ფაბიანსკი, სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი (88. ჯენკინსონი), არტეტა, ფლამინი, იოზილი, კასორლა, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (78. როსიცკი), სანოგო (61. ჟირუ)
ევერტონი: რობლესი, კოულმენი, დისტენი, სტოუნსი, ბეინსი, ბერი, მაკარტი, პიენაარი (76. ოსმანი), ბერკლი (84. დელოფეუ), მირალიაში (76. მაკგიდი), ლუკაკუ

შეფილდ იუნ-ჩარლტონი 2:0

გოლები: 1:0 ფლინი (66), 2:0 ბრეიფორდი (67)

ჰალი-სანდერლენდი 3:0

გოლები: 1:0 კ. დევისი (68), 2:0 მეილერი (72), 3:0 ფრაიატი (77)
ჰალი: მაკგრეგორი, როსენიორი, ფიგეროა, კ. დევისი, ჩესტერი, ჰადლსტოუნი, ელ მოჰამადი (81. ქუინი), მეილერი, ფრაიატი, საგბო (58. ბოიდი), ალუკო (67. კორენი)
სანდერლენდი: უსტარი, ბერდსლი, ოში, ვერხინი, დოსენა, კატერმოული, ლარსონი, კოლბეკი, ჯაკერინი (67. ა. ჯონსონი), ს. ფლეტჩერი, სკოკო (67. ბორინი)

სიტი-უიგანი 1:2

გოლები: 0:1 გომესი (27), 0:2 პერჩი (47), 1:2 ნასრი (68)
სიტი: პანტილიმონი, რიჩარდსი, ლესკოტი, დემიჩელისი, კლიში, ხ. გარსია, ი. ტურე (53. დ. სილვა), ნასრი, ნავასი (53. ჯეკო), აგუერო, ნეგრედო (53. მილნერი)

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ოლივიე ჟირუ (№ 12) და მესუთ იოზილი 4:1-ის შემდეგ

იტალია. სერია A. XXVII ტური

ამჯერად, „იუვენტუსმა“ კვადვო ასამოას გოლით მოიგო

თითქმის ჩემპიონი

„ფიორენტინასთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „იუვენტუსის“ თავკაცმა განაცხადა, რომ მისი გუნდი 50%-ით, ანუ ცალი ფეხით ჩემპიონია. რთულია კონტეს სიტყვებს არ დავეთანხმოთ - „ვეკიას სენიორას“ ისეთი უპირატესობა არ აქვს, როგორც, მაგალითად, „ბაიერნს“ გერმანიაში, მაგრამ საკმარისად დამაჯერებლად ლიდერობს საამისოდ, რომ თითქმის ჩემპიონი ვუწოდოთ...

ვენდეტა შედგა

ბოლოს სერია A-ში „იუვენტუსმა“ სწორედ „ფიორენტინასთან“ წააგო, გასულ უქმეებზე კი ვენდეტა შედგა - **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა მინიმალური სხვაობით სძლიეს მეტოქეს და მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში, ერთადერთი და გამარჯვების გოლი **კვადვო ასამოას** ანგარიშზეა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს გამოიჩინა თავი.

მთლიანობაში, მატჩი მძიმე სანახავი გამოდგა და სახიფათო მომენტებიც თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობით შეიქმნა. თავად განსაჯეთ, მთელი 90 წუთის განმავლობაში სტუმრებს ერთხელაც არ დაურტყამთ მეტოქის კარის მიმართულებით ზუსტად. მოკლედ, **ჯანლუიჯი ბუფონს** საქმე არ ჰქონია და ასამოას გოლის შემდეგ, „იუვეს“ გამარჯვება ეჭვქვეშ არ დამდგარა. მოკლედ, „ვეკია სენიორამ“ აჯობა „ფიორენტინას“ და კიდევ უფრო მიუახლოვდა სკუდეტოს.

ნამატჩევს, ანტონიო კონტემ შემდეგი განაცხადა: *„პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მეორეში კი დავთმეთ უპირატესობა, რაც სანაკრებო მატჩებით გამოწვეული გადაღლილობის ბრალია. მთლიანობაში, უკეთ ვითამაშეთ და დავიმსახურეთ ეს გამარჯვება. ჩემპიონატის დასრულებამდე თერთმეტი ტურია დარჩენილი და არ მოვერიდები ვთქვა, რომ „იუვე“ 50%-ით ჩემპიონია. მთავარია, არ მოვდუნდეთ, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და სკუდეტოს დავეუფლოთ. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო „ფიორენტინას“ - თავის დროზე, სწორედ ამ გუნდთან მარცხმა გამოგვაფხიზლა და კიდევ უფრო გაგვაძლიერა“.*

ლაციო და მილანი ჩვეულ სტიქიაში

„ლაციო“ და „მილანი“ ისევ კოჭლობენ, ისევ ანიავებენ ქულებს და ისეთი პირი უჩანს, რომ ევროპალიგის საგზურს ვერ შესწვდებიან. მოკლედ, ორი გამორჩეული და ტიტულოვანი გუნდი მომდევნო სეზონში ევროთასების გარეშე რჩება.

„მილანი“ „უდინეზეს“ ესტუმრა და მინიმალური სხვაობით წააგო. გამარჯვების გოლი **ანტონიო დი ნატალემ** ეფექტური კომბინაციის შემდეგ შეაგდო... აღსანიშნავია, რომ ტოტომ **გაბრიელ ბატისტუტას** გადაასწრო და სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეათე ადგილზე დამკვიდრდა. მილანელებს ჰქონდათ გატანის შანსი, მაგრამ ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა „უდინეზეს“ მეკარე **სიმონე სკუფეტმა**. აღსანიშნავია, რომ სიმონე მხოლოდ 17 წლისაა, ასეთ ასაკში კი სერია A-ში თამაში და თანაც, ასე დამაჯერებლად, უდაოდ გამოსარჩევი ამბავია. ისიც ვთქვათ, რომ **კლარენს ზეედორფმა** გადაახალისა შემადგენლობა და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგისთვის დაზოგა. შეგახსენებთ, რომ შუა კვირაში „როსონერი“ მადრიდის „ატლეტიკოს“ ესტუმრება.

„ლაციომ“ „ატალანტა“ მიიღო და ასევე მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. **ედუარდო რეიას** გუნდმა მორიგი უსახური მატჩი გამართა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ბიანკოჩელესტე“ სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს. რომაელი ტიფოზების პროტესტი სულ უფრო ძლიერდება, გულშემატკივრებმა ამჯერადაც მიიტანეს იერიში კლუბის მესვეურებზე და მთელი მატჩის განმავლობაში, მათი ლანძღვით იყვნენ დაკავებულნი. ვნახოთ, რა ზომებს მიიღებს **კლაუდიო ლოტიტო**.

ევროპალიგის ოთხეული

გასულ ტურში, 1:0 ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო და სწორედ ასე მორჩა „ინტერი“-„ტორინოს“ დაპირისპირებაც. ერთადერთი გოლი **როდრიგო პალასიოს** ანგარიშზეა და უნდა ვაღიაროთ, რომ მილანელებმა ის ერთი გოლი და სამი ქულა ალალად დაიმსახურეს. **ვალტერ მაცარის** გუნდმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, „ფიორენტინას“ კუდზე დააჯდა და განიმტკიცა პოზიცია ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში. ამ შეხვედრაში სასწორზე ექვსი ქულა იდო, რადგან „ტოროც“ ევროსაგზურის მაძიებელია.

მორიგი მეტოქე მოინელა „პარმამ“, რომელსაც წაუგებელ მატჩთა შთამბეჭდავი სერია აქვს. ასე რომ დაეწყოთ ემილიელებს სეზონი, მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებდნენ. **რობერტო დონადონის** შეგირდებმა „ვერონას“ გამოუყვანეს წირვა, რომელიც ასევე ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვის. მოკლედ, აქაც ბევრი რამ წყდებოდა და „პარმას“ გამარჯვებასაც ოქროს ფასი აქვს. მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს მეტოქეს და აუღელვებლად მიიყვანეს საქმე ბოლომდე. ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ მასპინძლებს შეტევაში, დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ.

„სამპდორია“-„ლივორნოს“ შეხვედრას სულ არ მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ისეთი თრილერი შემოგვთავაზეს, ორი სიტყვა არ უნდა დავიშუროთ. **სინიშა მიხაილოვიჩის** გუნდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და მეტოქე მას შემდეგ გატეხა, რაც ორი ბურთის სხვაობით მარცხდებოდა. „სამპამ“ პირველი ტაიმი 0:2 დათმო, შესვენებაზე სერბმა სპეციალისტმა ორი ფეხბურთელი გამოცვალა, დროული გადაადგილებები მოახდინა და მატჩი სათავისოდ შეატრიალა, 4:2. ქებათა ქება სინიშას.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

უდინეზე-მილანი 1:0

გოლი: 1:0 დი ნატალე (67).

უდინეზე (3-5-1-1): სკუფეტი - ბუბნიჩი, დომიცი, ერტო - ვიდმერი, ალანი, პერეირა (89. ბასტა), პინცი (85. ბადუ), გაბრიელ სილვა - ფერნანდესი - დი ნატალე (77. მურიელი).

მილანი (4-2-3-1): აბიატი - დე შილიო, მექსე, საპატა, ემანუელსონი - მუნტარი (71. ტაარაბტი), მონტოლივო - ჰონდა, ბირსა (57. ესიენი), რობინიო (63. ბალოტელი) - პაცინი.

გაფრთხილება: ფერნანდესი - მექსე, დე შილიო, მუნტარი.

კუთხური: 2-8; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 11-14 (3-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 18 000

კატანია-კალიარი 1:1

გოლები: 0:1 ვეწინო (53), 1:1 ბერგესიო (62).

კატანია (4-3-3): ანდუხარი - პერუცი, როლინი, სპოლი (86. მონძონი), ბირაგი - ისკო, ლოდი, რინაუდო - ბერგესიო, კეკო (59. ლეტო), ბარიენტოსი (59. ფედატო).

კალიარი (4-3-1-2): აერამოვი - პიზანო, როსეტინი, ასტორი, აველარი - ვეწინო, კონტი, დესენა - ეკდალი (70. კოსუ) - ნენე (85. პერიკო), საუ (75. ერიკსონი).

გაფრთხილება: ბარიენტოსი, ბერგესიო, კეკო - ავრამოვი, ასტორი.

გაძევება: აველარი (73. კალიარი).

კუთხური: 12-2; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 16-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 14 000

იუვენტუსი-ფიორენტინა 1:0

გოლი: 1:0 ასამოა (42).

იუვენტუსი (3-5-2): ბუფონი - ბარცალი, ოგბონა, კიელინი - ლიხტშტაინერი (79. კასერესი), ვიდალი, პოგბა, მარკიზიო (88. პადოინი), ასამოა - ტევესი (82. ისლა), ლორენტე.

ფიორენტინა (4-3-3): ნეტო - დიაკიტე, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - აკვილანი, პისარო (54. ვოლსკი), ანდერსონი (57. ფერნანდესი) - ვარგასი, კუადრადო, გომესი (77. მატოსი).

გაფრთხილება: ვიდალი, ასამოა - გონსალო, სავიჩი, აკვილანი, მატოსი.

კუთხური: 6-2; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 4-2 (4-0); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 40 000

ბოლონია-სასუოლო 0:0

ბოლონია (3-5-1-1): კურჩი - ნატალი, ანტონსონი, კერუბინი - კრესპო, ხრისტოდოლოპულოსი (90. ჩეხი), კრპინი, პერესი, მანტოვანი - იბსონი (77. პაპონი) - ბიანკი (63. აკვაფრესკა).

სასუოლო (4-3-3): პეგოლო - მენდესი, კანავარო, არიაუდო, ანტეი (68. ლონგი) - ჩიბსა, მანიანელი, მისიროლი (78. ბიონდინი) - სანსონე, ფლორო ფლორესი, ფლოკარი (70. ფარიასი).

გაფრთხილება: პაპონი - მენდესი, ანტეი.

კუთხური: 1-2; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 5-4 (7-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 20 000

კიევო-ჯენოა 2:1

გოლები: 1:0 პალოსკი (5-პენ.), 1:1 ჯილარდინო (88), 2:1 პალოსკი (90-პენ.).

კიევო (4-3-1-2): აგაცი - რუბინი, ბერნარდინი, კანინი, ფრეი - გუარენტე (77. კლეიტონი), გუანა (37. რადოვანოვიჩი), რიგონი - ჰეტემაი - სტოიანი (70. ლაზარევიჩი), პალოსკი.

ჯენოა (5-3-2): პერინი - ანტონინი (46. კოფიე), დე მაიო, მარკეზე, მოტა, დე ჩელიე - ფეტფატციდისი, სტურარო, კაბრალი (46. ჩენტურიონი) - კონატე (66. კალაიო), ჯილარდინო.

გაფრთხილება: კანინი, კლეიტონი - მოტა, დე მაიო, კონატე, კოფიე.

კუთხური: 6-10; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 12-10 (5-6); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

მაყურებელი: 10 000

ინტერი-ტორინო 1:0

გოლი: 1:0 პალასიო (30).

ინტერი (3-5-2): ჰანდანოვიჩი - როლანდო, რანოკია, კამპანიარო (75. ანდრეოლი) - ჯონათანი, კამბიასო, ერნანესი, გუარინი (69. კოვაჩიჩი), ნაგატომო - პალასიო, იკარდი (89. ტაიდერი).

ტორინო (3-5-2): პადელი - დარმიანი, როდრიგესი, მორეტი - ვესოვიჩი, ფარნერუდი, კურტიჩი (57. ელ ქადური), ბაშა (85. მეჯორინი), ვივესი (65. პანაიოტისი) - ჩერჩი, იმობილე.

გაფრთხილება: მორეტი, დარმიანი, ვივესი, პანაიოტისი (ტორინო).

კუთხური: 2-5; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10-3 (3-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 46 000

ლაციო-ატალანტა 0:1

გოლი: 0:1 მორალესი (60).

ლაციო (4-3-3): მარკეტი - კონკო, ცანა (76. ცანა), ბიავა, რადუ - ბილია, გონსალესი, ონაზი (46. ლულიჩი) - კანდრევა, კეიტა, კლოზე (86. კაკუტა).

ატალანტა (4-4-1-1): კონსილი - ბენალუანი, იეპესი, სტენდარდო (79. ლუკინი), ბრივიო - ესტიგარიბია, ბაზელი (70. მილიაჩო), ბონავენტურა, კარმონა - მორალესი (85. რაიმონდი) - დენისი.

გაფრთხილება: კეიტა - კონსილი.

გაძევება: კანდრევა (64. ლაციო)

კუთხური: 10-2; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (4-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 33 000

პარმა-ვერონა 2:0

გოლები: 1:0 ბიაბიანი (20), 2:0 სკელოტო (90).

პარმა (4-3-3): მირანტე - კასანი, პალეტა, ლუკარელი, გობი (70. მოლინარო) - გარგანო, პაროლო, მარკიონი (83. ასკუა) - კასანო, პალადინო (63. პალადინო), ბიაბიანი.

ვერონა (4-3-3): რაფაელი - კაჩატორე, მორასი, მაიეტა, აგოსტინი - რომულო, ჩირილიანო (56. დონადელი), მარკიონი (82. თალები) - იანკოვიჩი (64. სალა), იტურბე, ტონი.

გაფრთხილება: პალეტა, გობი, ლუკარელი - ჩირილიანო, სალა.

კუთხური: 8-5; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 8-3 (6-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 18 000

სამპდორია-ლივორნო 4:2

გოლები: 0:1 მბაიე (19), 0:2 მბაიე (27), 1:2 კრისტიჩიჩი (49), 2:2 ჩეკერინი (53-საკ. კარში), 3:2 ოკაკა (68), 4:2 გაბიადინი (75).

სამპდორია (4-2-3-1): და კოშტა - დე სილვესტრი (46. ფიორნაზიერი), მუსტაფი, გასტალდელო, რეჯინი - პალომბო, ობიანგი (46. კრისტიჩიჩი) - ედერი, გაბიადინი, სორიანო - ოკაკა (78. ლოპესი).

ლივორნო (3-5-2): ბარდი - ჩეკერინი (58. კოდა), ემერსონი, კასტელინი (81. პიჩინი) - ბენასი, მბაიე, ბიაჯანტი (70. ემეგარა), გრეკო, მესბა - [illegible].

გაფრთხილება: დე სილვესტრი, სორიანო - ბიაჯანტი, გრეკო.

კუთხური: 12-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-9 (7-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 22 000

ნაპოლი-რომა 1:0

გოლი: 1:0 კალეხონი (81).

ნაპოლი (4-2-3-1): რეინა - მაჯო, ფერნანდესი, ალბიოლი, გულამი - ინლერი, ჯემაილი (61. ენრიკე) - კალეხონი (85. პანდევი), ჰამშიკი (73. ინსინიე), მერტენსი - იგუაინი.

რომა (4-3-3): დე სანქტისი - მაიკონი, ბენატია, კასტანი, რომანიოლი (85. დესტრო) - ნაინგოლანი, სტროტმანი (13. ტადეი), პიანიჩი - ბასტოსი, ფლორენცი (75. ლიაიჩი), ჟერვინიო.

გაფრთხილება: კალეხონი - მაიკონი, ტადეი.

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 11-11 (4-6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: 50 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	27	23	3	1	63-19	72
2. რომა	26	17	7	2	49-12	58
3. ნაპოლი	27	16	7	4	52-29	55
4. ფიორენტინა	27	13	6	8	45-29	45
5. ინტერი	27	11	11	5	44-29	44
6. პარმა	26	11	10	5	41-29	43
7. ვერონა	27	12	4	11	43-44	40
8. ლაციო	27	10	8	9	34-35	38
9. ტორინო	27	9	9	9	39-35	36
10. მილანი	27	9	8	10	39-38	35
11. ჯენოა	27	9	8	10	31-34	35
12. სამპდორია	27	9	7	11	33-39	34
13. ატალანტა	27	10	4	13	28-38	34
14. უდინეზე	27	9	4	14	30-39	31
15. კალიარი	27	6	11	10	27-36	29
16. კიევო	27	6	6	15	22-38	24
17. ბოლონია	27	4	11	12	22-41	23
18. ლივორნო	27	5	6	16	29-50	21
19. კატანია	27	4	8	15	20-46	20
20. სასუოლო	27	4	6	17	25-55	18

ბომბარდირები: 15 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 13 - ჩირო იმობილე (ტორინო), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), ლუკა ტონი (ვერონა); 12 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო).

მომდევნო ტური

15 მარტი: ვერონა-ინტერი; 16 მარტი: ატალანტა-სამპდორია, ლივორნო-ბოლონია, სასუოლო-კატანია, კალიარი-ლაციო, მილანი-პარმა, ფიორენტინა-კიევო, ჯენოა-იუვენტუსი; 17 მარტი: ტორინო-ნაპოლი, რომა-უდინეზე

სერია B. XXVIII ტური

ემპოლი-აველინო 0:1
გოლი: 0:1 იძო (57).

ბარი-ლანჩანო 1:0
გოლი: 1:0 კაპიტელი (34).

ბრეშა-ლატინა 0:2
გოლები: 0:1 ჯონატასი (4), 0:2 პაოლუჩი (30).

კარპი-რეჯინა 0:3
გოლები: 0:1 ლუჩონი (63), 0:2 სბაფო (69), 0:3 დი მიკელე (79).

კროტონე-ჩიტადელა 2:0
გოლები: 1:0 ჯანონე (2), 2:0 იშაკი (80).

ნოვარა-სპეცია 2:0
გოლები: 1:0 სანსოვინი (24), 2:0 ფარაგო (77).

პადოვა-მოდენა 2:2
გოლები: 0:1 ბაბაქარი (15), 0:2 ტიაგო (40), 1:2 კუფა (61), 2:2 იმპროტა (63).

პესკარა-ჩეზენა 2:0
გოლები: 1:0 ზუპარიჩი (43), 2:0 პოლიტანო (57).

ტერნანა-ვარეზე 2:0
გოლები: 1:0 ძიტო (18), 2:0 ლიტერი (81).

ტრაპანი-სიენა 0:2
გოლები: 0:1 პულცეტი (63), 0:2 პულცეტი (88).

10 მარტი

იუვე სტაბია-პალერმო 23:30

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პალერმო	27	14	8	5	38-20	50
2. ემპოლი	28	12	10	6	36-22	46
3. ლატინა	28	11	12	5	29-20	45
4. აველინო	28	11	11	6	33-29	44
5. ლანჩანო	28	12	8	8	27-23	44
6. ჩეზენა	28	10	13	5	33-24	43
7. ტრაპანი	28	10	12	6	37-31	42
8. კროტონე	28	12	6	10	39-37	42
9. სპეცია	28	10	10	8	31-36	40
10. სიენა	28	11	13	4	43-30	39
11. კარპი	27	11	5	11	32-35	38
12. პესკარა	28	10	8	10	37-34	38
13. ბრეშა	28	8	13	7	37-37	37
14. მოდენა	28	9	9	10	37-29	36
15. ვარეზე	28	9	9	10	37-39	36
16. ტერნანა	28	8	11	9	37-34	35
17. ბარი	28	9	8	11	28-33	32
18. ნოვარა	28	7	10	11	27-36	31
19. რეჯინა	28	6	7	15	26-41	25
20. ჩიტადელა	28	4	11	13	24-39	23
21. პადოვა	27	5	7	15	21-40	22
22. იუვე სტაბია	27	2	9	16	23-43	15

შენიშვნა: სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.

ბომბარდირები: 19 - მანკოზუ (ტრაპანი); 15 - კარაჩოლო (ბრეშა), ტავანო (ემპოლი), ანტენუჩი (ტერნანა); 14 - პავოლეტი (ვარეზე), ბაბაქარი (მოდენა).

სერია C1/A

ალბინოლეფე-სან მარინო 0:0, ფერალპიზალო-ენტელა 1:2, ლუმეცანე-პავია 0:2, პრო ვერჩელი-კრემონეზე 1:0, პროპატრია-კომო 1:1, რეჯანა-ვენეცია 1:0, სავონა-კარარეზე 1:1, სუდტიროლი-ვიჩენცა 1:0.

სერია C1/B

ვიარეჯო-ლეჩე 2:0, ასკოლი-პიზა 2:1, ბენევენტო-ფროზინონე 1:1, გროსეტო-სალერნიტანა 2:1, პაგანეზე-ლაკვილა 0:1, პერუჯა-ბარლეტა 3:0, პონტედერა-კატანძარო 0:0.

უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

კონფერენცი

XXXVII ტური

ალფრეტონი-ლინკოლნი	1:1
ბარნეტი-გეიტშედი	0:1
ბრეინტრი-ჰერეფორდი	1:1
დარტფორდი-ჩესტერი	0:1
ფორესტ გრინი-კემბრიჯი	3:2
ჰაიდი-ჰალიფაქსი	1:5
მაკლსფილდი-გრიმსბი	1:1
ნანიტონი-უელინგი	2:0
სალისბერი-ლუტონი	0:0
ტამვორტი-ალდერშოტი	1:0
უოკინგი-საუთპორტი	2:0
რექსჰემი-კიდერმინსტერი	0:0

გერმანია

რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXVI ტური

ფიურტი II-რაინი	3:2
ვიქტორია (ა)-ბაიერნ ჰოფი	1:2
აიმშტეტენი-როზენჰაიმი	1:1
ვიურცბურგერი-აუგსბურგი II	0:1
მიუნხენი II-მემინგენი	0:1
შალდინგი-ილერტისენი	2:5
ინგოლშტადტი II-ბაიერნი II	1:0
ბუხბახი-შვაინფურტი	1:0

რეგიონალლიგა (ჩრ)

XXIV ტური

ფლენსბურგი-ჰაველსე	0:0
ბრაუნშვაიგი II-ვოლფსბურგი II	1:2
სტ. პაული II-აინტრახტი (ნ)	0:3
მეპენი-ჰანოვერი II	2:1
გოსლარერი-ნოიმუნსტერი	2:0
ჰამბურგი II-რედენი	0:0
აიხედი-ვილჰელმსჰავენი	0:1
ვიქტორია-ვერდერი II	1:4

რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XIX ტური

ბაბელსბერგი-ბერლინერი	2:1
მაგდებურგი-უნიონი II	1:2
ლოკომოტივი-ცვიკაუ	1:0
ვიქტორია-კარლ ცაისი	1:2
მაიერი-რატენოვი	4:2
ჰერტა II-გერმანია	0:0
პლაუენი-ნოიშტრელიცი	3:2
მოისელვიცი-აუერბახი	1:2

რეგიონალლიგა (დას)

XXVI ტური

ფორტუნა II-ბოხუმი II	1:2
ალემანია-გლადბახი II	0:2
იუერდინგენი-ესენი	1:1
ლევერკუზენი II-ზიგენი	0:0
ვიდენბრიუკი-ვიქტორია	0:3
შალკე II-ფერლი	1:0
ვატენშაიდი-ლიპშტადტი	2:1
ფელბერტი-კიოლნი II	1:2

რეგიონალლიგა (ს-დ)

XXII ტური

აინტრახტი II-ულმი	1:1
ტრირი-პფულენდორფი	1:1
ფრაიბურგი II-ჰოფენჰაიმი II	3:1
კასელი-ვორმატია	1:0
ჰომბურგი-ბაუნატალი	1:1
კაიზერი II-ცვაიბრიუკენი	0:0
ოფენბახი-მანჰაიმი	0:1
მაინცი II-ზონენჰოფი	0:0
ნაკარელცი-კობლენცი	0:0

საფრანგეთი

II დივიზიონი

XXVII ტური

არლი-ნანსი	1:2
ოსერი-დიჟონი	2:2
კლერმონი-ნიმი	1:0
კრეტეი-ბრესტი	0:0
ლავალი-კა ბასტია	2:0
ჰავრი-კაენი	1:1
ნიორი-შატორუ	4:0
ტრუა-ისტრი	4:1
მეცი-ლანსი	0:1
ტური-ანჟერსი	დღეს

ნასიონალი

XXIII ტური

ორლეანი-ლე პუარი	4:1
ამიენი-რედ სტარი	2:0
ბულონი-ფრეჟუსი	2:1
კარკეფუ-კოლომიერი	1:1
კოლმარი-დუნკერკი	2:0
გფკო აიაჩო-ბურჟი	3:1
ლუკონი-სტრასბური	1:0
ლუზენაკი-პონ დუ გარი	4:0
პარიზი-ვანი	1:1

შვედეთის თასი

ანგელჰოლმი-მალმიო	0:3
დეგერფორსი-ჰამარბიუ	1:3
ჰუდიკსვალსი-გიოტებორგი	0:10
სუნდსვალი-ვარნამო	0:0
ტორსლანდა-ჰელსინგბორგი	0:5
სირიანსკა-ლიუნგსკილე	1:1
რინინგე-ელფსბორგი	0:5
ოსტერსი-ოსტერსუნდი	5:2
იურგორდენი-ასირისკა	2:0
სირიუსი-ჰალმსტადი	2:1
კარლსტადი-ატვიდაბერგი	2:2
ბრომაპოიკარნა-იონჩოპინგი	0:0
აფკ იუნაიტედი-ნორჩოპინგი	0:2
გეფლე-გაისი	1:1
მიალბიუ-იორგრიტე	2:0
სანდვიკენსი-ჰაკენი	1:4

ჰოლანდია

II დივიზიონი

XXX ტური

დენ ბოში-ტელსტარი	0:1
ეინდჰოვენი-პსვ II	1:2
ფორტუნა-ექსელსიორი	2:2
მაასტრიხტი-ჰელმონდი	0:0
ვილემი-ოსი	2:1
ალმერე-აიაქსი II	0:3
დორდრეხტი-ვოლენდამი	3:3
ახილესი-ვენლო	0:3
სპარტა-ტვენტე II	0:1

ბელგია

XXIX ტური

სერკლი-გენტი	1:4
გენკი-მონსი	3:1
ლოკერენი-ვაასლანდი	0:0
ოსტენდე-კორტრიიკი	0:0
ლოივენი-ანდერლეხტი	1:0
შარლერუა-ლიერსი	1:1
სტანდარდი-მეხელენი	2:0
ვარეგემი-ბრიუგე	1:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტანდარდი	28	19	6	3	56-16	63
2. ბრიუგე	28	18	5	5	51-27	59
3. ანდერლეხტი	28	17	3	8	57-30	54
4. ვარეგემი	28	13	10	5	49-37	49
5. ლოკერენი	28	14	5	9	46-30	47
6. გენკი	28	13	2	13	37-36	41
7. გენტი	28	11	8	9	35-35	41
8. კორტრიიკი	28	10	7	11	40-42	37
9. ოსტენდე	28	9	6	13	28-42	33
10. სერკლი	28	9	6	13	28-49	33
11. ლიერსი	28	9	4	15	34-50	31
12. მეხელენი	28	8	7	13	34-46	31
13. შარლერუა	28	7	9	12	32-40	30
14. ვაასლანდი	28	6	11	11	27-34	29
15. ჰევერლე	28	5	9	14	27-44	24
16. მონსი	28	5	4	19	25-48	19

II დივიზიონი

XXVIII ტური

ტუბეკე-ეუპენი 0:1; ბორინაჟი-ვოლუვე 2:1; ლომელი-მუსკრონი 3:1; რუზელარე-ჰუგსტრატენი 0:1; სტ. ტრუიდენი-აალსტი 2:0; ვირტონი-ჰაისტი 3:3; ვესტერლო-დესელი 3:0; ვიზე-გეელი 0:1; ბრიუსელი-ანტვერპენი 1:1.

პორტუგალია

II დივიზიონი

XXXIII ტური

ტონდელა-ბენფიკა B	2:0
ავეში-პორტიმონენსე	0:0
შავეში-პორტუ B	2:1
ლეიქსოესი-ატლეტიკო	3:3
კოვილია-ფარენსე	0:1
მადეირა-ოლივეირენსე	2:0
ვიზეუ-სპორტინგი B	1:0
სანტა კლარა-ტროფენსე	0:0
ბრაგა B-პენაფიელი	1:1
მარიტიმუ B-ბეირა მარი	1:1
მორეირენსე-ფეირენსე	0:0

შოტლანდია

ჩემპიონშიპი

XXVII ტური

კოუდენბითი-ალოა	2:2
ფალკირკი-ლივინგსტონი	1:1
ქუინი-ჰამილტონი	1:1

I ლიგა

XXVIII ტური

არბროა-ისტ ფაიფი	2:1
აირი-სტრანრარი	5:0
დანფერმლაინი-სტენჰაუზმური	0:0
ფორფარი-ბრეჩინი	1:1

II ლიგა

XXVIII ტური

ბერვიკი-მონროუზი	5:0
ისტ სტირლინგი-სტირლინგი	1:0
ელჯინი-პიტერჰედი	2:3
ქუინზ პარკი-კლაიდი	1:3

შოტლანდიის თასი

1/4 ფინალი

რეითი-სტ. ჯონსტონი	1:3
აბერდინი-დამბარტონი	1:0
ინვერნესი-დანდი იუნ	0:5
რეინჯერსი-ალბიონი	1:1

ჩინეთი

I ტური

შანდონგი-ჰარბინი	1:0
გუანჯოუ-ჰენანი	3:0
ბეიჯინგი-ჩანგჩუნი	1:0
ჰანგჟოუ-დალიანი	1:1
ჯიანგსუ-გუიჟოუ	0:0
ლიაონინგი-შან. ისტ აზია	1:1
შან. შენსინი-შან. შენჰუა	0:2
ტიანჯინი-გუანჯოუ RF	1:1

იაპონია

II ტური

ჰიროშიმა-კავასაკი	2:1
ნიიგატა-გამბა ოსაკა	0:2
ტოკუშიმა-სერეზო	0:2
ტოკიო-კოფუ	1:1
ომია-ნაგოია	1:2
შიმიზუ-იოკოჰამა	0:1
კობე-კაშივა	1:1
ურავა-საგან ტოსუ	0:1
კაშიმა-ვეგალტა	2:0

ავსტრია

XXVI ტური

რიდი-ზალცბურგი	1:3
ვოლფსბერგი-ადმირა	2:3
ვინერი-შტურმი	2:1
აუსტრია-გრიოდიგი	2:0
ვაკერი-რაპიდი	1:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზალცბურგი	26	20	4	2	88-23	64
2. გრიოდიგი	26	11	6	9	50-48	39
3. აუსტრია	26	10	8	8	43-34	38
4. რაპიდი	26	9	9	8	42-35	36
5. რიდი	26	8	11	7	42-45	35
6. ვოლფსბერგი	26	8	8	10	41-46	32
7. ვინერი	26	8	8	10	33-57	32
8. შტურმი	26	7	7	12	36-45	28
9. ადმირა	26	8	6	12	38-54	25
10. ტიროლი	26	3	9	14	31-57	18

კვიპროსი

XXIV ტური

დოქსა-ენოსისი	1:1
კუკლიონი-აპოელ	1:6
ერმისი-არისი	2:1
ომონია-ეთნიკოსი	1:0
ანორთოსისი-ნეა სალამისი	1:1
ალკი-აელ	0:3
აპოლონი-აეკ	3:0

დანია

XXI ტური

ვესტსიელანდი-რანდერსი	1:1
აგფ ორჰუსი-ოლბორგი	2:5
ვიბორგი-ესბიერგი	1:3
ბრონდბიუ-ნორდსიელანდი	4:1
ოდენსე-კოპენჰაგენი	0:1

ფინეთი

ლიგის თასი

ინტერი-ჰიკ	1:3
ვაასა-მიუპა	3:0
კუოპიო-სეინაიოკი	0:1

საბერძნეთი

XXVIII ტური

ოფი-იანინა	1:1
ქსანთი-ასტერასი	0:1
პანათინაიკოსი-არისი	4:1
ატრომიტოსი-პანიონიოსი	4:0
აპოლონი-პლატანიასი	3:1
ლევადია-პანაიტოლიკოსი	2:1
პანთრაკიკოსი-ერგოტელისი	2:1
პაოკ-ოლიმპიაკოსი	2:1

ირლანდია

I ტური

დროგედა-დანდალკი	4:1
ლიმერიკი-ბრეი	0:0
უნივერსიტი-ბოჰემიანი	0:3
კორკი-სტ. პატსი	1:1
სლიგო-ეთლონი	2:1
შემროკი-დერი	1:1

II დივიზიონი

I ტური

გალვეი-ლონგფორდი 0:1; ფინ ჰარპსი-უოტერფორდი 0:0; შელბურნი-უექსფორდი 2:0; კობ რამბლერსი-შემროკი B 1:1.

ჩრ. ირლანდია

XXXI ტური

კოლრეინი-კრუზეიდერსი	1:0
გლენტორანი-ბალიმენა	3:0
კლიფტონვილი-ბალინამალარდი	5:0
გლენავონი-დუნგანონი	3:2
პორტადაუნი-ლინფილდი	1:2
უორენპოინტი-არდსი	0:2

შვეიცარია

XXIV ტური

ბაზელი-სტ. გალენი	1:1
გრასჰოპერსი-ლოზანა	2:1
არაუ-თუნი	1:4
იანგ ბოიზი-ციურიხი	1:3
სიონი-ლუცერნი	3:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაზელი	24	11	12	1	43-24	45
2. გრასჰოპერსი	24	11	7	6	39-26	40
3. იანგ ბოიზი	24	12	4	8	42-32	40
4. ციურიხი	24	12	4	8	39-32	40
5. ლუცერნი	24	10	6	8	33-35	36
6. თუნი	24	9	7	8	38-35	34
7. სტ. გალენი	24	8	8	8	26-30	32
8. არაუ	23	7	4	12	35-46	25
9. სიონი	23	6	5	12	23-31	23
10. ლოზანა	24	4	1	19	24-51	13

ჩელენჯლიგა

XXIV ტური

ლუგანო-ბილი 4:4; ვილი-ვოლენი 3:1; ვადუცი-კიასო 5:2; სერვეტი-ლოკარნო 1:0; ვინტერტური-შაფჰაუზენი დღეს.

მექსიკა

X ტური

მორელია-პუმასი	3:1
ტიხუანა-გვადალახარა	2:0
ამერიკა-სანტოსი	2:4
პაჩუკა-მონტერეი	2:0
ტიგრესი-კრუს ასული	3:0
ლეონი-ვერაკრუსი	0:1
ტოლუკა-პუებლა	3:0
ატლასი-ხაგუარესი	2:2

თურქეთი

II დივიზიონი

XXIX ტური

ქაჰრამანმარაში-ბუიუქშეჰირი	1:3
ბუკა-ბალიქესირი	0:2
ორდუ-დენიზლი	3:0
ანკარასპორი-1461 ტრაბზონი	3:1
მანისა-თავშანლი	2:4
ადანასპორი-ბოლუ	1:0
ქარსიაკა-ფეთიიე	1:2
შანლიურფა-გაზიანთეფი ბბ	0:1

უელსი

XXVI ტური

კარმარტენი-ეირბასი	1:2
ქონეასი-აფან ლიდო	3:0
ნიუთაუნი-რილი	2:1
პრესტატინი-ბალა	1:2
ტნს-ბანგორი	4:1

ბოსნია

XXI ტური

ველეჟი-მლადოსტი	0:0
ზვიეზდა-ლეოტარი	4:1
რადნიკი-ბორაცი	1:2
რუდარი-ჩელიკი	1:1
ტრავნიკი-შიროკი ბრიეგი	1:0
ვიტეზი-სლავია	3:0
ჟელეზნიჩარი-ზრინსკი	2:1
სარაევო-ოლიმპიკი	1:1

ბულგარეთი

XXVI ტური

ბოტევი-ლოკომოტივი (ს)	4:1
ლევსკი-ცსკა	0:1
სლავია-ლოკომოტივი (პ)	4:1
ლიუბიმეცი-ჩერნო მორე	0:4
პირინი-ნეფტოხიმიკი	3:2
ჩერნომორეცი-ბეროე	1:3
ლიტექსი-ლუდოგორეცი	0:0

ხორვატია

XXV ტური

დრაგოვოლიაცი-რიეკა	0:2
სპლიტი-ოსიეკი	1:0
სლავენი-დინამო	1:6
ლოკომოტივა-ზადარი	1:3
ისტრა-ჰაიდუკი	1:1

ჩეხეთი

XIX ტური

ლიბერეცი-ბრნო	1:0
ზნოიმო-იაბლონეცი	4:0
ბანიკი-პრშიბრამი	1:1
დუკლა-იგლავა	0:3
სლოვაცკო-ბოჰემიანსი	1:0
სიგმა-ბოლესლავი	1:1
სპარტა-პლზენი	1:0

II დივიზიონი

XXIV ტური

ბუდეიოვიცე-სლოვანი 1:0; ლოკობოჰემიანსი 1:0; პარდუბიცე-ვლაშიმი 2:0; ტრშინეცი-უსტი 1:0; ტაბორსკო-ჰრადეცი 2:1; ჭლინი-მოსტი 2:1; ჟიჟკოვი-სოკოლოვი 1:2; კარვინა-ფრიდეკი 0:0.

ესტონეთი

II ტური

ლოკომოტივი-ნომე კალიუ	0:2
ლევადია-სილამაე	2:2
ტრანს ნარვა-ტალინა	1:1
ფლორა-პაიდე	5:0
ინფონეტი-ტამეკა	3:0

უნგრეთი

XIX ტური

ლომბარდი-მეზოკოვეშდი	1:1
კეჩკემეტი-დიოშდიორი	1:1
მტკ-ფერენცვაროში	3:2
პუშკაში-პონველი	0:4
უიპეშტი-კაპოშვარი	1:1
დიორი-პეჩი	2:5
დებრეცენი-ჰალადაში	2:0
პაკში-ვიდეოტონი	2:2

რუსეთი

XX ტური

კრასნოდარი-ურალი	0:1
ტერეკი-სპარტაკი	1:0
დინამო-ცსკა	4:2
ანჟი-რუბინი	1:0
ზენიტი-ტომი	0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზენიტი	20	12	5	3	40-20	41
2. ლოკომოტივი	19	12	4	3	37-16	40
3. სპარტაკი	20	12	3	5	37-21	39
4. დინამო	20	11	5	4	36-23	38
5. ცსკა	20	10	4	6	26-23	34
6. კრასნოდარი	20	10	3	7	30-25	33
7. ამქარი	19	8	6	5	22-20	30
8. ყუბანი	19	6	6	7	25-26	24
8. როსტოვი	19	6	6	7	23-24	24
10. რუბინი	20	5	9	6	21-15	24
11. კრილია	19	5	9	5	20-23	24
12. ვოლგა	19	5	3	11	17-37	18
13. ტომი	20	4	4	12	13-28	16
14. ტერეკი	20	3	7	10	14-23	16
15. ურალი	20	3	6	11	17-37	15
16. ანჟი	20	1	8	11	13-30	11

II დივიზიონი

XXVI ტური

ლუჩ ენერგია-ბალტიკა 1:1; სიბირი-შინიკი 1:0; მორდოვია-უფა 2:2; არსენალი-ანგუშტი 3:0; ნალჩიკ-სკა ენერგია 2:1.

ისრაელი

XXV ტური

აშდოდი-ჰაპოელი (თ-ა)	4:5
ბნეი შაქნინი-ჰაპოელი (რ)	2:0
ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ა)	1:0
ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (ი-ა)	2:0
მაკაბი (ფ-ა)-ირონი (რ-ა)	3:3
მაკაბი (ა)-ბნეი იეჰუდა	2:2

ლიტვა

I ტური

ატლანტასი-დაინავა	6:0
ეკრანასი-კრუოია	1:2
სუდუვა-ბანგა	0:1
ჟალგირისი-შიაულიაი	3:1

მაკედონია

XXI ტური

ბრეგალნიცა-რაბოტნიჩკი	1:1
გორნო-შკენდია	2:1
ტურნოვო-მეტალურგი	0:0
მაკედონია-ნაპრედოკი	3:1
რენოვა-გოსტივარი	3:0
ვარდარი-პელისტერი	1:1

მოლდოვა

XX ტური

დინამო-შერიფი	0:6
ვერისი-კოსტულენი	1:1
სპერანცა-დაჩია	0:1
ზიმბრუ-ცსკა	3:0
მილსამი-აკადემია	3:0
ტირასპოლი-ოლიმპია	1:0

ჩერნოგორია

XX ტური

ბუდუჩნოსტი-ზეტა	2:0
დეჩიჩი-რუდარი	1:0
გრბალი-ლოვჩენი	0:0
მორნარი-მოგრენი	3:0
პეტროვაცი-მლადოსტი	1:1
სუტიესკა-ჩელიკი	1:0

პოლონეთი

XXV ტური

კორონა-ლეხია	1:0
ზავიშა-გორნიკი	3:1
იაგელონია-ზაგლებე	1:0
ვისლა-რუხი	0:1
პოგონი-კრაკოვია	0:0
პიასტი-პოდბესკიძე	0:0
შლიონსკი-ლეგია	1:1

რუმინეთი

XXII ტური

ბრაშოვი-ოცელული	1:3
ბოტოშანი-პოლი ტიმიშოარა	1:0
კონკორდია-უნივერსიტატეა	1:1
კლუჟი-სტიაუა	0:1
გაზ მეთანი-ვიიტორული	4:0
ჩახლაული-პეტროლული	0:0

სერბეთი

XVIII ტური

დონი შრემი-იაგოდინა	1:1
ჩუკარიჩკი-ოფკ	1:0
რადნიჩკი-რადი	1:1
ჰაიდუკ.-იავორი	1:0
ნოვი პაზარი-სლობოდა	2:1
რადნიჩკი (ნ)-პარტიზანი	0:5
ცრ. ზვეზდა-ნაპრედაკი	4:1
სპარტაკი-ვოივოდინა	1:1

სლოვაკეთი

XXI ტური

ტრნავა-დ. სტრედა	1:2
ბისტრიცა-სენიცა	3:1
რუჟომბეროკი-კოშიცე	0:3
მიავა-ჟილინა	2:2
ტრენჩინი-მორავცე	2:1

სლოვენია

XXI ტური

ოლიმპია-კრკა	0:1
მარიბორი-კოპერი	2:2
პუბლიკუმი-რუდარი	1:2
გორიცა-დომჟალე	1:1
ტრიგლავი-ზავრჩი	3:1

არგენტინა

VII ტური

არგ. ხუნიორსი-ლანუსი	0:2
კოლონი-ხიმნასია	0:0
ესტუდიანტესი-ატ. რაფაელა	0:0
ველესი-ბელგრანო	3:1
გოდოი-სან ლორენსო	1:1

ბოლივია

VIII ტური

გუარანი-სტრონგესტი	3:2
უნივერსიტარიო-ბლუმინგი	4:2
ბოლივარი-აურორა	3:0
ხორხე ვილსტერმანი-სან ხოსე	0:0
ნას. პოტოსი-რეალ პოტოსი	2:2

ავსტრალია

XXII ტური

ნიუკასლი-მელბურნი ჰ	1:0
სიდნეი-ვ. სიდნეი	3:1
ველინგტონი-პერტი	1:1
ბრისბენი-ადელაიდა	2:1

ბრაზილია

პაულისტა

XIII ტური

ბოტაფოგო-კომერსიალი	1:0
იტუანო-ატ. სოროკაბა	1:1
პონტე პრეტა-რიო კლარო	2:1
კორინთიანსი-სან პაულუ	2:3

ჩილე

X ტური

ს. უონდერერსი-ატ. ნუბლენსე	1:1
უნ. ესპანიოლა-აუდაქსი	3:2
უნ. კონსეპსიონი-ანტოფაგასტა	1:1
ო'ჰიგინსი-უნ. დე ჩილე	1:0
დეპ. იკიკე-კობრელოა	5:2
კობრესალი-ევერტონი	2:0
ლა კალერა-კოლო კოლო	1:5

ეკვადორი

VIII ტური

ემელეკი-მანტა	4:1
დეპ. კუენკა-ელ ნასიონალი	1:2
უნ. კატოლიკა-ლიგა დე ლოხა	1:1
მუშუკ რუნა-ოლმედო	1:0
ინდეპენდიენტე-ლდუ კიტო	0:0
დეპ. კიტო-ბარსელონა	2:1

პარაგვაი

IV ტური

12 დე ოქტუბრე-სოლ დე ამერიკა	0:3
სერო პორტენო-ნასიონალი	0:1
ლუკენო-გუარანი	1:4

ურუგვაი

VI ტური

ნასიონალი-ელ ტანკე	3:1
სერო ლარგო-დეფენსორი	1:5
ხუვენტუდი-დანუბიო	2:3
მირამარი-რივერ პლეიტი	0:2
სერო-სუდ ამერიკა	1:1
ფენიქსი-რენტისტასი	1:2
ლივერპული-რასინგი	2:2
პენიაროლი-მონტევიდეო	2:1

ვენესუელა

IX ტური

დეპ. ანსოატეგი-იარაკუიანოსი	1:0
არაგუა-დეპ. ლა გუაირა	0:0
სამორა-ტაჩირა	3:0
ელ ვიხია-დეპ. პეტარე	2:0
ტუკანესი-ლანეროსი	1:0
კარაბობო-ტრუხილანოსი	0:1
სულია-ესტუდიანტესი	4:3

აშშ

I ტური

სიეტლი-კანზას სიტი	1:0
დი სი იუნაიტედი-კოლამბუსი	0:3
ვანკუვერი-ნიუ იორკი	4:1
დალასი-მონრეალი	3:2
ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი	4:0
ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი	0:1
პორტლენდი-ფილადელფია	1:1
ჩივასი-ჩიკაგო	3:2

კოსტა რიკა

XII ტური

სანტოსი-ლიმონი	1:0
მუნისიპალი-დეპ. საპრისა	0:1

გვატემალა

XI ტური

კომუნიკასიონესი-მუნისიპალი	0:0
ჩელახუ-სუჩიტეპეკესი	1:1
დეპ. მიქსლანი-დეპ. მარკენსე	1:1
კოატეპეკე-უნივერსიდადი	3:2
დეპ. პეტაპა-ისტაპა	3:2
დეპ. მალაკატეკო-ალკონენსე	5:2

ჰონდურასი

XI ტური

მარათონი-პლატენსე	0:0
ვიქტორია-პარილიასი	3:1
რეალ სოსიედადი-მოტაგუა	3:2
დეპ. სავიო-რეალ ესპანა	0:2

კორეა

I ტური

პოჰანგი-ულსანი	0:1
სეული-ჩუნამი	0:1
ჯეონბუკი-ბუსანი	3:0
გიეონგნამი-სეონგნამი	1:0
სანგჯუ-ინჩეონი	2:2
ჯეჯუ-სუვონი	0:1

აზერბაიჯანი

XXV ტური

სუმგაითი-ინტერი	0:1
რავანი-ხაზარი	2:1
აზალ-სიმურგი	0:2
ქაბალა-ნეფთჩი	1:2
ყარაბაღი-ბაქუ	4:0

ს. აფრიკა

XX ტური

მპუმალანგა-პლატინუმი	1:1
ფრი სტეიტი-აიაქსი	1:1
უნივერსიტი-ორლანდო	1:0
ამაზულუ-მამელოდი	0:2
მოროკა-ბლუმფონტეინი	1:1
პოლოკვანე-ბიდვესტი	1:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. დიდი პრიზი

ლოგო – კავკასიური ჯიქი ნოე

თბილისი სრული შემართებით ემზადება 21-23 მარტს გასამართი ძიუდოისტთა „დიდი პრიზისთვის". ჩვენი ქვეყანა პირველად მასპინძლობს ამ რანგის შეჯიბრებას და გასაგებია ორგანიზატორთა სურვილი, ყველაფერი უნაკლოდ ჩავატაროთ – სხვა თუ არაფერი, ჯერჯერობით სალიცენზიო შეჯიბრების სტატუსი ისევ მისაღებია. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 100 000 დოლარია, სპონსორები კი კომპანიები - „სნო" და „ზედაზენი" არიან.

მაინც როგორ ემზადება ქვეყანა ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის, რა კეთდება და რას გვთავაზობენ ორგანიზატორები? სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით 8 მარტს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც მინისტრ **ლევან ყიფიანთან** ერთად ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქევხიშვილიც** ესწრებოდა. მოწვეულნი იყვნენ სპონსორი ფირმების წარმომადგენლები – **ირაკლი უგლავა და კახა პაიჭაძე.**

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს ტურნირის მნიშვნელობას და ეს ფაქტი პირდაპირ დაუკავშირეს საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ყიფიანმა მადლობა გადაუხადა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ამ შეჯიბრების მასპინძლობის გადმოცემისთვის, რაც ერთგვარი გაგრძელებაა საქართველოში მათ მიერ დაწყებული პროექტისა. ეს პროექტი ითვალისწინებს 11 რეგიონში ძიუდოს დარბაზების მოწყობას და სპორტული ეკიპირებით მომარაგებას, ერთი წლის განმავლობაში მწვრთნელთა ხელფასებით უზრუნველყოფას. *„ჩვენ მივდივართ იმ მიმართულებით, რომ ძიუდო კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ. გვსურს ძველი, დიდი ტრადიციების გაგრძელება და რაც მთავარია, მასობრიობის კიდევ უფრო გაზრდა, რეგიონებში მუშაობის გაშლა"* - აღნიშნა მინისტრმა.

თავის გამოსვლაში ქევხიშვილმა თქვა, რომ მინისტრის მიერ ხსენებული 11 დარბაზიდან 3 უკვე ამოქმედდა და მადლობა გადაუხადა ყველა პარტნიორს, ვინც კი ჩართულია „დიდი პრიზის" საორგანიზაციო საკითხებში. თავის გამოსვლებში ბიზნესმენებმა ასევე აღნიშნეს ამ შეჯიბრების მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ მათი კომპანიებისთვის პრიორიტეტია ამგვარ პროექტებში მონაწილეობა.

დავით ქევხიშვილი (მარცხნივ), ლევან ყიფიანი

პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს ტურნირის ლოგო და თილისმა. უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანი გემოვნებითაა შესრულებული. „დიდი პრიზის" ლოგო კომპანია „ვინდ ფორსის" იდეით შექმნილი, გამბედაობისა და სიმამაცის სიმბოლოდ მიჩნეული კავკასიური ჯიქი, სახელად „ნოე" იქნება.

საქართველოს გარდა, ტურნირზე დარეგისტრირებულია 29 ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, აშშ, სერბეთი, უზბეკეთი, იტალია, მონღოლეთი, სლოვენია, ირანი, რუმინეთი, ეგვიპტე, ლიტვა, თურქმენეთი, ხორვატია, რუსეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ისრაელი, ტოგო, პორტუგალია, თურქეთი, ჩეხეთი, სამხრეთ კორეა და უკრაინა. განაცხადების მიღების ვადა უკვე ამოიწურა, თუმცა არაა გამორიცხული, დარჩენილ დღეებში ისევ დაემატოს ვინმე. ამის მაგალითს თუნდაც უკრაინა იძლევა, რომელიც ჩვენი ტურნირის ბოლო მონაწილეა – ისინი სწორედ ვადის ამოწურვის შემდეგ დარეგისტრირდნენ...

წინასწარი მონაცემებით, თბილისში 300-მდე ძიუდოისტი ჩამოვა, რომელთა უმეტესობაც, სავარაუდოდ, ტურნირის შემდეგ ერთობლივ შეკრებაზეც დარჩება

სამწუხაროდ, არ ჩამოდის იაპონიის ნაკრები. ევროპელთაგან არც ჰოლანდიელებს და გერმანელებს გამოუთქვამთ სურვილი. უცნაურია, რომ ჩამონათვალში არც საბერძნეთია...

წინასწარი მონაცემებით, თბილისში 300-მდე ძიუდოისტი ჩამოვა, რომელთა უმეტესობაც, სავარაუდოდ, ტურნირის შემდეგ ერთობლივ შეკრებაზეც დარჩება. მონაწილეთა შორის „ვარსკვლავებიც" მრავლად იქნებიან. მაგალითად, უკრაინიდან ჩამოდის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (66), რუსეთიდან ჩამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონები – **არსენ გალსტიანი** (60) და **ტაგირ ხაიბულაევი** (100). განაცხადშია **კირილ დენისოვიც** (90) – **ვალერი ლიპარტელიანის** უპრინციპულესი მეტოქე. მძიმე წონის განაცხადში მათ ერთადერთი მონაწილე ჰყავთ – **ანტონ კრივობოკოვი**, ვინც ბოლო წლებში ახალგაზრდებში სისტემატურად გვიმარცხებს ფალავნებს. ტიტულოვანი ფალავნები სხვა გუნდების განაცხადებშიცაა.

„დიდი პრიზი" ვაჟებსა და ქალებში პარალელურად ჩატარდება. ვაჟთა ნაკრებმა გუშინ დაასრულა ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება ბაკურიანში, ხვალ კი მეორეს დაიწყებს ბორჯომში. როგორც პრესკონფერენციაზე ქევხიშვილმა გვითხრა, გუნდი სრული შემადგენლობით იასპარეზებს ტურნირზე და უკლებლივ ყველა ლიდერი იჭიდავებს. გვეყოლება ქალთა ნაკრებიც, ოღონდ – არასრული შემადგენლობით. სამწუხაროდ, არ იქნებიან ახალი თაობის ლიდერები და ყველაზე წარმატებული ქართველი ძიუდოისტი ქალები – 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (52) და იმავე ასაკში ევროპის მესამე პრიზიორი **მზია ბებოშვილი** (52). პირველმა მხრის ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, მეორე კი ამ დღეებში ანთალიაში იჭიდავებს ჭაბუკთა ევროპის თასზე.

შეჯიბრება სამი დღის განმავლობაში ჩატარდება. ის სტარტს 21 მარტს აიღებს, როცა ვაჟებიდან 60-66 კილოგრამის, ქალებიდან კი 48, 52 და 57-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. 22 მარტს 60-70-კილოგრამიანი ქალები და 73-81-იანი ვაჟები იასპარეზებენ, დანარჩენები კი კვირას, 23 მარტს გავლენ ტატამზე. შეჯიბრებები სამივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალური ბლოკი კი – 17 საათიდან... ტურნირის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ...

დაბოლოს, ყველაზე სასიამოვნო ინფორმაცია ქომაგებისთვის - „დიდ პრიზზე" დასწრება უფასოა.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ქალთა ნაკრები

ჰოლანდიელი საქართველოს ნაკრებში?

ესტერი – ქართული ესთეტიკა

თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებში ჰოლანდიელი სპორტსმენი – **ესტერ სტამი** იჭიდავებს. ამის სურვილი თავად მას გამოუთქვამს, ხოლო ჩვენები წინააღმდეგნი, ბუნებრივია, არ იქნებოდნენ.

ესტერ სტამი ჰაარლემშია დაბადებული. საქვეყნოდ ცნობილ ადგილობრივ კლუბში „კანამიუში" გამოდის 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ის ხვალ, 11 მარტს იუბილარია - 27 წლის ხდება. პირველი მწვრთნელი **მირჯამ ვან ტ ჰულია**, ამჟამად კი **მარჯოლაინ უნენდინგი** ავარჯიშებს. მას ტიტულები ძირითადად ასაკობრივ ნაკრებებში მოუხვეჭია: 17-წლამდელთა შორის ევროპის ორგზის ჩემპიონია (2002-2003 წლებში), ანალოგიური ტიტული კი 2007 წელს უკვე 23-წლიანებში მოუპოვებია. 2003 წელსვე პარიზში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზეც გაუმარჯვია. სამჯერ მოუგია ყოფილი მსოფლიოს თასები – 2009 წელს ლისაბონში, მომდევნო წელს – ვარშავაში და 2011-ში – სოფიაში. ანალოგიურ შეჯიბრებებზე 7-ჯერ ბრინჯაო მოუპოვებია. მისი ბოლო დიდი მიღწევაც შარშან მინსკში აღებული ბრინჯაოა. ალბათ, ჩვენი სპორტსმენებისთვის (რომლებსაც ინდივიდუალური სპონსორები არ ჰყავთ) საინტერესო ფაქტია, რომ სტამს ოთხი სპონსორი ჰყავს, რომლებიც მას ფინანსურად უზრუნველყოფენ.

სტამი ჰოლანდიის წლევანდელი ჩემპიონია, თუმცა იქ მთავარი ლიდერები არ გამოდიოდნენ. არადა, წონაში მეტად სერიოზული კონკურენტები ჰყავს. ამ წონაში ხომ ჰოლანდიელთა ერთ-ერთი უცნობილესი ძიუდოისტი ქალბატონი, ევროპის ოთხგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ფინალისტი და ორგზის მესამე პრიზიორი **ედიტ ბოში**, ევროპის მოქმედი ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **კიმ პოლინგი** და ევროპის შარშანდელი ფინალისტი, 23-წლიანებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **ლინდა ბოლდერი** ჭიდაობენ. აღსანიშნავია, რომ შარშან ამ წონაში ევროპის ჩემპიონატის ფინალში პოლინგი და ბოლდერი შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ პოლინგმა იმარჯვა, რომელიც საერთაშორისო რეიტინგის ლიდერია. ბოლდერი – მეხუთეა, 33 წლის ბოში კი, ეტყობა, ისვენებს – ლამის მთელი წელიწადია, არსად უჭიდავია და 49-ე ადგილამდე დაეშვა, თავად სტამი კი 91-ეა.

ერთი სიტყვით, აქ გადმოსვლით სტამი არაფერს კარგავს, თუ იხეირებს მხოლოდ. იმედია, არც ჩვენ დავრჩებით ნაგებულები. ჰოლანდიურ მხარესთან საქმის მოკვარახჭინება სტამმა ითავა, რომელმაც ჩვენამდე ისინი ჩააყენა საქმის კურსში. უარს არც ჰოლანდიური ფედერაციაა და მათთან ჩვენებმა უკვე გამართეს პირველი კონსულტაციები. წინასწარი შეთანხმებაც მიღწეულია და ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როდის მიიღებს სტამი ქართულ პასპორტს.

ირაკლი თავაძე

ესტერ სტამი (მუქ კიმონოში)

სუმო. ჰარუ ბაშო. ოსაკა. 9-23 მარტი

დაბრუნება 8-თვიანი პაუზის შემდეგ

გუშინ იაპონიის ქალაქ ოსაკაში დაიწყო წლის მეორე სუპერტურნირი - მარტის ბაშო. ელიტაში მებრძოლმა ქართველმა სუმოისტმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** პირველ დღეს წააგო. დასავლეთის მე-9 მაეგაშირა ქართველმა ორთაბრძოლა უვატენაგეს ილეთით **კიტატაიკისთან** დათმო, რომელიც აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირაა. დღეს ჩვენებურის მეტოქე მონღოლი ვეტერანი **კიოკუტენჰო** იქნება, ვისთანაც ურთიერთშეხვედრებში გაგამარუ 3:6-ს აგებს.

სასიხარულო ამბავი გვაქვს რანგით III დივიზიონიდან - დიდი ხნის პაუზის მერე სუმოს დაბრუნებულმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** პირველი ორთაბრძოლა მოიგო - **ტაკაგეპო** დაამარცხა.

2013 წლის ივლისის ბაშოზე მოგებულ ორთაბრძოლაში ლევანმა მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა, რის გამოც დოჰიოზე დღემდე არ უასპარეზია და რეიტინგი იმდენად დაუქვეითდა, რომ ელიტიდან III დივიზიონში ამოყო თავი, სადაც 55-ე ნომერია.


ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

I დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-შოჰოზანი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (კუბინაგე), კაკურიუ-ენდო (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-ტამავაში (იორიკირი), კისენოსატო-ოკინოუმი (უვატენაგე), კიტატაიკი-**გაგამარუ** (უვატენაგე).

II დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-ენდო, ჰაკუჰო-ტამავაში, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ტოჩიოძანი, კაკურიუ-შოჰოზანი, **გაგამარუ**-კიოკუტენჰო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თარიღები და მოვლენები

10-13 მარტი

10. 1912. დაიბადა **შოთა შავგულიძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1963 წელს
10. 1958. დაიბადა **დავით ქავთარაძე** - კრივი
10. 1978. დაიბადა **არჩილ სახვაძე** – ფეხბურთი
10. 1981. დაიბადა **ლევან ცაგურია \კოკაი** - სუმო
10. 1982. სსრკ ნაკრებში ბოლო მატჩი ითამაშა **ვლადიმერ გუცაევმა**
11. 1950. დაიბადა **ანატოლი მოშიაშვილი** - მძლეოსნობა
11. 1957. დაიბადა **ელენე ახმილოვსკაია** - ჭადრაკი. გარდაიცვალა. 2012 წელს
12. 2005. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა შინ ერთა თასზე 20:13 მოუგო რუმინეთის ნაკრებს და ანთიმოზ ივერიელის თასიც მოიპოვა
12. 2005. ძიუდოისტთა მსოფლიოს თასზე **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60 კგ) ოქროს მედალს დაეუფლა
12. 1885. დაიბადა **გიორგი ეგნატაშვილი** - ტანმოვარჯიშე, სპორტის მოღვაწე. გარდაიცვალა 1962 წელს
12. 1937. დაიბადა **ზურაბ სოტკილავა** – ფეხბურთელი, მომღერალი
12. 1968. დაიბადა **მაია გუბიევა** - სასტენდო სროლა
13. 1913. დაიბადა **ვლადიმერ სამსონაძე** - სპორტის მოღვაწე. გარდაიცვალა 2000 წელს
13. 1931. დაიბადა **ზურაბ ახვლედიანი** - ალპინიზმი. გარდაიცვალა 2010 წელს
13. 1976. დაიბადა **ირაკლი ვაშაკიძე** - ფეხბურთი
13. 1979. დაიბადა **რევაზ ქემოკლიძე** - ფეხბურთი
13. 2005. დაფუძნდა საქართველოს ველოსპორტის ასოციაცია
13. 2005. პრაღაში ძიუდოში მსოფლიოს თასი მოიგეს **ივერი ჯიქურაულმა** (100 კგ) და **ალექსი დავითაშვილმა** (მძიმე), მეორე ადგილზე გავიდნენ **გიორგი გუგავა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე), მესამეზე - **ირაკლი ცირეკიძე** (90). ჩვენს ნაკრებს მეორე ადგილი ხვდა იაპონელების შემდეგ
13. 2005. ბ\რომაულ ჭიდაობაში ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო **მირიან გიორგაძემ** (100).

ჩოგბურთი

ანტალიაში დაასრულეს, აქტობეში იწყებენ

ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა ანტალიის ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში. როგორც გაუწყეთ, ასპარეზობის რეიტინგფავორიტი **ეკატერინე გორგოძე** მეორე წრეში ვიქტორია კუზმოვასთან (სლოვაკეთი) დამარცხდა - 3:6, 3:6. ერთი საფეხურით წინ წაიწია **სოფიო ქვაცაბაიამ**, თუმცა მას მე-3 ნომრად განთესილი ანა ფლორისი არ გამოუცხადდა და მეოთხედფინალში უბრძოლველად გავიდა, იქ კი ბელარუს ირინა შიმანოვიჩს დანებდა - 3:6, 3:6.

წყვილთა ნახევარფინალში დამარცხდნენ ქვაცაბაია და გორგოძე: ჩვენებურებს ტურნირის მე-2 ნომრებმა - ესტელ კასტინომ (საფრანგეთი) და მარტინა კუბიჩიკოვამ (ჩეხეთი) გადაუღობეს გზა - 6:3, 6:2.

ყაზახეთის ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეოთხედფინალში გამოეთიშა შეჯიბრებას **ალექსანდრე მეტრეველი** - თბილისელმა სპორტსმენმა ანდრეი რუბლიოვთან წააგო - 4:6, 4:6.

მეტრეველი, ასევე, ორი ქართველი ჩოგბურთელი - **გიორგი ცივაძე** და **გიორგი ჯავახიშვილი** ამ კვირიდან აქტობეს (ყაზახეთი) 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში აიღებენ სტარტს - მეტოქეებს საკვალიფიკაციო ეტაპიდან ელიან.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდიდა ძალებს **ბაბილინა მაჩაიძე**, მაგრამ სტარტზევე უკრაინელ კატერინა სლიურსთან პირველი ხელი 0:6 წააგო, მეორეს 0:3-ს რომ აგებდა, ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2013-14

მერაბ ბოქოლიშვილმა (8) შსს-ს ქუთაისურ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა

შსს-ის ღირებული ორი ქულა

7 მარტი, ქუთაისი

ქუთაისი-შსს 78:81

23:23, 21:22, 14:23, 20:13

ქუთაისი: ფაშაევი (23ქ, 7პ), ცეკვავა (16ქ, 9პ), გ. ბარბაქაძე (11ქ, 8მ), ა. დვალიშვილი (15ქ, 12მ), დ. ბარბაქაძე (2ქ), გრძელიძე (6ქ, 6მ), დიდია (1ქ), ცირეკიძე, ლომინაშვილი (4ქ).

შსს: ჩიკვილაძე (21ქ, 7მ), ბოქოლიშვილი (11ქ, 6პ), ლონდარიძე (14ქ, 6მ), ბრაუნი (15ქ), ილიჩი (15ქ, 15მ), ლომოური (3ქ), გელაზონია, როგავა (2), ტომარაძე.

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

თვალსაჩინო მატჩი გაიმართა ქუთაისის სპორტის სასახლეში, სადაც გადაჭედილი ტრიბუნების ფონზე ერთმანეთს „ქუთაისი" და „შსს აკადემია" დაუპირისპირდნენ. თანაბარ ბრძოლაში საბოლოოდ სტუმრებმა იმარჯვეს.

გადამწყვეტი. საწყის ორ მეოთხედში გუნდები ერთმანეთს „გაქცევის" საშუალებას არ აძლევდნენ. დიდი შესვენების შემდეგ კი შსს უკეთ გამოიყურებოდა. **ბექა ჩიკვილაძისა** და **პერიშ ბრაუნის** შედეგიანი შეტევების შედეგად თბილისელები 13 ქულით დაწინაურდნენ - 64:51. **ზაურ ფაშაევისა** და **გოგა ცეკვავას** კარგი თამაშის წყალობით, მასპინძლებმა მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ ბოლო წამზე **მილე ილიჩმა** საკმაოდ რთული ბურთი ჩააგდო და გადამწყვეტ მეოთხედს თბილისელები 10-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ (58:68).

ბოლო პერიოდი **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდების შეტევებით დაიწყო და თბილისელთა უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. „ქუთაისმა" 10-ქულიანი ჩამორჩენაც ალმოფხვრა და დაწინაურდა კიდეც 71:70. მალე სტუმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როცა მოედნიდან მეხუთე პერსონალური ჯარიმის გამო ჩიკვილაძე და ლონდარიძე გავიდნენ. ორივე მათგანი საკმაოდ პროდუქტიულად ირჯებოდა და შსს-ისთვის გადამწყვეტ მომენტში მათი დაკარგვა არასახარბიელო უნდა ყოფილიყო, თუმცა წამყვანი კალათბურთელების გარეშე დარჩენილი „ძალოვნების" ლიდერობა ბრაუნმა აილო საკუთარ თავზე. ამას ისიც დაემატა, რომ მეხუთე პერსონალურის გამო ქუთაისელთა ლიდერს **აკაკი დვალიშვილსაც** მოუხდა თამაშის ნაადრევად შეწყვეტა. გულშემატკივრებით გადაჭედილ ქუთაისის სპორტის სასახლეში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ძალზედ მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო **მერაბ ბოქოლიშვილმა** და სტუმრები 80:78 დააწინაურა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის ბედიც სწორედ მისმა შედეგიანმა სროლამ გადაწყვიტა. საფინალო სირენამდე 31 წამით ადრე ცეკვავას ქუთაისელთა დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ სამქულიანი დისტანციიდან მისი ნასროლი ბურთი არაზუსტი გამოდგა. საპირისპირო შეტევაში ბრაუნმა ერთი საჯარიმო სროლა გამოიყენა. ამის შემდეგ დიდიამაც ვერ გამოიყენა სამქულიანი და შსს-მ ურთულესი და ღირებული გამარჯვება მოიპოვა.

სტატისტიკა არ ტყუის. „ქუთაისის" ერთ-ერთი პლუსი სამქულიანი სროლებია, მასპინძლები შსს-სთან მატჩის პირველ ტაიმში კარგად იყენებდნენ ამ კოზირს, როცა ზაურ ფაშაევმა ოთხი მცდელობიდან ოთხივე სამქულიანი გამოიყენა, მაგრამ, შემდეგ მასპინძლებს სროლები არ წაუვიდათ, რაც სტატისტიკაზეც აისახა. მათ 30 მცდელობიდან ბურთი მხოლოდ 7-ჯერ მოათავსეს კალათში (23.4%), როცა სტუმრებმა მხოლოდ 15 სამქულიანი ისროლეს და მათგან 6 ჩააგდეს (40%). შსს ორქულიანებშიც უკეთ გამოიყურებოდა - 54%, ქუთაისელთა 44.5%-ის საპირისპიროდ.

გამორჩეული. გამარჯვებული გუნდიდან სერბი მილე ილიჩი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში კარგად თამაშობდა, შედეგიანად ისროდა საშუალო დისტანციიდან, საკუთარ ფარქვეშ კი ქუთაისელთა ნამდვილ რისხვად იქცა. ბალკანელმა საბოლოოდ 15 ქულითა და 15 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მატჩის MVP-ს ტიტულიც მას უნდა მივაკუთვნოთ. სტუმართაგან ძალიან კარგად გაისარჯა ბექა ჩიკვილაძეც, რომელმაც საკუთარ გუნდს ყველაზე მეტი, 21 ქულა შესძინა. არ უნდა დაგვავიწყდეს ბრაუნის სასარგებლო გარჯაც, რომელიც შსს-ის 15 ქულით შეენია.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათგან ზაურ ფაშაევი, გოგა ცეკვავა და აკაკი დვალიშვილი გამოირჩეოდნენ. დვალიშვილმა 15 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა, ფაშაევი 23 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო, ხოლო ცეკვავას ორმაგ დუბლამდე მხოლოდ ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა (16 ქულა, 9 პასი).

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. არმია	13	11	2	1061/870	24
2. დინამო	12	11	1	1073/782	23
3. ქუთაისი	13	9	4	1109/917	22
4. ბათუმი	13	7	6	986/948	20
5. შსს აკადემია	12	7	5	938/886	19
6. სოხუმი	12	6	6	850/802	18
7. რუსთავი	12	3	9	817/978	15
8. ოლიმპი	12	2	10	867/993	14
9. მაკაბი	13	0	13	874/1399	13

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

მატჩი ჩაიშალა, სოხუმი იშლება

სუპერლიგის მორიგი ტური ქუთაისში პარასკევს დაიწყო და თბილისში შაბათს გაგრძელდა. 8 მარტს პირველი მატჩის სათამაშოდ მოედანზე „სოხუმი" და „ბათუმი" გამოვიდნენ. სოხუმელმა **რატი ბააკაშვილმა** შეხვედრის წინ მიკროფონი ითხოვა, საზოგადოებასა და მოწინააღმდეგე გუნდს ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ აგვისტოს შემდეგ ხელფასი არ აუღიათ და გაუსაძლისი პირობების გამო, მისი თანაგუნდელები ველარ ითამაშებდნენ.

„სოხუმის" კალათბურთელებმა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც კაპიტანმა **ირაკლი ჩლაიძემ** ვრცლად ილაპარაკა:

- გვერწმუნეთ, ძალიან ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. კალათბურთელები ვართ და ჩვენთვის მოედანზე გასვლა ბევრს ნიშნავს, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სპორტსმენები ვართ და ვვარჯიშებსა თუ თამაშებზე დიდ ენერგიას ვხარჯავთ, გვჭირდება ძალის აღდგენა, ელემენტარული პირობები, მაგრამ დიდი ხანია ხელფასი არ მიგვიღია. მეტი აღარ შეგვიძლია. იმედი მაქვს, სხვა გუნდის კალათბურთელები სწორად გამიგებენ, მაგრამ არა მგონია, ჩვენს მსგავსად უხელფასოდ სეზონის დასაწყისიდან დღემდე ეთამაშათ. „სოხუმმა" კი ამ სეზონში საკუთარ ისტორიაში მაქსიმუმს მიაღწია - მოვიგეთ დუდუ დადიანის მემორიალი, ვითამაშეთ ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალში და საქართველოს თასის ნახევარფინალში „დინამოს" ვაჯობეთ. თავს მიტოვებულად ვგრძნობთ და ვთხოვთ, ჩვენდამი ყურადღება გამოიჩინონ სპორტის სამინისტრომ, კალათბურთის ფედერაციამ, კერძო ბიზნესმენებმა, რომლებსაც შეუძლიათ გუნდი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანონ. „სოხუმის" პრეზიდენტი ბატონი მინდია გულუა დაგვპირდა ფულის იანვარში გადმორიცხვას, მაგრამ... 10 მარტს სასამართლოში შევიტანთ სარჩელს, რათა მივიღოთ ჩვენი კუთვნილი ხელფასი... ასევე ვთხოვთ სუპერლიგის სხვა გუნდებს, გამოხატონ ჩვენდამი მხარდაჭერა, რადგან თუ დღეს ჩვენ ვართ ასეთ სიტუაციაში, ხვალ შეიძლება სხვა აღმოჩნდეს.

პრესკონფერენციაზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა „სოხუმის" პრესცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ პაჭკორიამ:

- მესმის კალათბურთელებისა. მიმდინარე სეზონში კლუბის პრეზიდენტს მართლაც ეკუთვნის საყვედური, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამი წლის განმავლობაში ინახავდა „სოხუმს" და გუნდში დიდი ოდენობის თანხა ჩადო. არა მგონია, სასამართლო დღეს გამოსავალი იყოს.

როგორც ხედავთ, სიტუაცია მართლაც მძიმეა, კალათბურთელებთან ერთად ჩვენც იმედი დავიტოვოთ, რომ მომდევნო შაბათამდე მდგომარეობა გამოსწორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე მატჩზე არგამოცხადების შემთხვევაში სუპერლიგის დებულების მიხედვით გუნდი ჩემპიონატიდან იხსნება და „სოხუმი" ვერც თასის ფინალში ითამაშებს „ქუთაისის" წინააღმდეგ.

8 მარტი, თბილისი

სოხუმი-ბათუმი 0:20

(ტექნიკური შედეგი)

8 მარტი, თბილისი

არმია-ოლიმპი 85:53

23:12, 16:7, 17:16, 29:18

არმია: ბაბუნაშვილი (2ქ, 3პ), ბაბიაშვილი (14ქ, 9მ), ბოისა (3ქ), ბერიშვილი (4ქ, 6მ, 3პ), კვიმსაძე (7ქ, 5პ), ჯგერენაია (11ქ, 12მ), წივწივაძე (11ქ, 4პ), ტუჯანი (10ქ), შარაბიძე (14ქ, 5მ), კვეტენაძე (8ქ), ჩაჩიბაია (1ქ), კეიდია.

ოლიმპი: გულისაბედაშვილი, მიქელაძე (3ქ, 4პ), ხანიაშვილი (4ქ), თენიეშვილი (14ქ, 3ჩ), ათანელიშვილი, ჩიტაშვილი (1ქ), ალხანაიძე (7ქ), მათიაშვილი (18ქ, 9მ, 3პ), ხიზანიშვილი (3ქ), ლომიძე (3ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე, მ. ვართანოვი.

8 მარტი, თბილისი

დინამო-მაკაბი 104:53

22:11, 36:15, 20:7, 26:20

დინამო: ს. ლეჟავა (5ქ), კარტერი (15ქ, 15მ, 3პ), ბ. ლეჟავა (6ქ, 5პ), ლილუაშვილი (2ქ, 5მ), მილოშევიჩი (26ქ, 18მ, 5დ), პეშიჩი (18ქ, 12მ, 5პ), ჭოჭუა (19ქ), ანთაძე (2ქ), ორმოცაძე, სტოიაკოვიჩი (11ქ, 6მ, 3პ, 3ჩ).

მაქაბი: ტეტელაშვილი (4ქ, 5მ, 10პ), გულმაგარაშვილი (2ქ), ელბაქიძე (3ქ), მ. რევაზაშვილი (8ქ, 6მ), პატარაია, სარიშვილი, ბეშქენაძე (2ქ), გ. რევაზაშვილი (13ქ, 9მ), ფერიაშვილი (21ქ, 9მ, 3დ).

მსაჯები: დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე, მ. ვართანოვი.

სუპერლიგის ხელმძღვანელობის განცხადება

საკალათბურთო კლუბმა „სოხუმმა" სუპერლიგის მეორე წრის მე-5 ტურში უარი თქვა „ბათუმთან" თამაშზე, რაც გუნდში არსებული რთული ფინანსური ვითარებით ახსნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკალათბურთო სუპერლიგა უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი:

სუპერლიგის ხელმძღვანელობა ბოდიშს უხდის საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს აშუქებს და აღნიშნული მატჩის პირდაპირი ტრანსლაციაც დაგეგმილი ჰქონდა. ასევე ბოდიშს ვუხდით ყველა გულშემატკივარს, რომელიც სპორტის სასახლეში „სოხუმისა" და „ბათუმის" მატჩის სანახავად მოვიდა. სუპერლიგის ხელმძღვანელობა წუხს, კლუბ „სოხუმში" შექმნილი ვითარებით, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დებულებით, რომლის თანახმადაც კლუბს თამაშზე არგასვლის გამო ეთვლება ტექნიკური წაგება (0:20) და ჯარიმდება 3500 ლარით. აღნიშნული დარღვევის გამეორების შემთხვევაში, გუნდს მიეცემა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და დაჯარიმდება 7000 ლარით.

საკალათბურთო სუპერლიგა და ფედერაცია გვერდში უდგას „სოხუმს" ყველა მისთვის მინიჭებული საშუალებით. დღევანდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე გაჟღერდა, რომ ფედერაციამ ფინანსური დახმარება გაუწიოს „სოხუმს". თავს ვალდებულად ვთვლით, განვმარტოთ, რომ ფედერაციას კლუბების ფინანსური დახმარების არანაირი უფლება არ აქვს. ჩვენი მხრივ ვაცხადებთ, რომ საკალათურთო კლუბ „სოხუმს" სუპერლიგისა და სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში სამონაწილეო თანხის სახით საკმაოდ სოლიდური დავალიანება გააჩნია, რომლის დაფარვასაც კლუბს არ ვაჩქარებთ ფინანსური პრობლემების მოგვარებამდე და შესაბამისად, „სოხუმის" არც ერთ ასაკობრივ გუნდს საქართველოს პირველობებზე ასპარეზობისას ორგანიზატორებისგან არანაირი წინააღმდეგობა არ შექმნია. სუპერლიგა დაინტერესებულია, რომ კლუბმა „სოხუმმა" მოაგვაროს ფინანსური პრობლემები და მას ამაში შესაძლებლობის ფარგლებში ყველანაირად დაეხმარება.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები NBA-ში

ექვსიანები

ზაზა ფაჩულიას "მილუოკი ბაქსმა" მორიგი ორი მატჩი ჩაატარა და მის გასწვრივ სატურნირო ცხრილში 50 გაჩნდა, თუმცა ეს რიცხვი უარყოფით კონტექსტში უნდა ვახსენოთ: "ბაქსმა" "ვაშინგტონთან" 107:114 დათმო, რაც მისთვის სეზონის 50-ე წაგება იყო.

ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა, 29 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველ ცენტრს პოლონელი **მარცინ გორტატის** მეურვეობამ მოუწია, რომელმაც 11 ქულა და 6 მოხსნა ჩაიწერა.

ერთი დღით ადრე "მილუოკიმ" კიდევ ერთი უხვქულიანი შეხვედრა ჩაატარა და "ნიუ ორლეანთან" 104:112 დათმო.

ფაჩულიას მონაგარი ასეთი იყო: 30 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი.

ამ შეხვედრის მსვლელობისას მოხდა ინციდენტი, "მილუოკის" სნაიპერმა **ოჯეი მეიომ** მოწინააღმდეგე ცენტრ **გრეგ სტიემსმას** უთავაზა, რასაც მეიოს გაძევება მოჰყვა. ეკრანიდან არ გამოჩნდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ პროვოცირება გრეგმა მოახდინა, რაზეც მილუოკელი იოლად წამოეგო.

"ბაქსი" მომდევნო თამაშს 10 მარტს "ორლანდოს" წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ფაჩულია გორტატს გზას ულობავს

დავიწყოთ ესპანეთი, წინ რუმინეთია

ესპანეთი
17

საქართველო
24

ესპანეთი (15-9) პელეკარი, პოგი, სეპერე, სან (ბაია 58), ბელენგე (ტუდელა 73), მალეუ, რეუ (ფერნოს 61). (1-8) ლაბა, ოსკი (ლოპესი 70), მორენო (პინტო 30), ნონაი (ბარეა 54), რეკუენდო, კუკი, გიბუნი, ნიეიროი (ლეკუონი 49).

2ლ: სემპერე, პელეკარი. 3ც,1კ: პელეკარი.

ინციდენტი პინტო.

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი (ნიკალორა 76), მჭედლიძე, ზობზიაძე (მალალეთაძე 73), მარიძანელი, მაჩხანელი, ხმალაძე, ხუციშვილი (ბეგაძე 62). (1-8) ქვანია (ასკიაშელი 70), ბრეგაძე (მამუკაშვილი 30), ჩილაშვილი (ფერდინანდი 50), ნეშხოლე, მატკავაძე, თხილაიშვილი (სულიაშვილი 62), გორგოძე, ჩხაიძე (მერაშვილი 62).

2ლ: გორგოძე, თხილაიშვილი. 3ც,1კ: კვირიკაშვილი.

ინციდენტი ფეხბურთელი

მსაჯი ნილ ჯენკინი (უელსი)

„ბავშვა აბა რა სასიხარულოა, მაგრამ მოუსვენებად ამისა, მაინც კმაყოფილი ვარ, ვინაიდან მის ზანი მოლხენილია. ერთა თასზე ადგილი შევინარჩუნეთ. წლევანდელი სეზონის დანყების წინ ეს ძნელად მისაღწევი ჩანდა. საქართველოს ნაკრები აშშ-ეულიბრებაში გველაზე ძლიერ გუნდია, თუმცა დღეს ჩვენ უფრო კონცენტრირებულნი ვიყავით.

ამ თამაშმა გვიჩვენა, რომ ესპანური რაგბის დიდი პოტენციალი გააჩნია. ჩვენ შევგიძლია ტალ-სწორედ ვეპასუხოთ ისეთი ლლერ გუნდებს, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებები რომ არიან. " - თქვა მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო სანტოსმა.**

ამას ამბობს ნაკრების მწვრთნელი, რომელსაც ბოლო ნლებში 61:18, 60:0 და 55:11 მოუგეთ. თუმცა, ეს მისი პრალი არ არის. გამარჯვების მიუხედავად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა გუნდმა ნლეულს ყველაზე სუსტი თამაში ჩვენა. არადა, პირველი ტაიმის 34-ე წუთამდე მატჩს ისეთი არაფერი ეტყობოდა, რომ წინ გაჭრილი მასპინძლების დაწეგა დაგვჭირდებოდა.

ამ დრომდე ესპანელებმა მხოლოდ ორჯერ სცადეს, მაგრამ ჩვენი გუნდის 22-მეტრიან ზონაში ერთხელაც ვერ შეძლეს შეღწევა. დასანყისში მატჩის მიმდინარეობა ლისაბონში, პორტუგალიელებთან გამართული შეხვედრის იდენტური იყო. ისევე როგორც „ლობუშებთან" დაპირისპირების თავიდან 9:0 დაენაურდით. განსხვავება ის იყო, რომ **მერაბ კვირიკაშვილმა** სამი საჯარიმოს ნაცვლად ერთი არცხი და ორი საჯარიმო გაიგანა. კიდევ ერთის გაგანაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან მისმა ბაში უმტყუნა. პირველი ტაიმის დასკვნით 6 წუთში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ესპანელებმა თითქოს არაფერი ხდებოდა. მასპინძლები მთელი შემართებით იბრძოდნენ. დაცვაში მაქსიმალურად ყურადღებით გარეკის ცდილობდნენ. პირველ ორ შეურინებაში ჩვენს პირველხაზელებს თამაშის ნესიც დაარღვევინეს. ჩანდა, რომ „ბორჯღალოსნები" ამ კომპონენტში ესპანელებს ილლად ვერ დარაგრავდნენ. მერე, დროთა განმავლობაში ჩვენმა მეურინებამ სტატიკა დაალაგა და „ლომების" უპირატესობა გაანარწყვა.

ჩვენი გუნდი ნელ-ნელა, მეთოდურად, აკადემიურ სტილში ცდილობდა მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევას. ცხრაკუთხანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა" უკვე ლელოს გატანაზე ზრუნვა დაინყეს. რამდენჯერმე ახლოს იყენენ კიდეც მიზანთან, მაგრამ უმედგეროდ. ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქის ლელოში შეეაღნენ ეთ კიდეც, მაგრამ არბიტრმა ბურთის წინ დავარდნა დააფიქსირა.

ტაიმის 34-ე წუთზე საქართველოს ნაკრების პირველხაზელებმა მარცხენა ფრთიდან შეუტიეს, მერე იერიში მაჯუნიე განეიიარდა, იქ მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** უკანახაზელთა იერიშში ჩართვა სცადა, მაგრამ ზედ მოედინა ცენტრის ხაზთან ესპანელთა შუამრამ **ხესარ სემპერემ** გადაცემა ჩაუჭირა და ჩვენს ლელოძე 50 მეტრი ირნინა. ფულბეკმა **მატიო პელუკონმა** იოლად გარდასახა - 7:9.

ცხადია, ეს კატასტროფა არ იყო, მაგრამ მოელენების ასეთმა მოელინელემა განეიიარებამ ჩვენი გუნდი ოფანგ დაახნია, არია და ტაიმის დასრულებას ერთი წუთი აკლდა, როცა მეორე ლელო მიეილეთ. იმჭამზე მოსული ესპანელები კიდევ უფრო აგრესიულად თამამდნენ. ჩვენი მოედნის 22-მეტრიან ზონასთან დერეფანი სუფთად მოიგეს, ბურთი მგეზავ **ჩარლი მალიქს** გაუტანეს, რომელმაც ფეხით მარჯვენე კიდეს გადაკიდა. იქ საქართველოს ნაკრების მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით მასპინძელთა ფულბეკმა **მაթიო პელუკონმა** ისარგებლა და დაგვალეწია. გარდასახვაც თვითონ გაიტანა - 14:9. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრებმა თამაში ბეერად უფრო აქტიურად და მეტი შემართებით დაიწყო. თუმცა, ანგარიშის გათანაბრება 52-ე წუთზე შეძლო. იერიში მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში ორიგინალურად გათამაშებული დერეფნით დაინყო. შეცვლილმა შესულმა შერკინების კვაქმა **ზალვა მამუკაშვილმა** ბურთი მესამეხაზელ **გიორგი ჩხაიძეს** აგდების გარეშე მიანოდა. ამან მეტოქის დაბნევით ისარგებლა და გარღვევაზე **მამუკა გორგოძე** გაიყვანა. „ბორჯღალოსნების" ლიდერი ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს. ამას შეუსინქნეთ, ათთჯერიანი შეტევა მოაშვა. მარცხენა ფრთიდან „ბორჯღალოსნებმა" ნელ-ნელა მარჯვნივ გადაინაცვლეს. მერე ფაზაზე მეტოქის ხაზი გორგოძემ გაჭრა და ხუთმეტრიან ზონამდე მიაღწია. მერე ცხრა ნომრამა **ვაჟა ხუციშვილმა** კიდევ უფრო მარჯვნივ, შუამარე **მერაბ მარიქაძეს** გაატანა, რომელმაც კიდევ უფრო გაარშეულა მასპინძლების მდგომარეობა. ხუციშვილმა წარმოქმნილ რაკიდან სწრაფად გამოატანა ბურთი და ისევ გორგოძე მოძებნა, რომლის შეჩერება ესპანელებმა ვეღარ შეძლეს. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 14:14.

„ბორჯღალოსნებმა" ბეჭმს უმაღეს და ხუთ წუთში უკვე ანგარიში დანინაურება შეძლეს. ჩვენი მორკინალები მოედნის ცენტრში დიდი ძალისხმევის ხარჯზე მეტოქეს ვერსროვებდნენ და მათ დაცვის ხაზში არეულობა შეპქონდათ. სწორედ ამით ისარგებლა **ზალვა მამუკაშვილმა** მეგზავმა **ლაშა ხმალაძემ,** რომელმაც დროულად შენიშნა დაუცველი სივრცე და დიდი სისწრაფით სამ ესპანელს აუარა გვერდი. თუმცა, მასპინძლებმა მისი შეჩერება ლელოდან ორ მეტრში მაინც შეძლეს, რაკში თამაშისას ბურთი უკან გამოვარდა, რომელიც იქვე მიმყოლმა მესამეხაზელმა **გიორგი თხილაიშვილმა** აიტაცა და ლელობი გადადო. კვირკაშვილმა ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 21:14.

თამაშის დასრულებამდე ოც წუთზე მეტი რჩებოდა. ეს საკმარისი დროა საიმისოდ, რათა მეტოქეს კიდევ ორი ლელი გაუტანო და პრემიალური ქულა მიიითვალო. თუმცა, „ბორჯღალოსნებმა" ეს ვერ მოახერხეს. მატჩის დასრულებადე დარჩენილ დროში გუნდებმა თითო საჯარიმო გაიცვალეს და საქართველოს ნაკრებმა 24:17 გაიმარჯვა.

ესპანელებმა შეიდი ქულით მარცხის გამო პრემიალური ქულა აიღეს. შედეგად 11 ქულა დაუგროვდათ და ერთა თასის გათამაშებებიდან გავარენა აღარ ემუქრებათ. საქართველოს ნაკრებმა კი, რომელიც გათამაშებას მუდმივად ლიდრობდა, პირველი ადგილი რუმინელებს დაუთმო, რომლებიც ახლა ერთი ქულით გვისხრებენ.

„ესპანეთის ნაკრებმა წლეულს საუკეთესო შეხედრეი გამართა და ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან „ლომებს" საუკეთესო თამაშის ჩვენება სწორედ საქართველოს ნაკრებთან მატჩისას სურდათ. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენმა გუნდმა საუკეთესო მხრით წარმოაჩინა თავი, მაგრამ დავიმახსოვრებ საკმარისად ბევრი იყო.

ახლა ნაკრები რუმინეთთან მატჩისთვის მზადებას დაინყებს. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეხვედრაა და უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ" - თქვა ნამატჩეს **მილტონ პეიგმა.**

■ ■ ■

ბოლოსწინა ტურში რუსეთის ნაკრებმა სოჭში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 34:18 მოუგო. მასპინძლებმა „ლობუშებს" ხუთი ლელო გაუტანეს. ბქედან ერთი **ვალერი ცნობილაძის** ანგარიშზეა. ამ გამარჯვებით რუსებმა მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში მესამე ადგილი გაიკავეს და რაგბეშოში თამაშის უფლება მოიპოვეს.

რუმინელებმა კი ტრიშოოარაში აუტსაიდერი ბელგიის ნაკრები მიიღეს და 29:10 სძლიეს. „ბავი ეშმაკები" ამ მატჩის შემდეგ ბოლო ტურში უმასწოდ არიან. მათ მომავალ სეზონში ერთა თასზე თამაში აღარ მოუწევთ.

IX ბურთი

რუმინეთი–ბელგია 29:10

რუმინეთი 15. დორინ მანოლე, 14. მადალინ ლემნარუ, 13. ჩაბა გაელი, 12. ფლორინ ვლაკუ, 11. ირინუც დუმიტრუ, 10. ვალენტინ კალაფეტენუ, 9. ფლორინ სურუკუ. 1. მიხაიცა ლაზარი, 2. ეუგენ კაპაკანა, 3. პაულიკა ილი, 4. მარიუს სირბუ, 5. ვალენტინ პოპარლანი, 6. ვიორელ ლუკაში, 7. ვლად ნისტორი, 8. სტელიან ბურჩეა.

16. ალექსანდრუ ოანჩეა, 17. კონსტანტინ პრისტაიტა, 18. პორიცია პეტრეა, 19. ცრისტიან ფუნტეანუ, 20. ალექსანდრუ მატუ, 21. კატალინ ფურტუ, 22. ფლორინ ფილიკა, 23. ცრისტიან დინსი.

შეტევაშია მამუკა გორგოძე

X ბურთი

15 მარტი

სპარტაოსელი-რუმინეთი

ბელგია-რუსეთი

პორტუგალია-ესპანეთი

თამაზ მჭედლიძე მეტოქის ხაზის გაჭრას ცდილობს

ბესიკ ჯანგავაძე

ერთა თასი

სპორტსმენთა მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.რუმინეთი	4	4	0	0	+100	19
2.საქართველო	4	4	0	0	+93	18
3.რუსეთი	4	2	0	2	-38	9
4.ესპანეთი	4	1	0	3	-31	6
5.პორტუგალია	4	1	0	3	-52	4
6.ბელგია	4	0	0	4	-72	1

მსოფლიოს თასის შესარჩევი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.რუმინეთი	9	8	0	1	+149	38
2.საქართველო	9	8	0	1	+167	37
3.რუსეთი	9	5	0	4	-44	23
4.პორტუგალია	9	2	1	6	-73	11
5.ესპანეთი	9	1	2	6	-88	11
6.ბელგია	9	0	1	8	-111	6

X ბურთი

15 მარტი

სპარტაოსელი-რუმინეთი

ბელგია-რუსეთი

პორტუგალია-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

ლიდერებს მიუახლოვდა

ბაადურ ჯობავა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ერევანში დღეს განახლდება მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. შაბათს მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. **ბაადურ ჯობავამ** შავი ფიგურებით დანიილ დუბოვს (რუსეთი) აჯობა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა, თუმცა ერთპიროვნულ ლიდერ ალექსანდრ მოტილევს (რუსეთი) ქულით, ხოლო რადოსლავ ვოიტაშეკს (პოლონეთი), ჰრანტ მელქუმიანს (სომხეთი) და ვიქტორ ლაზნიჩკას (ჩეხეთი) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.

მე-6 ტურში დანარჩენ ქართველთა პარტიები ასე დასრულდა: დავიდ ნავარა (ჩეხეთი)-**ნანა ძაგნიძე** 1:0, **ლუკა პაიჭაძე**-მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი) 0.5:0.5, ბართოშ სოჩკო (პოლონეთი)-**გაიოზ ნიგალიძე** 0:1, მარიო შაჩინგერი (ავსტრია)-**ლევან ფანცულაია** 0.5:0.5, **გიორგი ბალათუროვი**-ვიტალი გოლოდი (ისრაელი) 0.5:0.5, დავორინ კულჯასევიჩი (ხორვატია)-**მერი არაბიძე** 0.5:0.5, ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი)-**ალექსანდრე ყაშაშვილი** 0:1, **ივერი ჭილაძე**-ვალერი ნევეროვი (უკრაინა) 0.5:0.5, **ირაკლი ბერაძე-გიგა ყუფარაძე** 0:1, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-რობერტ ალგასარიანი (სომხეთი0 0:1, **სალომე მელია**-ნოგარ ტოროსიანი (სომხეთი) 1:0, ტიგრან არუთინიანი (სომხეთი)-**გიორგი სიბაშვილი** 1:0, **ნიკა ლვამბერია**-დავიდ შაჰინიანი (სომხეთი) 0.5:0.5, **ნოე თუთისანი**-ჰოვანეს აკობიანი (სომხეთი) 1:0, **ნატო იმნაძე**-ირმა ბეჟაშვილი (ისრაელი) 1:0.

ექვსი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი: ჯობავა-4.5, ნიგალიძე-4, პაიჭაძე, ყაშაშვილი, მელია, ყუფარაძე-3.5-3.5, ბალათუროვი, ძაგნიძე, არაბიძე, ჭილლაძე, ფანცულაია-3-3, ბერაძე, მორჩიაშვილი, ლვამბერია - 2.5-2.5, სიბაშვილი, თუთისანი, იმნაძე - 2-2 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ჯობავა პაველ ტრეგუბოვს (რუსეთი) ეთამაშება.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

ქარიშხალა და პეგასი ლიდერობენ

გასულ უქმეებზე სასპორტო კომპლექს „არენაში" დასრულდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის საგაზაფხულო ეტაპის პირველი რაუნდი. ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის „იმედმა" „თელავი" დაამარცხა - 39:30, ხოლო „პეგასმა" იოლად სძლია „სამტრედიას" - 40:24. 4-4 მოგებით „ქარიშხალა" და „პეგასი" დაწინაურდნენ. სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „ქარიშხალა"- 8 (+52), „პეგასი"- 8 (+39), „იმედი"-6 (+18), „გორი"- 4 (+20), „ზუგდიდი"- 4 (-12), „ფოთი"- 4 (-15), „მამული"- 4 (-16), „სამტრედია"- 2 (-20), „თელავი"- 0 (-25), „ყვარელი"- 0 (-41). რვავე გუნდი 24-18 მარტს თბილისში შეიკრიბება და ერთწრიან ტურნირს დაასრულებს, რის შემდეგაც გაირკვევა ექვსი უძლიერესი, რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებენ, ოღონდ პაექრობებს 0 ქულიდან დაიწყებენ. ფინალური ეტაპი 5-9 მაისს არის ნავარაუდები.

ვაჟა დანელია

დასავლეთი სენაკში იწყებს

დღეს სენაკის სპორტის სასახლის დარბაზში განახლდება საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში დასავლეთის ოთხეული („ბათუმი", „სამტრედია", „ქუთაისი" და 1998-1999 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები) ჩაებმება. უკვე განვლილია ასპარეზობის ნახევარზე მეტი. სენაკის ტურის დასრულების შემდეგ პაექრობებში ჩაერთვება აღმოსავლეთის ოთხეული - სტუ, „პეგასი", „იმედი", „თელავი" და ამით მეორე წრე დამთავრდება, საქართველოს ჩემპიონი კი მაისში სამწრიანი ტურნირის შემდეგ გამოვლინდება.

საგულისხმოა, რომ სენაკში იმყოფება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯორჯე რაშიჩი,** რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის კანდიდატებს შეარჩევს და მათთან ჩემპიონატის მატჩებს შორის შუალედში საწვრთნელ სესიებსაც გამართავს. სერბი სპეციალისტი ყველა ასაკობრივი ნაკრების მზადებაში მონაწილეობს. უახლესი ტურნირი კი ჩვენს ოცწლამდელებს აპრილის დასაწყისში აქვთ ესპანეთში. ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირში ისინი მასპინძლების, ნორვეგიისა და ჩერნოგორიის გუნდებს დაუპირისპირდებიან. ფინალურ ტურნირზე 2 გუნდი გადის.

საქართველოს ჩემპიონატი. დასავლეთის ოთხეულის მე-2 წრის კალენდარი:

10 მარტი. სამტრედია - ბათუმი, ჭაბუკთა ნაკრები - ქუთაისი.

11 მარტი. ბათუმი - ჭაბუკთა ნაკრები, ქუთაისი - სამტრედია.

12 მარტი. ქუთაისი - ბათუმი, ჭაბუკთა ნაკრები - სამტრედია.

სატურნირო მდგომარეობა ეროვნული ჩემპიონატის მე-2 წრის წინ:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სტუ	11	11	0	0	383-254	22
ბათუმი	11	9	0	2	457-344	18
სამტრედია	11	6	0	5	404-387	12
იმედი	11	6	0	5	335-364	12
პეგასი	11	4	2	5	357-380	10
თელავი	11	2	1	8	289-329	5
ქუთაისი	11	2	1	8	311-411	5
ჭაბუკები	11	1	2	8	305-372	4

ვაჟა დანელია

ფორმულა 1

შეიძლება ვერ გამოვიდეს

ექიმებმა შუმახერის მეუღლე მოვლენათა ყველაზე უარესი განვითარების შესახებ გააფრთხილეს

ძალიან ცუდი ამბები ვრცელდება ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** შესახებ. ბრიტანულმა გაზეთმა „ტელეგრაფმა" დაწერა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს კომიდან გამოსვლის შანსი თითქმის აღარ აქვს. წყაროს ცნობით, შუმახერის მეუღლე და ძმა უკვე გააფრთხილეს მოვლენათა ყველაზე უარესი განვითარების შესახებ.

„ოჯახს უკვე გამოუცხადეს, რომ მიხაელს მხოლოდ სასწაული თუ დააბრუნებს. ის ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ არაფრის გამოქვეყნება არ შეგვიძლია, სანამ ოჯახი ოფიციალურ განცხადებას ამზადებს", - აღნიშნა ჟურნალისტმა.

ამასთან, თუ 45 წლის მიხაელი კომიდან მაინც გამოვა, ის ინვალიდობის უმძიმესი ფორმით გააგრძელებს ცხოვრებას.

■ ■ ■

არადა, ერთი დღით ადრე, სულ სხვა განწყობა იყო შუმახერის თაყვანისმცემელთა რიგებში. იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი" წერდა, რომ შუმახერი უკვე დამოუკიდებლად, რესპირატორის გარეშე სუნთქავს და მისი მკურნალი ექიმების აზრით, შეუძლია ახლობელი ადამიანების ხმების აღქმა. ისიც დაწერეს, რომ გრენობლში შუმი მოინახულეს **როს ბრაუნმა** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან ტოდტმა**. ისინი მიხაელთან ინგლისურად ლაპარაკს ცდილობდნენ.

„იმედი არის", - ამბობს „გაძეტა დელო სპორტში" სტატიის ავტორი და მას ბრაუნისა და ტოდტის კლინიკაში ვიზიტის დეტალები მოჰყავს. მაგალითად, ბრაუნმა პალატაში ჩართო რბოლების დროს შუმახერსა და გუნდს შორის საუბრის ჩანაწერები. ექიმების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მიხაელმა ნაცნობი ხმების საშუალებით აღიდგინოს ძველი ცხოვრების სურათები.

იმავე „გაძეტას" ინფორმაციით, ამ დღეებში მიხაელ შუმახერის აგენტი **საბინა კემი** ჟენევის ავტოშოუზე გამოჩნდა „ფერარის" პრეზიდენტ **ლუკა დე მონტეძემოლოსთან** ერთად, თუმცა თითქმის არ ჰქონია პრესასთან ურთიერთობა. მან მხოლოდ ის დაადასტურა, რომ მიხაელის მდგომარეობა სერიოზულია და რთულია რაიმეს პროგნოზირება, თუმცა მის სიცოცხლეს კვლავაც საფრთხე ემუქრება.

გია თვალაბეიშვილი



კრივი

მექსიკური დერბი ლას ვეგასში

გასულ უქმეებზე, საკრივო სამყაროში მხოლოდ ერთი გამორჩეული ბრძოლა იყო. ლას ვეგასის MGM Grand-ში 12-რაუნდიანი სარეიტინგო ბრძოლა გაიმართა მექსიკელ **საულ ალვარესსა** (43-1-1, 30KO) და მის თანამემამულე **ალფრედო ანგულოს** (22-4, 18KO) შორის.

ალვარესი უტევს

ალვარესმა პირველივე რაუნდებიდან მოიპოვა უპირატესობა და გაცილებით კარგად გამოიყურებოდა რინგზე. ის გაუთავებლად აწუხებდა მეტოქეს სწრაფი და ძლიერი კომბინაციებით. ერთხელ, მერვე რაუნდში ალვარესი ბაგირთან დადგა და იქიდან პასუხობდა ანგულოს ულიმლამო იერიშებს.

ალფრედო ბევრ შეტევას ატარებდა და ამის მიუხედავად, აგრძელებდა იერიშებში წასვლას, მაგრამ მეათე რაუნდში, ალვარესის მძიმე აპერკოტის შემდეგ, რეფერიმ ბრძოლის შეჩერება გადაწყვიტა. არადა, ანგულოს სულაც არ ეტყობოდა ნოკდაუნის ნიშნები და აქტიურად აპროტესტებდა ამ გადაწყვეტილებას. ბრძოლის შემდეგ ინტერვიუს დროს, პუბლიკამ ალვარესს უსტვინა, თუმცა, საერთო ჯამში, მან საკმაოდ ხარისხიანი კრივი აჩვენა.

გია თვალაბეიშვილი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

კაროლინა-რეინჯერსი 2:4

1:0, 0:0, 1:4

გოლები: 1:0 ჯ. სტაალი-12 (სიომინი-17, ჰეინსი-10), 1:1 მაკდონაჰი-11 (რიკ ნეში-11), 2:1 სკინერი-24 (ბულიტი), 2:2 რიკ ნეში-20 (სტეპანი-31, მური-9), 2:3 სტეპანი-11 (სან ლუი-33, ბ. რიჩარდსი-29), 2:4 პაგელინი-13 (ცუკარელო-29, ჟირარდი-14).

დეტროიტი-ნიუ ჯერსი 7:4

1:0, 4:3, 2:1

გოლები: 1:0 ბ. სმიტი-3 (ფრანცენი-18, ნიკვისტი-14), 2:0 ფრანცენი-14 (ნიკვისტი-15, ლეგუანდი-31), 2:1 ელიაში-14, 2:2 იაგრი-20 (ჟიდლიცკი-23), 2:3 ენრიკე-20 (ფეინი-5, ენდი გრინი-20), 3:3 ფრანცენი-15 (ბერტუცი-6, ნიკვისტი-16), 4:3 ნიკვისტი-16 (ლეგუანდი-32, ჯ. ერიქსონი-10), 5:3 ქუინსი-4 (მიპენი-10, დეკეისერი-13), 6:3 ლეგუანდი-11 (ფრანცენი-19), 7:3 დ. მილერი-7 (ბერტუცი-7, ჟ. ანდერსონი-8), 7:4 ენრიკე-21 (რაიდერი-13, ქლოუ-13).

ფლორიდა-ბაფალო 2:0

1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ვინჩესტერი-9 (აპშოლი-20, გომესი-8), 2:0 კულიკოვი-7 (ბოიესი-12, ბოუგსტადი-13).

კალგარი-აილენდერსი 4:3

1:1, 0:2, 3:0

გოლები: 1:0 მარკუს გრანლუნდი-2 (ბირონი-10, ორტიო-1), 1:1 კ. მაკდონალდი-6 (სტროუმი-6, ჰიკი-14), 1:2 ოკპოსო-26 (გრაბნერი-13), 1:3 ნელსონი-11 (ბეილი-19, დონოვანი-7), 2:3 კოლბორნი-6 (ჯორდანი-23, კამალერი-9), 3:3 მონეჰანი-19 (გალიარდი-12, ბუმა-7), 4:3 კოლბორნი-7 (ჯორდანი-24, ბროდი-17).

ანაჰაიმი-პიტსბურგი 2:3 (ბ)

1:1, 0:0, 1:1, 0:0, 2:3

გოლები: 1:0 პერი-33 (გეტცლაფი-40, ს. კოიუ-16), 1:1 ენგელანდი-6 (ი. ოლკინენი-29, მალკინი-45), 2:1 პერი-34 (გეტცლაფი-41, პალმიერი-15), 2:2 მალკინი-19 (ჯ. ნილი-27, კროსბი-55).

ბულიტები გაიტანეს: კროსბი (პიტსბურგი), პერი (ანაჰაიმი), კუნიტცი (პიტსბურგი), სელიანე (ანაჰაიმი), სატერი (პიტსბურგი).

8 მარტი

ვინიპეგი-ოტავა 3:5

1:2, 1:3, 1:0

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-11 (ჰემსკი-18, სპეცა-32), 1:1 ლიტლი-20 (ბაფლინი-32, ლედი-29), 1:2 კონეუნი-4 (ჰემსკი-19, მ. მიხალეკი-18), 1:3 გრინბა-2 (მ. მიხალეკი-19, სპეცა-33), 2:3 ენსტრომი-7 (ე. კეინი-17), 2:4 ტარისი-21 (ჰოფმანი-1, რაიანი-23), 2:5 ჰოფმანი-1 (სპეცა-34, ჰემსკი-20), 3:5 ბაფლინი-14.

კოლორადო-სტ ლუისი 1:2

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ბეკსი-21 (ოში-34, შატენკირკი-29), 0:2 ბერგლუნდი-12 (ტარასენკო-19, შვარცი-28), 1:2 პარენტო-14 (დუშენი-39, რ. ო'რაილი-27).

ტორონტო-ფილადელფია 4:3 (ო)

2:0, 0:1, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 გარდინერი-6 (ბროდი-6), 2:0 კადრი-17 (ჯ. ლუპული-19, რაილი-19), 2:1 ტიმონენი-3 (ვორაჩეკი-28, ჰარტნელი-25), 2:2 ტიმონენი-4 (ვორაჩეკი-29), 3:2 რეიმონდი-18 (მაკლემანი-5, ბროდი-7), 3:3 ტობურნი-5 (ბ. შენი-20, რაფლი-12), 4:3 ჯ. ლუპული-19 (ფანიფი-19, გუნარსონი-12).

ტამპა ბეი-ბოსტონი 3:4 (ბ)

0:0, 3:2, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 პალატი-15 (ტ. ჯონსონი-21, ბროუერი-10), 2:0 ბარბერიო-5 (პიატი-4, კელეჰანი-15), 2:1 პეი-9 (ვ. კემპბელი-10, ბოიჩაკი-16), 2:2 სოდერბერგი-11 (ეული-7), 3:2 ფილპულა-21 (პალატი-24), 3:3 ბოიჩაკი-3 (სოდერბერგი-24, ლ. ერიქსონი-17).

ბულიტები გაიტანეს: რ. სმიტი (ბოსტონი).

ნიუ ჯერსი-კაროლინა 5:4

1:0, 3:2, 1:2

გოლები: 1:0 ზაიჯაკი-11 (ტ. რუუტუ-12, იაგრი-35), 1:1 სკინერი-25 (სეკერა-28, ე. სტაალი-33), 2:1 ბრუნერი-10 (ჟიდლიცკი-24, ზაიჯაკი-22), 3:1 ენრიკე-22 (ქლოუ-14), 4:1 ენრიკე-23 (ელიაში-28, ენდი გრინი-21), 4:2 ჰარისონი-4 (ჯ. სტაალი-17, სიომინი-18), 4:3 გერბე-13 (ჯ. სტაალი-18), 4:4 სიომინი-17 (მალჰოტრა-6), 5:4 ტ. რუუტუ-6 (ჟიდლიცკი-25, ზაიჯაკი-23).

ვაშინგტონი-ფინიქსი 3:2

0:1, 0:2, 3:0

გოლები: 0:1 მაკმილანი-1 (იენსენი-35, ვერმეტე-17), 0:2 ერბატა-18 (სტოუნი-9, იენსენი-36), 1:2 ელერი-2 (ფერი-13, ბიგლი-4), 2:2 ლეინი-8 (ჩიმერა-21), 3:2 ბროუერი-18 (ბექსტრომი-51, ჯ. კარლსონი-18).

ნეშვილი-კოლამბუსი 0:1

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 ანისიმოვი-19 (ვიშნევსკი-33, ტრიპი-9).

დალასი-მინესოტა 4:3

1:1, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 ჯეიმი ბენი-25 (პევერლი-23, სეგინი-36), 1:1 პოული-3 (მ. კოილი-28), 2:1 ჩაისონი-11 (ბრუნერი-37, გოლიგოსკი-25), 2:2 კოილი-7 (მოულსონი-22, ბროდინი-9), 2:3 ბროძიაკი-6 (ნიდერაიტერი-20), 3:3 სეგუინი-29 (კოული-13, გონჩარი-18), 4:3 კოული-15.

ვანკუვერი-კალგარი 2:1

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 მაკგრატენი-2 (ვონზერსპუნი-1, ჰინოსკი-1), 1:1 არნიბალდი-1 (შრიოდერი-2), 2:1 ჰ. სედინი-3 (ბიები-8, მატიასი-8).

სან ხოსე-მონრეალი 4:0

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ვინგელსი-13 (კუტური-22), 2:0 ჰერტლი-14 (ირვინი-16, ტორესი-2), 3:0 ნიეტო-8 (მარლო-31, კუტური-23), 4:0 კუტური-18 (ნიეტო-10).

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ინდიანა გზას ასცდა

რამდენიმე კვირის წინ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „ინდიანამ" საბოლოოდ მოირგო NBA-ის სატურნირო ცხრილის ლიდერის როლი, ხოლო **ევან ტერნერისა და ენდრიუ ბაინუმის** შეძენას დამატებითი დამაჯერებლობა უნდა მოეტანა გუნდისთვის. მაგრამ გასულ სამშაბათს, გუნდმა საკუთარ მოედანზე წააგო „გოლდენ სტეიტთან", ერთი დღის შემდეგ, სტუმრად დამარცხდა „შარლოტთან", ორი დღის წინ კი ეს სერია „ჰიუსტონთან" მატჩში გაგრძელდა, რაც **ფრენკ ფოგელის** შეგირდების კრიზისზე მიუთითებს.

პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ, „პეისერსის" მექანიზმში რაღაც მოიშალა. მთელი მესამე მეოთხედის განმავლობაში, სტუმრებმა მხოლოდ 16 ქულა დააგროვეს - იმდენი, რამდენიც დროის ამ მონაკვეთში „როკეტსის" მცველმა **ჯეიმს ჰარდენმა** მიითვალა. მისმა თანაგუნდელებმა ამას კიდევ 22 ქულა დაუმატეს და ბოლო მეოთხედის წინ, „ინდიანას" ჩამორჩენა 29 ქულას უდრიდა.

„პეისერსმა" სეზონში პირველად წააგო ზედიზედ სამი მატჩი. ჯერჯერობით უცნობია ამ წარუმატებლობის მიზეზი. შესაძლოა, ეს იყოს კონცენტრაციის დაკარგვა, მცირე ძალების დახარჯვით გამარჯვების მოპოვების სურვილი ან პრობლემები გუნდის შიგნით. ბევრ კითხვას გასცემს პასუხს დღევანდელი მატჩი „ინდიანასა" და „დალასს" შორის.

7 მარტი

შარლოტი-კლივლენდი 101:92
32:25, 23:25, 21:24, 25:18
შ: ჯეფერსონი (28), უოკერი (20+14 პასი), დაგლას-რობერტსი (14+9 მოხსნა), მაკრობერტსი (11), ნილი (10).
კ: დენგი (19), უეიტერსი (19), ჰოილსი (13), ირვინგი (13), ტომპსონი (10), ჯეკი (10).

ჩიკაგო-მემფისი 77:85
12:15, 27:20, 24:30, 14:20
ჩ: გიბსონი (18), ნოა (15), ოგასტინი (14).
მ: გასოლი (18+10 მოხსნა), მილერი (14), კონლი (12), კუფოსი (12), რენდოლფი (10+11 მოხსნა).

ტორონტო-საკრამენტო 99:87
29:19, 22:25, 29:19, 19:24
ტ: როსი (18), დეროზანი (15), პატერსონი (15), ვალანჩუნასი (14), ლოური (12).
ს: კაზინსი (24), გეი (15), ტომასი (14), მაკლემორი (14), რ. ევანსი (8+10 მოხსნა).

ბოსტონი-ბრუკლინი 91:84
26:20, 27:21, 25:29, 13:14
ბოს: რონდო (20+9 პასი+4 ჩაჭრა), გრინი (15), ბეილესი (14), ოლინიკი (13), სალინჯერი (5+12 მოხსნა)
ბრუკ: ჯონსონი (21), უილიამსი (20), ბლეტჩი (11), პლამლი (10), პირსი (10).

ნიუ იორკი-იუტა 108:81
39:22, 21:19, 24:19, 24:21
ნ-ი: ენტონი (29+8 პასი), სმიტი (17), ჩენდლერი (16+11 მოხსნა), სტაუდმაიერი (10).
ი: ჰეივორდი (18), ბერკსი (18), რ. ჯეფერსონი (12).

მინესოტა-დეტროიტი 114:101
39:21, 27:24, 31:24, 17:32
მ: ლავი (28+14 მოხსნა), მარტინი (24), პეკოვიჩი (17+9 მოხსნა), რუბიო (11+9 პასი).
დ: მონრო (20+15 მოხსნა), ჯენინგსი (17), ბაინუმი (17), სმიტი (13), ქერებკო (10).

ნ. ორლეანი-მილუოკი 112:104
22:25, 29:24, 27:28, 34:27
ნ-ო: დევისი (29+14 მოხსნა), ტ. ევანსი (25), მოროუ (16), რობერტსი (14), გორდონი (12).
მ: მიდლტონი (25), ედრიენი (20+10 მოხსნა), სეშენსი (16), ნაითი (15), ჰენსონი (12).

დალასი-პორტლენდი 103:98
33:10, 24:28, 18:36, 28:24
დ: ნოვიცკი (22), კალდერონი (19), ელისი (17), მარიონი (12).
პ: ოლდრიჯი (30+17 მოხსნა), მეთიუზი (26), რობინსონი (11+9 მოხსნა), ლილარდი (10).

დენვერი-ლეიკერსი 134:126
42:35, 35:31, 33:25, 24:35
დ: ფარიდი (32+13 მოხსნა), ლოუსონი (30+17 პასი), ჩენდლერი (19), მოზგოვი (13), ფურნიე (13), ფოიე (12).
ლ: გასოლი (27), კელი (24+11 მოხსნა), ფარმარი (24), მიქსი (16), ჰენრი (10), მარშალი (8+14 პასი).

ჰიუსტონი-ინდიანა 112:86
27:16, 23:27, 38:16, 24:27
ჰ: ჰარდენი (28), ჰოვარდი (15), პარსონსი (11), ლინი (11), მოტეიუნასი (10).
ი: უესტი (15+10 მოხსნა), ჯორჯი (13), სკოლა (10).

გ. სტეიტი-ატლანტა 111:97
32:31, 34:21, 19:25, 26:20
გ-ს: ლი (18), ო'ნილი (17), კარი (13), იგუოდალა (13), ბოგუტი (10+9 მოხსნა).
ა: მილსეპი (16), სკოტი (14), ანტიჩი (10).

ჰოვარდი მოგებას ზეიმობს

ნიქსი გაცოცხლდა, სიქსერზი კვდება

„ინდიანასგან" განსხვავებით, გამოცოცხლება შეინიშნება „ნიუ იორკ ნიქსის" თამაშში. ყველას მიერ გაკრიტიკებული ნიუიორკული კლუბი სტუმრად თამაშობდა „კლივლენდის" წინააღმდეგ და 58:50-ს იგებდა პირველი ტაიმის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მესამე მეოთხედში მასპინძლებმა ინიციატივა მოიპოვეს და მეოთხე 12-წუთეულში მინიმალური სხვაობით წინ გასვლაც მოახერხეს. მაგრამ **კარმელო ენტონის, პაბლო პრიჯიონისა და ჯეი არ სმითის** სამქულიანებით (სულ მატჩში სტუმრებმა 31-დან 14 შორეული ტყორცნა გამოიყენეს), „ნიუ იორკმა" სამ მატჩამდე გაზარდა მოგებათა სერია და სატურნირო ცხრილში „კლივლენდს" გაუთანაბრდა. ამ მომენტისთვის, ეს გუნდები აღმოსავლეთში მეათე ადგილს იყოფენ და 5 წაგებით მეტი აქვთ, ვიდრე მერვე პოზიციაზე მყოფ „ატლანტას".

■ ■ ■

„კლივლენდსა" „და „ნიუ იორკს" უფრო დიდი ჩამორჩენა ექნებოდათ „ატლანტასთან", ამ უკანასკნელს გუშინ ბოლომდე რომ მიეყვანა საქმე „კლიპერსთან" გასვლით მატჩში. სტუმრებმა ბოლო მეოთხედში 11-ქულიანი ჩამორჩენა შეამცირეს და საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე გაათანაბრეს ანგარიში. მაგრამ მატჩის დასკვნით ნაწილში უფრო წარმატებულნი **დოკ რივერსის** შეგირდები იყვნენ. გამარჯვების ტყორცნის ავტორი გახდა **კრის პოლი**, ხოლო მატჩის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი დაკარგა **ჯეფ ტიგმა**, რომელმაც ერთი წამით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო ააცილა მიზანს.

„კლიპერსისთვის", რომელიც აგრძელებს დასავლეთის ლიდერების - „ოკლაჰომას", „პორტლენდისა" და „სან ანტონიოს" დევნას, ეს მოგება ზედიზედ მეშვიდე იყო. კლუბის წამყვანმა ფორვარდმა **ბლეიკ გრიფინმა** კი ზედიზედ მე-20 მატჩში დაგროვა მინიმუმ 20 ქულა.

■ ■ ■

ახალი საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა „ფილადელფიამ", რომელმაც „იუტასთან" წააგო (92:104) და საშინაო დამარცხებათა სერია 13 მატჩამდე აიყვანა. სულ კი „სიქსერზი" ზედიზედ მეთექვსმეტედ დამარცხდა, რაც ამ გუნდში 1972-73 წლების სეზონის შემდეგ არ მომხდარა.

ფილადელფიელთა მორიგ სირცხვილს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს „სიქსერზის" ლეგენდარული დირექტორი, 92 წლის **ჰარვი პოლაკი** (სწორედ მისი ხელით არის დაწერილი რიცხვი „100" ფურცლის ნაგლეჯზე, რომლითაც 1962 წლის მარტში ფოტოგრაფების წინაშე პოზირებდა **უილტ ჩემბერლენი** 100 ქულის დაგროვების შემდეგ).

„ფილადელფია" სწრაფი ტემპებით უახლოვდება აღმოსავლეთი კონფერენციის ცხრილის ფსკერს, იმ დროს, როცა „იუტამ" დატოვა დასავლეთში ბოლო ადგილი.

მილუოკი-ვაშინგტონი 107:114
27:36, 26:39, 21:10, 33:29
მ: ნაითი (25), მიდლტონი (15), სეშენსი (14), ილიასოვა (13), ჰენსონი (12), უოლტერსი (10).
ვ: არიზა (28), ბილი (23), უებსტერი (15), გუდენი (13), გორტატი (11), უოლი (9+13 პასი).

ფილადელფია-იუტა 92:104
22:24, 30:26, 18:25, 22:29
ფ: როტენი (30+4 ჩაჭრა), იანგი (18), ანდერსონი (16).
ი: ჰეივორდი (22+8 პასი), ბერკსი (19), ფევორსი (15+14 მოხსნა), კანტერი (13+10 მოხსნა), გარეტი (11).

მემფისი-შარლოტი 111:89
25:21, 27:23, 27:17, 32:28
მ: კონლი (20), რენდოლფი (16), გასოლი (14+9 მოხსნა), კუფოსი (12+10 მოხსნა), ლოური (10).
შ: ჯეფერსონი (17), დაგლას-რობერტსი (15), უოკერი (11), ტოლივერი (10).

სან ანტონიო-ორლანდო 121:112
31:27, 28:34, 29:22, 33:29
ს-ა: პარკერი (30), ჯინობილი (24), ლეონარდი (17), სპლიტერი (14), გრინი (12), დანკანი (11+10 მოხსნა).
ო: ჰარისი (23), ვუჩევიჩი (19+13 მოხსნა), აფლალო (17), ჰარკლესი (12+10 მოხსნა).

8 მარტი

კლივლენდი-ნიუ იორკი 97:107
19:23, 31:35, 26:19, 21:30
კ: ირვინგი (30+8 პასი), ჰოილსი (21+10 მოხსნა), ჯეკი (12), დენგი (10).
ნ-ი: ენტონი (26), სტაუდმაიერი (17+12 მოხსნა), სმიტი (17), ჩენდლერი (15+11 მოხსნა), პრიჯიონი (11).

კლიპერსი-ატლანტა 109:108
25:32, 32:26, 31:20, 21:30
კ: გრიფინი (27), პოლი (19+10 პასი), ბარნსი (17), ჯორდანი (13+12 მოხსნა), კოლისონი (12).
ა: კეროლი (19), კორვერი (17), ანტიჩი (16), მილსეპი (14+5 ჩაჭრა), მეკი (11), სკოტი (10).

კარმელოს გუნდმა მესამე მოიგო

ჟიდრუნას ილგაუსკასი (მარცხნივ)

დაფასებული ლიტველი

„კლივლენდისა" და „ნიუ იორკის" მატჩის შესვენებაზე გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც „კავალიერზის" საშინაო არენის თალზე დაკიდეს ლეგენდარული ლიტველი ცენტრის **ჟიდრუნას ილგაუსკასის** სათამაშო მაისურა. ამიერიდან, ამ კლუბში მე-11 ნომრით ვერავინ ითამაშებს.

საღამოს სტუმარი იყო „მაიამის ჰიტის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელიც სპეციალურად ჩავიდა კლივლენდში ყოფილი თანაგუნდელისთვის მისალოცად. *„ალბათ, ის არის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი კალათბურთელი, ვის გვერდითაც ოდესმე მითამაშია"*, - განაცხადა ლებრონმა.

თავად ლიტველი, როგორც ყოველთვის, მოკრძალებული იყო, დიდი ხანი არ ულაპარაკია და მთავარი მესიჯი კლუბის ყოფილ მფლობელს **გორდონ განდს** გაუგზავნა: *„მადლობა თქვენ, რომ ერთი გამხდარი ლიტველი ბიჭი ბედის ანაბარა არ მიატოვეთ"*.

„კლივლენდმა" ილგაუსკასი 1996 წლის დრაფტზე მე-20 ნომრად აირჩია. მან ლიგაში 13 სეზონი გაატარა და აქედან 12 „კავალიერზის" რიგებში. ლიტველი კლუბის ლიდერია ჩატარებული მატჩების (771), მოხსნებისა (5904) და დაფარებების (1269) რაოდენობით.

მან ორჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" (2003, 2005), აგრეთვე 1998 წელს, დებიუტანტთა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ილგაუსკასმა კარიერა 2011 წელს, „მაიამი ჰიტში" გატარებული ერთი სეზონის შემდეგ დაასრულა. დღეს ის „კავალიერზის" გენერალური მენეჯერის სპეციალური ასისტენტია.

დიდი ფილი ნიქსში?

გამოცემა „ნიუ იორკ დეილი ნიუსი" იტყობინება, რომ „ნიუ იორკ ნიქსი" მოლაპარაკებებს აწარმოებს ლეგენდარულ **ფილ ჯექსონთან** სამწვრთნელო სამუშაოზე დაბრუნებასთან დაკავშირებით.

არ არის გამორიცხული, რომ ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანმა მწვრთნელმა უახლოეს ზაფხულში ჩაიბაროს ნიუიორკული კლუბი, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, კონკრეტული შედეგები კი ამ კვირას გახდება ცნობილი.

აღსანიშნავთ, რომ თავად **ფილ ჯექსონმა** არაერთხელ განაცხადა, რომ არ აპირებს სამწვრთნელო კარიერის განახლებას, მაგრამ მზად არის იმუშაოს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

კალათბურთი

NBA	
ჩიკაგო-მაიამი	95:88 (ო)
ლეიკერსი-ოკლაჰომა	114:110

ადრიატიკის ლიგა	
ოლიმპია-პარტიზანი	66:59
ციბონა-სკოპიე	93:90 (ო)

გერმანია	
ბრემერჰავენი-ბრაუნშვაიგი	89:78
ბაიროიტი-ჰაგენი	90:71
ბონი-ტიუბინგენი	80:63
ბაიერნი-ტრირი	72:60
ბამბერგი-არტლანდი	78:72

ესპანეთი	
კახა ლაბორალი-ხუვენტუდი	100:71
სარაგოსა-გრან კანარია	77:84
ობრადოირო-რეალი	68:83
უნიკახა-გიპუსკოა	81:55
მანრესა-ფუენლაბრადა	84:83

იტალია	
ბრინდიზი-კაზერტა	64:53
ვარეზე-მონტეგრანარო	69:75
რომა-კრემონა	85:80
სკავოლინი-პისტოია	75:74
ვენეცია-ბოლონია	82:74
რეჯო ემილია-მილანი	78:82

თურქეთი	
თურქ ტელეკომი-ფენერბაჰჩე	63:69
ალიაგა-ტრაბზონი	84:92
ეფესი-ანკარა	93:75

ჰოკეი

NHL	
რეინჯერსი-დეტროიტი	3:0

კჰლ	
ბარისი-ავტომობილისტი	5:4 (ო)
მეტალურგი (მ)-ადმირალი	5:3
ს. იულაევი-ტორპედო	0:1
აკ ბარსი-სიბირი	3:2 (ო)

ავსტრია	
ალბა-ბოლცანო	2:4
ლინცი-ზნოიმო	6:5 (ო)
ფილახი-ვენა	5:2
დორნბირნი-ზალცბურგი	5:4

გერმანია	
მიუნხენი-იზერლონი	5:3

დანია	
ჰერლევი-ჰერნინგი	0:5
ესბერგი-სონდერიისკი	1:4
როდოვრე-ოლბორგი	3:2 (ო)
ოდენსე-ფრედრიკშავენი	1:3

ნორვეგია	
ლორენსკოგი-ლილეჰამერი	3:4 (ო)
რუსენბორგი-სტავანგერი	2:4
სტორჰამარი-სპარტა	3:1
ფრისკ ასკერი-ვოლერენგა	2:6

სლოვაკეთი	
კოშიცე-მარტინი	3:2
ნიტრა-ზვოლენი	5:0

ჩოგბურთი

ATP. ინდიან უელსი	
ბერდიხი-ბაუტისტა აგუტი	6:4, 2:6, 4:6
ჩილიჩი-ლორენცი	6:2, 6:2
დოდიგი-გონსალესი	4:6, 6:2, 6:7
ბოსპიშილი-კუკუშკინი	0:6, 2:6
ისნერი-დავიდენკო	7:6, 6:3

WTA. ინდიან უელსი	
ჰალეპი-საფაროვა	6:2, 4:6, 6:4
სუარეს ნავარო-კორნე	7:6, 5:7, 3:6

● ჩოგბურთი. ტურნირები



რაფაელ ნადალი

რაფამ მძიმედ დაიწყო

ინდიან უელსის მასტერსზე მეორე წრე დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლაში ჩაებნენ განთესილი ჩოგბურთელები. გუშინ, რამდენიმე ფავორიტი ვიხილეთ კორტზე.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი და მოქმედი ჩემპიონი **რაფაელ ნადალი** ჩეხ **რადეკ შტეპანეკს** ხვდებოდა და პირველ სეტში საკუთარ თავს არ ჰგავდა. ვეტერანმა თავიდანვე ბრეიკი გააკეთა, შემდეგ აქცენტი საკუთარი მოწოდებების შენარჩუნებაზე გააკეთა, ბოლოს კი ნადალის ორი ორმაგის წყალობით მეორე ბრეიკის შესრულება შეძლო.

ამის შემდეგ, ნადალმა თანდათან მოუმატა თამაშს და პირველი ბრეიკი მეორე სეტის შუაში აილო. ჩეხი კვლავ აქტიურად თამაშობდა და კარგადაც ანვდიდა, მაგრამ ესპანელის დაწევა ველარ შეძლო. როცა ნადალმა მესამე სეტში ბრეიკით წაიყვანა ანგარიში, ყველას ეგონა, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შტეპანეკმა ბრძოლა გააგრძელა, დაიბრუნა დაკარგული მოწოდება და 3:2-ზე სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა. მესამე ბრეიკ-პოინტზე ტაქტიკური ბრძოლა გაიმართა - რადეკმა რამდენჯერმე უჩვენა მეტოქეს, თითქოს ბადესთან გასვლას აპირებდა და ბოლოს მაინც გააკეთა ეს, მაგრამ ესპანელმა კარგი შემოვლითი დარტყმით გადაარჩინა საკუთარი მოწოდება. მესამე სეტის ბოლოს ლამაზი ჩოგბურთი მიდიოდა, შანსი ორივე ჰქონდა, მაგრამ ნადალმა კვლავ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე და 2 საათსა და 24 წუთში გამოსტაცა მოგება შტეპანეკს - 2:6, 6:4, 7:5.

მესამე რაუნდში რაფას მეტოქე იქნება ალმავლობის გზაზე მყოფი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**. უკრაინელმა, რომელმაც წელს რეიტინგში 26 საფეხური მოიგო, მეორე რაუნდში ამერიკელი **ტიმ შმიჩეკი** დაამარცხა ორ სეტში.

■ ■ ■

დუბაის ტურნირის მოგების შემდეგ, საკუთარი საბრძოლო ფორმა დაადასტურა **როჯერ ფედერერმა**, რომელმაც ორ სეტში აჯობა ფრანგ **პოლ-ანრი მატიოს** - 6:2, 7:6(5). ლეგენდას უფრო იოლად გამარჯვებაც შეეძლო - 6:2, 5:3-ს იგებდა, მაგრამ მატიომ გაბრძოლება გადაწყვიტა, ზედიზედ სამი გეიმი აილო და ორი გათამაშება აშორებდა სეტის მოგებასთან. და მაინც, ფედერერის კლასმა თავისი გაიტანა და ახლა, შვეიცარიელის შემდეგი მეტოქე რუსი **დმიტრი ტურსუნოვი** იქნება. ამ უკანასკნელმა არგენტინელ ხუან მონაკოსთან მატჩში 12-დან 10 ბრეიკ-პოინტი მოიგერია და 7:6(4), 6:4 მოიგო. ტურსუნოვი ფედერერთან ურთიერთშეხვედრებში 0:3-ს აგებს.

■ ■ ■

ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ, პირველად ვიხილეთ კორტზე **სტანისლას ვავრინკა**. მსოფლიოს მესამე ჩოგანს მხოლოდ 63 წუთი დასჭირდა გიგანტი ხორვატის **ივო კარლოვიჩის** დასამარცხებლად - 6:3, 7:5.

შვეიცარიელმა არც ერთი ბრეიკ-პოინტის შანსი არ მისცა კარლოვიჩს და ეისების რაოდენობითაც მხოლოდ 8:9 წააგო მეტოქესთან. ახლა, ვავრინკას მიმდინარე სეზონში 12-დან 12 მატჩი აქვს მოგებული და მესამე წრეში ამ სერიის გაგრძელებას იტალიელ **ანდრეას სეპისთან** ეცდება. აპენინელმა სამსეტიანი ბრძოლა გადაიტანა ამერიკელ **სემ კუერისთან** და ორი მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია.

რთული მატჩი ჰქონდა ბრიტანელ **ენდი მარეის**, რომელიც ჩეხ **ლუკაშ როსოლს** ხვდებოდა. ენდიმ ინდიან უელსში ზედიზედ მეოთხედ წააგო სასტარტო მატჩის სასტარტო სეტი. 2011 და 2012 წლებში, ის პირველივე შეხვედრის შემდეგ ასრულებდა ტურნირს, შარშან კი მეოთხედფინალამდე მიაღწია. ამჯერად, მას თავად ლუკაში დაეხმარა, რომელმაც 51 უნებლიე შეცდომა დაუშვა - 4:6, 6:3, 6:2. აღსანიშნავია, რომ ბრიტანელისთვის ეს იყო ჰარდის კორტებზე მე-300 გამარჯვება.

სხვა მატჩებიდან უნდა აღვნიშნოთ **კევინ ანდერსონისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** დაპირისპირება. მოგების შემთხვევაში, ვეტერანი ავსტრალიელი კარიერაში მე-600 გამარჯვებას იზეიმებდა, მაგრამ იუბილე გადაიდო, რადგან ანდერსონმა ორ სეტში მოიგო - 7:6(5), 6:4. არადა, ჰიუიტმა ბოლომდე იბრძოლა, 4:5-ზე ხუთი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ ბოლოს მაინც დანებებამ მოუწია.

შეგახსენებთ, რომ მოქმედ ჩოგბურთელებს შორის, კარიერაში 600 მატჩი მხოლოდ ფედერერსა და ნადალს აქვთ მოგებული.

II წრე

კეი ნიშიკორი (იაპ, 19)-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:1, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ, 23)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:2, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 28)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 7:6(3), 6:4; **ფაბიო ფონინი (იტა)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 5:7, 6:1, 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან, 10)**-ედუარდ როჯე ვასელენი (საფ) 7:6(4), 4:6, 7:6(2); **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 17)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 7:6(5), 6:4; **ევგენი დონსკოი (რუს)**-მაიკ რასელი (აშშ) 6:4, 6:3; **ირჟი ვესელი (ჩეხ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ, 32) 6:1, 2:6, 6:1; **ენდი მარეი (ბრიტ, 5)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 7)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 6:2, 7:6(6); **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 2:6, 6:4, 7:5; **ანდრეას სეპი (იტა, 29)**-სემ კუერი (აშშ) 4:6, 7:6(3), 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 3)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:3, 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 27)**-ხუან მონაკო (არგ) 7:6(4), 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 11)**-ჯერემი შარდი (საფ) 6:3, 6:4.

ქალებში უკვე სენსაციებია

ინდიან უელსში ქალი ჩოგბურთელები მამაკაცებზე ერთი ნაბიჯით წინ არიან და გუშინ, მათ მეორე წრე დაასრულეს. ორი დღის განმავლობაში ორ სენსაციას ჰქონდა ადგილი. მთავარი ამბავი კი, რა თქმა უნდა, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** გავარდნა გახდა.

როგორც ცნობილია, აზარენკას ბოლო პერიოდში ტრავმები აწუხებს და ამის გამო ვერ ვიხილეთ ის დოჰას ტურნირზე. და როგორც **ლორენ დევისთან** მეორე წრის მატჩმა აჩვენა, ბელარუსმა ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ვინ იფიქრებდა, რომ აზარენკა ზედიზედ ორ სეტს წააგებდა „მშრალი" ანგარიშით - 0:6. პირველ ეს მოხდა ავსტრალიის ღია პირველობაზე, როცა ვიკამ ამ ანგარიშით დათმო მესამე პარტია. და იგივე განმეორდა დევისთან მატჩის პირველ სეტში.

20 წლის ლორენ დევისი კარგ სეზონს ატარებს. მან მესამე წრემდე მიაღწია ავსტრალიის ღია პირველობაზე, მეოთხედფინალში ითამაშა ოკლენდში, თუმცა აქამდე TOP20-ის მოთამაშე არ ჰყავდა დამარცხებული.

უკვე სასტარტო გეიმიდან ცხადი გახდა, რომ აზარენკას ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა. პირველივე შესვენებისას მასთან მწვრთნელი გავიდა, მოგვიანებით კი ბელარუსმა აღიარა, რომ უკვე მოთელვისას გრძნობდა ფეხში ტკივილს. პირველ სეტში ვიქტორიას არაფერი გამოსდიოდა, ცუდად გადაადგილდებოდა კორტზე, სუსტად ურტყამდა, განსაკუთრებით მოწოდებისას, აგრეთვე უამრავ შეცდომას უშვებდა. ბელარუსი ცდილობდა საკუთარი თავის გამხნევებას, მაგრამ ეს თამაშზე არ აისახებოდა.

მხოლოდ მეორე სეტში ნაწილობრივ მოვიდა გონს. რა თქმა უნდა, აზარენკას თამაში შორს იყო იდეალურისგან, მაგრამ ბრძოლაში ჩაბმა მაინც მოახერხა. საერთოდ, მეორე პარტია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, აზარენკამ ორჯერ აილო მეტოქის მოწოდება და ტაიბრეიკამდე მიაღწია. შემოკლებულ გეიმში დევისს რამდენიმე კარგი გათამაშება ჰქონდა და ტაი-ბრეიკი 7:2 მოიგო.

შემდეგ წრეში დევისი თანამემამულე **ვარვარა ლეპჩენკოს** შეხვდება, რაც შეეხება აზარენკას, გამორიცხული არ არის, რომ მან მაიამის ტურნირი გამოტოვოს და ბოლომდე მოირჩინოს დაზიანება.

მეორე სენსაცია იყო გერმანელი **ანჟელიკ კერბერის** მარცხი. ეს ჩოგბურთელი წელს ორი ტურნირის ფინალში იყო, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა **მარია-ტერეზა ტოროფლორთან** - 6:2, 6:7(5), 4:6.

ახლოს იყო კიდევ ერთ მოულოდნელ შედეგთან უკრაინელი **ელინა სვიტოლინა**. ის ორჯერ აწვდიდა მატჩზე სერბ **ანა ივანოვიჩთან**, ერთხელ კი ორი ბურთი აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ მატჩბოლამდე მაინც ვერ მიაღწია და ტაი-ბრეიკზე განადგურდა - 6:4, 5:7, 6:7(1).

■ ■ ■

ყველას აინტერესებდა, როგორ ჩაატარებდა დოჰას ტურნირის პირველ წრეში მარცხის შემდეგ პირველ შეხვედრას **მარია შარაპოვა**. ამ პერიოდში მარიამ სოჭის ოლიმპიადაზე NBC-ის სპეციალურ კორესპონდენტად იმუშავა და როგორც თავად აღიარა, ჟურნალისტობა ძალიან რთული პროფესია ყოფილა.

დიდხნიანი შესვენების შემდეგ პირველი მატჩისთვის შარაპოვას არც ისე მოსახერხებელი მეტოქე ჰყავდა - გერმანელი **იულია გორგესი**. თუმცა პირველ სეტში არანაირი ბრძოლა არ ყოფილა. გორგესი მძიმედ შედიოდა მატჩში, ძალიან ბევრს ცდებოდა და მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში გერმანელი გონს მოვიდა და არა მხოლოდ გაათანაბრა თამაში, არამედ უპირატესობაც მოიპოვა. იულია უფრო საიმედოდ იგებდა საკუთარ გეიმებს, ვიდრე შარაპოვა, თუმცა რუსმა მაინც არ მიუშვა ბრეიკ-პოინტებამდე მეტოქე, 5:4-ზე კი მილებაზე ბრძოლა გამართა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:1, 6:4.

II წრე

მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 31)-შელბი როჯერსი (აშშ) 6:4, 6:3; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 29) 6:3, 6:2; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 6)**-კურუმი ნარა (იაპ) 6:2, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:3; **სარა ერანი (იტა, 9)**-შერონ ფიჩმენი (კან) 6:1, 6:1; **ლორენ დევისი (აშშ)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) 6:0, 7:6(2); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:3, 6:1; **ეჟენი ბუშარი (კან, 18)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 14)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:3, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 6:4, 6:3; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-კაია კანეპი (ესტ, 24) 6:3, 6:2; **ალიზ კორნე (საფ, 22)**-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:3, 4:6, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 26)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:3, 6:4; **კეისი დელაკუა (ავსტრა)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 19) 1:6, 6:3, 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა, 13)**-მედისონ კისი (აშშ) 6:3, 6:3; **ანიკა ბეკი (გერ)**-ელენა ვესნინა (რუს, 30) 6:2, 3:6, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 27)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 16)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:2, 6:3; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-გარბინ მუგურუსა (ესპ, 32) 6:3, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 23)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 5:7, 7:6(3), 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-იულია გორგესი (გერ) 6:1, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:1, 6:3; **მარია-ტერეზა ტორო-ფლორი (ესპ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 5) 2:6, 7:6 (5), 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 21)**-კაროლინ გარსია (საფ) 6:4, 7:5; **კამილა ჯორჯი (იტა)**-სორანა კირსტეა (რუმ, 25) 7:6(3), 6:3; **კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 28) 7:5, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 12)**-დონა ვეკიჩი (ხორ) 6:3, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-საბინ ლისიცკი (გერ, 15) 7:5, 1:6, 7:6(5); **ნა ლი (ჩინ, 1)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:1, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 11)**-ელინა სვიტოლინა (უკრ) 4:6, 7:5, 7:6(1); **ფლავია პენეტა (იტა, 20)**-ტეილორ თაუნსენდი (აშშ) 6:3, 6:7(4), 6:3; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 17)**-ანა ტომლიანოვიჩი (ხორ) 6:4, 6:0.

ვიქტორია აზარენკა

ბალტაჩას მძიმე სენი

ელენა ბალტაჩა

უსიამოვნო ამბავი შეიტყო უკრაინული წარმოშობის ბრიტანელმა ჩოგბურთელმა **ელენა ბალტაჩამ**. მას ექიმებმა თირკმლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ეს ინფორმაცია BBC-ის თავად სპორტსმენმა გაანდო.

„დღეს მკურნალობის კურსს გავდივარ და ყველაფერს ვაკეთებ ამ მძიმე სენის დასამარცხებლად", - განაცხადა ბალტაჩამ.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელმა კარიერა გასულ წელს დაასრულა. 2010 წელს, ბალტაჩა WTA-ის რეიტინგის TOP50-ში შევიდა. მას უთამაშია ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის მესამე წრეში. ასევე 30 წლის სპორტსმენის აქტივშია 11 გამარჯვება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირების სერიაში. და კიდევ, ელენა 132 კვირის განმავლობაში იყო ბრიტანეთის პირველი ნომერი.

ელენა ბალტაჩა წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, კიევის „დინამოს" მცველის **სერგეი ბალტაჩას** ქალიშვილია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)**, **ერემო მახათაძე (1952-53)**, **ირაკლი უგულავა (1953-64)**, **ანზორ ბასილაია (1976-83)**, **არჩილ გოგელია (1984-85)**, **თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)**.

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com** (რედაქცია); **lelo@palitra.ge** ინდექსი **66435 INDEX**. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608